

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

2016 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ბათუმი

2016

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
2016 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიში

* სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება) დასახელება – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – როინ მალაყმაძე, ისტორიის დოქტორი

* სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა –24

1. როინ მალაყმაძე (ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის დოქტორი),

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება:

2. ბიჭიკო დიასამიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი),

3. ოთარ თურმანიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი),

4. ნინო ინაიშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი),

5. გიორგი თავამაიშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი),

6. უჩა ოქროპირიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი),

7. მათა ჭიჭილეიშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი),

8. ოლეგ ჯიბაშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი),

9. ირინე ვარშალომიძე (მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი),

ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება:

10. ნოდარ კახიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი),

11. ჯემალ ვარშალომიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)

12. ნაილა ჩელებაძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი),

13. თამილა ლომთათიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი),

14. რუსლან ბარამიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი),

15. ნუგზარ ჩხაიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოსოფიის დოქტორი),

16. კონსტანტინე ლლონტი (მეცნიერი თანამშრომელი);

ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება:

17. შუშანა ფუტყარაძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, განყოფილების უფროსი),

18. ელზა ფუტყარაძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი),

19. შოთა ზოიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი),

20. ნანი გუგუნავა (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი),
21. ნარგიზ ახვლედიანი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი),
22. ნაილე მიქელაძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი),
23. ნანული ნოღაიდელი (მეცნიერი თანამშრომელი),
24. ცილა ნარაკიძე (მეცნიერი თანამშრომელი).

I. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2016 წლის გეგმით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1			
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)			

I.2. გარდამავალი პროექტები

#	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სამეცნიერო პრობლემა – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის, ეკონომიკისა და სოციოლოგიის საკითხები	ბიჭიკო დიასამიძე ნოდარ კახიძე შუშანა ფუტყარაძე	ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება, ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება, ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება

I	<p>თემა – აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის საკითხები</p> <p>ეტაპი – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი (ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური შესწავლა)¹</p>	<p>ბიჭიკო დიასამიძე ნოდარ კახიძე შუმანა ფუტყარაძე</p>	<p>ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება,</p> <p>ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება,</p> <p>ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება</p>
I. 1.	<p>ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური დახასიათება</p>	<p>ბიჭიკო დიასამიძე</p>	<p>ბიჭიკო დიასამიძე ოთარ თურმანიძე ნინო ინაიშვილი გიორგი თავამაიშვილი უჩა ოქროპირიძე მაია ჭიჭილეიშვილი ოლეგ ჯიბაშვილი ირინე ვარშალომიძე</p>
<p>წარმოდგენილ წლიურ ნაშრომებში ნივთიერი და წერილობითი წყაროების, ზეპირი გადმოცემების, აგრეთვე, არსებული სამეცნიერო ლიტერატურის შეჯერება-ანალიზის საფუძველზე ასახულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ისტორია. განხილულია მისი ბუნებრივი პირობები, ადმინისტრაციული საზღვრები, ფლორა და ფაუნა, წიაღისეული, წყლები; ნათქვამია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორია ადამიანს ქვის ხანიდან აუთვისებია და ინტენსიური ცხოვრება ჩანს ნეოლითის ხანიდან. ადრებრინჯაო-რკინის ხანაში აქ ადამიანი ლითონის დამუშავებას ეწეოდა, რასაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქურა-სახელოსნოები ადასტურებენ. რამდენადაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადიოდა უძველესი სავაჭრო გზები, იგი ადრიდანვე აღმოჩნდა ანტიკური სამყაროს ყურადღების ცენტრში, რისი დასტურიცაა</p>			

¹ შესრულებული ეტაპი ნაწილია ხუთწლიანი (2013-2017) პროექტისა „აჭარის ადმინისტრაციული ერთეულები“. 2013 წელს შესწავლილ იქნა ქედის მუნიციპალიტეტი, 2014 წელს – შუახევის მუნიციპალიტეტი, 2015 წელს – ხულოს მუნიციპალიტეტი;

ბათუმგორის ურბანისტული დასახლების გაჩენა ძვ.წ-ის VII-VI საუკუნეებიდან, შემდეგ კი აფსაროს-გონიოს ციხე-ქალაქის გაჩენა. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, მისი მოსახლეობა ეთნოგრაფიული აჭარის ნაწილია და ამ ტერიტორიაზე არსებული ისტორიული, ეთნოგრაფიული თუ კულტურული ძეგლები აქაური მოსახლეობის შრომის, თავდაცვის, ბრძოლის, კულტურული ცხოვრების ანარეკლია. ამ კუთხითაა წარმოდგენილი ნაშრომებში განხილული მაჭახლის ხეობაში არსებული გვარას (კისერას) და ჩხუტუნეთის (ყალევაკეს), ყოროლისწყლის ხეობაში – ყოროლისწყლის, ბათუმის ციხეები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თაღოვანი ხიდები (მირვეთის, ჩხერის, ორთაბათუმის, ცხემლარას), ქვაში ნაკვეთი საწნახლები (ჩხუტუნეთი, ყოროლისთავი), თოვლის შესანახი დიდი ორმოები (ყუები), შემთხვევით თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მიწაში ჩამარხული ქვევრები (ყოროლისთავი, მახო...), საკულტო ძეგლები (ეკლესიები: ორთაბათუმი, ახალშენი, სამება, კვესელაური, სარფი... მეჩეთები: ხელვაჩაური, ჩხუტუნეთი, მარადიდი ...) და სხვა.

ნაშრომებში ასახულია, აგრეთვე, თანამედროვე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მეურნეობის განვითარების (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა...), მოსახლეობის დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების დახასიათება, ნაჩვენებია დეპორტაციისა და რეპრესიების შედეგები, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების მდგომარეობა და აქაური მოსახლეობის წვლილი ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებაში. ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ნაშრომებში ჩამოყალიბებულია წინადადებები და რეკომენდაციები.

I. 2.	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ეთნოლოგიური დახასიათება	ნოდარ კახიძე	ნოდარ კახიძე ჯემალ ვარშალომიძე ნაილა ჩელებაძე თამილა ლომთათიძე რუსლან ბარამიძე ჯემალ მიქელაძე
-------	-----------------------------------------------------	--------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------

წერილობითი წყაროების, საარქივო და სამუზეუმო მასალების, სპეციალური ლიტერატურისა და მრავალწლიანი საექსპედიციო მონაცემების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე დახასიათებულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მეურნეობის ტრადიციული დარგები (მიწათმოქმედება–მემინდვრეობა, მევენახეობა–მეღვინეობა და მეხილეობა, ბარისა და მთის ზონის მესაქონლეობა, მეფუტკრეობის ფორმები, მეთევზეობა და მონადირეობა, მრავალდარგოვანი ხელოსნობისა და შინამრეწველობის საკითხები), მატერიალური კულტურა (დასახლების სტრუქტურა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ჩაცმულობა, ხალხური სამზარეულო, დეკორატიული ხელოვნება, ხალხური სატრანსპორტო საშუალებანი), სულიერი კულტურა (მუსიკალური ხელოვნება, ქორეოგრაფია, გართობა–თამაშობანი, ხალხური მედიცინა), თანამედროვე კულტურისა და განათლების საკითხები. ყურადღება გამახვილებულია ვაზისა და ხეხილის ძველი (ტრადიციული) ჯიშების აღდგენის, ტრადიციული ხალხური კერძების თანამედროვე კვების სისტემაში დანერგვის, ხის ზოგიერთ ნაკეთობათა (პირველ რიგში მასიურ ხეში

მოხარატებული სუფრების – მრგვალი სასადილო მაგიდების) დამზადების ტრადიციების აღდგენაზე.

I. 3.	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური დახასიათება	შუშანა ფუტკარაძე	შუშანა ფუტკარაძე ნანული ნოღაიდელი ელზა ფუტკარაძე ნარგიზ ახვლედიანი ნაილე მიქელაძე შოთა ზოიძე
-------	-------------------------------------------------------------------	------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ხალხური მეტყველება, ზეპირსიტყვიერება (ფოლკლორი) ბევრჯერ ყოფილა ცნობილი მკვლევარ-მეცნიერების მსჯელობის საგანი; მაგრამ ხალხური ენა და შემოქმედება მარად ცვალებადია, განახლებადია და ახალ-ახალი ფორმების წარმომჩენია. ხალხური სულიერების სამყარო უღვეელი საუნჯეა, ამოურწყავია. მის წიაღში მიმდინარე პროცესები ქართული ენის განვითარების შინაგანი კანონებითაა მართული. ამიტომაც ხალხურ მეტყველებასთან ყოველი შეხება რაღაც ახალს მაინც გვაგრძნობინებს ხოლმე და დაგვაფიქრებს მისი წარმოშობის საშუალებებზე. მიმდინარე 2016 წელს ჩვენი განყოფილება მოწოდებული იყო ხელვაჩაურის მოსახლეობის ფოლკლორისა და ხალხური მეტყველების შესასწავლად. შევისწავლეთ ხელვაჩაურის სოფლებიდან მუჰაჯირად გადახვეწილი ქართველების მეტყველების დიალექტური თავისებურებები. კვლევისას გამოვიყენეთ პროფ. შუშანა ფუტკარაძის მონოგრაფიის პირველი ტომის მასალები. გამოვლენილია როგორც დიალექტიზმები, ისე არქაიზმები და ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტების შედეგად წარმოშობილი ნეოლოგიზმები. განყოფილების წევრების მიერ შეკრებილი, აგრეთვე ინსტიტუტის არქივში დაცული ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მასალების საფუძველზე გამოვლინდა ზანური ენის გავლენა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ლექსიკასა და ტოპონიმიაში. საინტერესო მონაცემებია მოპოვებული ლაზურ ფოლკლორში.

II	<p>თემა – ქალაქის და სოფლის მოსახლეობის სოციოლოგიური კვლევის პრობლემები აჭარაში (2014-2017 წწ.)</p> <p>ეტაპი – ქალაქ ქობულეთის მოსახლეობის დასაქმების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები (სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით)</p>	ნუგზარ ჩხაიძე	ნუგზარ ჩხაიძე კონსტანტინე ლლონტი
----	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------	-------------------------------------

ქალაქ ქობულეთის მოსახლეობის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკითხვის საფუძველზე (სულ გამოკითხულ იქნა 500-მდე რესპოდენტი 54 პუნქტიანი ანკეტების მიხედვით) დადგენილია უმუშევრობის გამომწვევი მიზეზები, დასაქმების დაბალი დონე და მცირე ანაზღაურება. შესაბამისად უმუშევრობის მასობრივი ხასიათი, რომელიც შეეხო არა მხოლოდ დაბალკვალიფიციურ, არამედ მაღალკვალიფიციურ მუშაკებსაც (ინჟინრები, მასწავლებლები, ექიმები, იურისტები და ა.შ.). ამასთან ისიც გაირკვა, რომ გამოკითხულ მუშაკთა უმრავლესობა ხანგრძლივი დროის მანძილზე (5-და მეტი წელი) ვერ ახერხებს შესაფერისი სამუშაოს პოვნას, რაც ქალაქისა და ადგილობრივი ბიზნესის ხელმძღვანელობის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგია. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია კონკრეტული, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის წინადადება-რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსახლეობის აქტიური დასაქმებისა და დროებითი უმუშევრობის აღმოფხვრას.

I. 3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

#	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებლები
1	სტამბოლის ქართული სავანის ეპისტოლური და მემუარული მემკვიდრეობა ტ. I	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	პროფესორი შუმანა ფუტკარაძე	როინ მალაყმაძე, ელზა ფუტკარაძე, თამილა ლომთათიძე, შორენა ფუტკარაძე, ნაილა ჩელეზაძე, ბიჭიკო დიასამიძე (კონსულტანტი)

ანოტაცია

სტამბოლის ქართული სავანე მოიცავს სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებულ ბიბლიოთეკასა და არქივს. 1861-1870 წლებში დაარსებულ ეკლესია-მონასტერში საქართველოდან, ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან ათეული წლების განმავლობაში იგზავნებოდა სამეცნიერო, მხატვრული ლიტერატურა და მიმოწერის ბარათები. ემიგრაციაში წასულმა საქართველოს მთავრობამ სტამბოლის

მონასტერში ჰპოვა თავშესაფარი სამი თვის მანძილზე. საფრანგეთში წასულებმა აქ დატოვეს ბევრი ისტორიული წყარო. ამიტომ სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკა და არქივი ითვლება საზღვარგარეთ არსებულ ქართული კულტურის ნამდვილ კერად. 2013 წელს რუსთაველის ეროვნულმა ფონდმა დააფინანსა საგრანტო პროექტი „სტამბოლის ქართული სავანის ეპისტოლური და მემუარული მემკვიდრეობა“. პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში შესწავლილია დიდძალი მასალა; გამოვლენილია საინტერესო ისტორიული წყაროები, რომელსაც ქართველი მკითხველი მალე მიიღებს ათასგვერდიანი წიგნის სახით. მოძიებული მასალები საინტერესო ცნობებს მიაწვდის საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, სოციოლოგიისა და დიალექტოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს.

2	ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. აჭარა (ისტორია, ეთნოლოგია)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ნუგზარ მგელაძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი)	თამილა ლომთათიძე, ჯემალ ვარშალომიძე, ჯემალ მიქელაძე (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი)
---	--------------------------------------------------------------------	-------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------

ანოტაცია

საგრანტო პროექტში, რომელიც შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში მომუშავე მეცნიერთა ძალებით სრულდება, ამ უკანასკნელთა მიერ 2016 წლისათვის დამუშავდა სხვადასხვა სახის შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, სხვა მონაცემები, საიდანაც ამოკრებილ იქნა სალექსიკონო ტერმინოლოგია მოკლე განმარტებებით შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ხეზე კვეთილობა და მოხატულობა, დეკორატიული ქსოვილები და ნაქარგობა, გვაროვნული საკუთრების ნიშნები, სულიერი კულტურა. შესრულდა ამ საკითხებთან დაკავშირებული საილუსტრაციო მასალა.

3	ქართველ მუსლიმთა მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა თურქეთში, საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევა	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ას. პროფ. დოქტ. ზაზა შაშიკაძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	რუსლან ბარამიძე, ზაზა შაშიკაძე, მირიან მახარაძე, გიორგი მახარაშვილი
---	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------

ანოტაცია

პროექტის ფარგლებში რუსლან ბარამიდის მიერ შესწავლილია თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები ხის მეჩეთების სახით, რომელებიც აშენებულია ქართველი მუსლიმების მიერ. დადგენილია, რომ ამ ძეგლების მშენებლობა XVII საუკუნიდან იწყება და გრძელდება XX საუკუნის დამდეგამდე. ამავე დროს გამოვლენილია ძეგლების მშენებლობაში არსებული ტრადიციული ქართული დეკორატიული ხითხურობის უნიკალური ნიმუშები, პირველ რიგში ორნამენტით შემკულობა, რომელთა ავტორებად ადგილობრივ ხის მუშაკებთან ერთად ლაზი ხელოსნებიც სახელდება. საუბარია თანამედროვე ურბანული პროცესების გავლენაზე, რის შედეგადაც ზოგიერთი ძეგლი დაიშალა, ან მოხდა მათი რესტავრაციარეკონსტრუქცია. კვლევის მიზანი იყო აღნიშნული ძეგლების ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობითი მნიშვნელობის დადგენა, მათი ფოტოგრაფირება და პოპულარიზაცია დოკუმენტური ფილმების მომზადებით.

I. 4.

პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	
გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)		

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	შუშანა ფუტყარაძე	„ჩვენებურების ქართული“, ტ. II	ბათუმი, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“,	661

ანოტაცია

წიგნში „ჩვენებურების ქართული“, ტ. II მოცემულია ისტორიული ტაოკლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების ლინგვისტური ანალიზი. ამ

მონოგრაფიის პირველ ტომში – „ჩვენებურების ქართული“, ტ. I, ბათუმი, 1993 წელი, 720 გვერდი – მკითხველის წინაშე წარმოდგენილი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების თავისებურებათა ამსახველი ტექსტები შესწავლილია ენათმეცნიერული თვალთახედვით; გამოვლენილია ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფორმები და დიალექტური ნეოლოგიზმები. ქართული სალიტერატურო ენის დამაქვემდებარებელ კონტროლს მოკლებულ, დედაენის მშობლიურ კალთას დანატრებულ, უცხო ენობრივ გარემოში მოქცეულ ქართულ ხალხურ მეტყველებას დღემდე შემოუნახავს მშობლიური ენის ბგერითი სისტემა, გრამატიკული წყობა და ლექსიკური ფონდი. წარმოდგენილი მონოგრაფია, ცოცხალ ხალხურ მეტყველებაზე დაყრდნობით, ენათმეცნიერული კანონზომიერების თანახმად ამტკიცებს, რომ ისტორიულ ტაო-კლარჯეთის მიწაზე განფენილ, დღემდე ცოცხალ ქართულ ენაში გამოიყოფა ტაო-კლარჯული დიალექტების ჯგუფი; კერძოდ, იმერხეული (ისტორიული შავშური), ნიგალური, ტაოური და მაჭახლური. ეს თვალსაზრისი გაზიარებული იქნა ჯერ კიდევ 1995 წლის 5 მაისს, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ, როცა ამავე საკითხზე სადოქტორო დისერტაცია დაიცვა მონოგრაფიის ავტორმა და ენათმეცნიერთა კორიფეების მხარდაჭერა მოიპოვა. ეს სიახლე იყო ქართულ ენათმეცნიერებაში. ამიტომაც მონოგრაფიამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

2	ირინე ვარშალომიძე	ბათუმის არქეოლო-გიური მუზეუმის ნუმისმატიკური საგანძური	თბილისი, გამომც. „კოლორი“	85
---	-------------------	--------------------------------------------------------	---------------------------	----

ანოტაცია

ნაშრომის შესავალში განხილულია სამონეტო მიმოქცევის თავისებურებანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. შემდეგ მოდის მუზეუმში დაცული ნუმისმატიკური ძეგლების კატალოგი. აღწერილია 102 მონეტა: კოლხური თეთრი, სინოპური, ჩრდილოეთ შავიზრვისპირეთის ქალაქების, კიზიკინები, ალ. მაკედონელის, ეგინური, რომაული, ბიზანტიური, არაბული, სელჩუკური, მონღოლური, ევროპული მონეტები. მასალის დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელია და პირველად შედის სამეცნიერო მიმოქცევაში. ნაშრომი ორენოვანია – შესრულებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

3	ირინე ვარშალომიძე (თანაავტორები ი. ფაღავა, ს. თურქია)	არაბული მონეტების მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, – კრ.: ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, VI	თბილისი. გამომც. „ჯეოპრინტი“	107
---	-------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------	-----

	(გამოცემა მთლიანად დაეთმო მონოგრაფიას)		
ანოტაცია			
<p>მონოგრაფიაში განხილულია საქართველოსა და არაბების პოლიტიკური ურთიერთობები, არაბების ლაშქრობები დასავლეთ საქართველოში, არაბული მონეტების მიმოქცევის თავისებურებანი. ნაშრომში გამოქვეყნებულია ზოტისა და ხელვაჩაურის განძები, ასევე, აჭარის ტერიტორიაზე შემთხვევით მოპოვებული ცალკეული ეგზემპლარების სრული კატალოგი, მოცემულია მეცნიერული კომენტარები, გამოყოფილია ახალი ნუმიზმატიკური რაიონი. მოზიდულია პარალელური მასალა. სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანილია 180 ახალი მონეტა. ნაშრომს თან ახლავს ფოტოტაბულები.</p>			

სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ავტორთა კოლექტივი	აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	404
ანოტაცია				
<p>კრებული წარმოადგენს სახელმძღვანელოს ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, იგი საშუალებას მისცემს მათ საფუძვლიანად გაეცნონ აჭარის, მისი ცალკეული მუნიციპალიტეტების ისტორიას, ეკონომიკას, ბუნებას, მოსახლეობის ეთნიკურ და კონფესიურ სტრუქტურას, ტრადიციულ მატერიალურ და სულიერ საუნჯეს, ფოლკლორს, მეცნიერებას, ხელოვნებასა და კულტურას, ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, ბუნების დაცულ ტერიტორიებს. სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტთა მომზადებას, რომელთაც შეეძლებათ სათანადო მომსახურება გაუწიონ სტუმრად ჩამოსულ ტურისტებს და მიაწოდონ მათ საჭირო ინფორმაცია აჭარის შესახებ.</p>				

კრებულები

N	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ავტორთა კოლექტივი	ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა	321

		შრომები, XII	რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	
ანოტაცია				
<p>კრებულში დაბეჭდილი სტატიები მოიცავს აჭარისა და თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეული კუთხეების ისტორიის, არქეოლოგიის, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის, ფილოლოგიის, ენათმეცნიერების, ემიგრანტული ლიტერატურის, სოციოლოგიის, ტურიზმის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ისტორიის ნაწილში დახასიათებულია აბაშიძეთა საგვარეულოსა და მათ მონათესავე ათაბაგების ღვაწლი სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში, მოთხრობილია კონსტანტინეპოლში მცხოვრებ ქართველთა საქმიანობაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის საქმეში. არქეოლოგიის ნაწილში შესწავლილია ციხის რაბათები შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში, ოსმალური ფაიანსების გავრცელების საკითხები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ეთნოლოგიის, ფოლკლორისა და ენათმეცნიერების მიმართულებით შესწავლილია ოჯახის როლი ხალხური აღზრდის სისტემაში (ტაო-კლარჯეთი), წრის სიმბოლიკის, ტოპონიმიკის, ანთროპონიმიის, ლექსიკის, ჯანდაცვის, ეკოტურიზმისა და დაცული ტერიტორიების საკითხები (აჭარა, ლაზეთი). განხილულია პოეტ ოკუჯავასა და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების ნიმუშები, ისტორიული ტაოს ქართულის თავისებურებანი, ქართული სამართლის საკითხები ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში, ილია ჭავჭავაძის ბრძოლა ჟურნალ „მოამბის“ დაარსებისათვის, 1930-იანი და შემდგომი წლების პოლიტიკური რეპრესიების საკითხი აჭარის ერთი სოფლის მაგალითზე.</p>				
2	ბიჭიკო დიასამიძე	ისტორიული ეტიუდები, II	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	406
ანოტაცია				
<p>კრებულში შეტანილი ნაშრომების ერთ ნაწილში სათანადო წყაროებზე დაყრდნობით დაზუსტებულია ამა თუ იმ მოვლენის მიმდინარეობა და თარიღი, წარმოდგენილია ავტორის აზრი ამ ისტორიული მოვლენისადმი, ავტორი სხვადასხვა არგუმენტების მოტანით ცდილობს დაასაბუთოს ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ან თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ზოგიერთი თვალსაზრისებისა და შეფასებების არა დამაჯერებლობა და მკითხველს აძლევს საშუალებას თვითონაც ჩაერთოს ამ პოლემიკაში. კრებულში შესული ნაშრომების დიდი ნაწილი აჭარაში ქრისტიანობისა და ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის საკითხებს ეძღვნება. ოსმალური დოკუმენტებისა და სამეცნიერო ლიტერატურის დამოწმებით შესრულებულია გამოკვლევები ბათუმის განაშენიანების, „ახალი ბათუმის“ შექმნის და ბათუმთან დამაკავშირებელი სახმელეთო გზების მშენებლობის შესახებაც.</p>				

3	ავტორთა კოლექტივი	„ჩვენი სულიერების ბალავარი“, VIII	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	451
ანოტაცია				
<p>კრებულში შეტანილია VIII საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, რომლებიც ეხება ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის, რელიგიისა და კულტურის, ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის, კულტურათა დიალოგის, სწავლებისა და აღზრდის და სხვა საკითხებს. კრებულში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, აჭარის ქრისტიანული საკულტო ძეგლების და ეპარქიის ისტორიის დაზუსტება-შესწავლას, შესაბამისი წყაროებისა და ლიტერატურის პოპულარიზაციას.</p>				
4	ავტორთა კოლექტივი	„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“, VII	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	460
ანოტაცია				
<p>კრებულში შეტანილია მე-7 საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, რომლებიც ეხება ქალაქ ბათუმის ისტორიას, არქეოლოგიას, არქიტექტურას, ტოპონიმკას, ქალაქის თანამედროვე ყოფის, კულტურის, ტურიზმის, კონფესიური ვითარებისა და დემოგრაფიის საკითხებს. კრებულში ასახვა ჰპოვა იმ რეკომენდაციებმა და წინადადებებმა, რომელიც ეხება ქალაქდაგეგმარების, ზღვის ნაპირგამაგრების, გონიო-ფიჭვნარს შორის საერთო ტურისტული ზონის შექმნის და სხვა საკითხებს.</p>				
5	ავტორთა კოლექტივი	რუსთაველი და „ოქროს ხანის“ საქართველო	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	120
ანოტაცია				
<p>საიუბილეო კრებულში წარმოდგენილი სტატიები ეძღვნება რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციებს, იმ დროის საქართველოს მეზობლებს, რუსთაველის პოემის სიდიადეს, მასში ასახულ რენესანსულ იდეებს და მის გავლენას ქართულ პოეზიაზე. ნაჩვენებია სახარებისეული მოტივები „ვეფხისტყაოსანში“ და წარმოდგენილია „ვეფხისტყაოსანი“ მითოლოგიური კრიტიკის თვალთახედვით.</p>				

6	ავტორთა კოლექტივი	სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები, I (VI)	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	იბეჭდება
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>განყოფილების თემატურ კრებულში წარმოდგენილია ნაშრომები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, აჭარის ისტორიისა და არქეოლოგიის შესახებ, მასში შეტანილია, აგრეთვე განყოფილების 2015 წლის სამეცნიერო მუშაობისა და ჩატარებული ერთ-ერთი საველე ექსპედიციის ანგარიშები, აგრეთვე გაყოფილების მეცნიერი-თანამშრომლების მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომები (წიგნები), წინა ხუთი კრებულის ბიბლიოგრაფიები, რაც მკითხველს სრულყოფილ წარმოდგენას შეუქმნის განყოფილების სამეცნიერო მუშაობის, კვლევის სფეროს მასშტაბების და მკვლევართა სამეცნიერო დონისა და შესაძლებლობების შესახებ.</p>				
7	ავტორთა კოლექტივი	სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, IV	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	194
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>კრებულში დახასიათებულია 1935 წელს აჭარაში (ხულო, შუახევი, ქედა) მრეწველობისა და ხელოსნობის ამსახველი მასალები (საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, მემინდვრეობა-მებოსტნეობა, მევენახეობა და მეხილეობა, ხელოსნურ ნაკეთობათა დამზადება, მეთევზეობა და მონადირეობა, ხალხური მუსიკალური საკითხები), რომლებიც შესულია საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის შესასწავლად საქართველოს მასშტაბით შეკრებილი საექსპედიციო მასალების ხუთტომეულში (1976–1992 წლები). კრებულის სხვა სტატიებში განხილულია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილისა და დოცენტ ჯემალ ნოღაიდელის 1930–იან წლებში არსებული მიმოწერები აჭარაში ეთნოგრაფიული და ფოლკლორული შემკრებლობითი მუშაობის შესახებ. განხილულია ლიგანის ხეობაში გავრცელებული სამიწათმოქმედო იარაღები, თურქეთში მცხოვრებ ძირძველ და მუჰაჯირ ქართველებში გავრცელებული საქორწინო და სტუმართმოყვარეობის საკითხები, გართობა-თამაშობანი, ხალხური ადათობრივი სხვა ნორმები, აჭარაში გავრცელებული ზოომორფული სიმბოლიკის ნიშნები, ქართული მრავალხმიანი სიმღერები. ცალკე სტატია ეძღვნება შიდამთიანი აჭარის ტურისტულ-მხარეთმცოდნეობით დახასიათებას.</p>				

8	ავტორთა კოლექტივი	აჭარული საუნჯე, II	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	იბეჭდება
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>აჭარა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძირძველი ქართული მიწა, დასაბამიდან დღემდე აქტიურად მონაწილეობდა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური კულტურის შენების საქმეში. მუხლჩაუხრელი შრომით ქმნიდა ციხე-ქალაქებს, საყდრებსა და თალიან ხიდებს; მტრის შემოსევებს ხვდებოდა მედგრად და მტკიცე კედლად იდგა სამშობლოს სადარაჯოზე. საუკუნეთა მანძილზე მტრებთან ბრძოლას ეწირებოდა მრავალი ქართველი; მაგრამ გაუტეხელი რჩებოდა ქართული გენი და ჯიში და ქართული სიმღერის ხმა აცოცხლებდა აჭარის ბარსა და მთიანეთს. აჭარა ერთგვარ გზაჯვარედინს წარმოადგენდა შორეულ მგზავრთათვის. აქ გადიოდა აბრეშუმის გზის გზაბაწრები ხევებსა და ხევხუვებში. მოდიოდნენ და მიდიოდნენ მგზავრები თუ ვაჭრები ამ გზაბაწარებით დიდი შარაგზებისაკენ; ღამის გასათევ ადგილებში იფრქვეოდა საინტერესო ზღაპრები თუ თქმულება-ლეგენდების სიუჟეტები. საუკუნეთა მანძილზე ხალხის ცნობიერ სამყაროში გროვდებოდა ეს ხალხური პოეზიის, პროზისა და საერთოდ სიბრძნის მარგალიტები. ამ საუნჯეს ინახავდნენ აჭარაში და თაობებს გადასცემდნენ ზეპირი სახით.</p> <p>„აჭარული საუნჯის“ მეორე ტომში სწორედ ამ დიდებული სულიერი სამყაროს მარგალიტებია მოცემული. ერთ ლამაზ წიგნადაა შეკრული ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის არქივებიდან ამოღებული მასალები, რათა საზოგადოება ეზიაროს ქართველი ხალხის სულიერი სამყაროს ამ დიდებულ შედევრებს. „აჭარული საუნჯის“ პირველი ტომი დიდი სიყვარულით მიიღო ქართველმა მკითხველმა; გვჯერა მეორე ტომსაც ექნება სათანადო აღიარება.</p>				
9	ავტორთა კოლექტივი	აჭარული საუნჯე, III	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	იბეჭდება
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ტომი ეძღვნება ცნობილი ფოლკლორისტის ზურაბ თანდილაგას ხსოვნას. თითქმის 20 წელია გამოქვეყნებას ელოდებოდა ეს საინტერესო კრებული, რომელიც 1996 წელს დასასტამბავად იქნა გამზადებული ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილებაში. კრებულში წარმოდგენილია ამ განყოფილების</p>				

მაშინდელი ხელმძღვანელის პროფესორ ზურაბ თანდილავეას მიერ 1959-1977 წლებში შეკრებილი ხალხური შემოქმედების ნიმუშები – ზღაპრები, ლეგენდები, მითები, შელოცვები, ხალხური პოეზიის ნიმუშები.

კრებული მრავალმხრივია ფასეული. იგი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, წინარექრისტიანული კულტურის ქართველი ერის მომავალ თაობების სულიერების ამაღლებას.

10	ავტორთა კოლექტივი	აჭარული საუნჯე, IV	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	იბეჭდება
----	-------------------	--------------------	-------------------------------------------------------------------	----------

ანოტაცია

ტომი ქედის მუნიციპალიტეტში 2000-2016 წწ. შეკრებილი ზეპირსიტყვიერი მასალების კრებულია. წიგნში წარმოდგენილი მასალები შეკრებილია ასზე მეტ მთქმელთან. მასალები ჩაწერილია ქედის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დარგის მუშაკთა მიერ. წიგნში, ხალხური პოეზიისა და პროზის ნიმუშებთან ერთად, მოცემულია ამ კუთხისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული მასალები, ისტორიული ცნობები, ქედის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია; წარმოდგენილია რამდენიმე ავტორ-მთქმელის შემოქმედება.

„აჭარული საუნჯე“, ტ. IV ნათელი დასტურია იმისა, რომ აჭარაში ფოლკლორული ტრადიციები გრძელდება. იგი მნიშვნელოვანი და მრავალმხრივ საინტერესო წიგნია.

სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ბიჭიკო დიასამიძე	ციხის რაბათები აჭარისწყლის ხეობაში, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	36-47

ანოტაცია

ნაშრომში პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, ოსმალურიდან ქართულად თარგმნილ წყაროზე დაყრდნობით, წარმოჩენილი და გაანალიზებულია აჭარისწყლის ხეობაში მდებარე ციხეებთან (იორამის, ხიხაძირის, ტბეთის, კავიანის,) რაბათების (ვაჭარ-ხელოსანთა დასახლება) ფუნქციონირების შესაძლებლობის საკითხი და გაკეთებულია

დასკვნა, რომ ეს ადასტურებს შუასაუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს, ამიტომ ავტორის აზრით, საჭიროა რაბათების სავარაუდო ადგილების არქეოლოგიური შესწავლა, რომ ეს ვარაუდი გამყარდეს.

2	ბიჭიკო დიასამიძე	დასავლურ ქართული ეკლესია და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესი, – კრ.: სულიერების ბალავარი (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VIII	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	101-109
---	-------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------	-------------------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომში გაანალიზებულია IX-X საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრების (ბიჭვინთა, სებასტოპოლისი, ფაზისი, პეტრა...) გაძლიერება-გაერთიანებისა და აფხაზთა საკათალიკოსოს წარმოშობის საკითხი, ამასთან ნაჩვენებია ის პოზიტიური ფუნქცია, რაც აქაურმა ეკლესიამ ითამაშა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების პროცესში. ახსნილია მეთუ საუკუნეში ე.წ. „ძველ“ საეპისკოპოსოთა „ახლებით“ ჩანაცვლების მიზეზი – ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლებას გაადვილებოდა „აფხაზთა საკათალიკოსოს“ მცხეთისადმი დაქვემდებარება, მისგან ქვეყნის გაერთიანებაში დახმარების სანაცვლოდ.

3	ბიჭიკო დიასამიძე	ცისფერყანწელები და 1914-1920 წლების პოლიტიკური მოვლენები ბათუმში, – ცისფერყანწელთა ლიტერატურული დაჯგუფების შექმნიდან მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის პროგრამა და მოხსენებათა თეზისები		ქუთაისი, გამომც. „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	13-15
---	-------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	-----------------------------------------------------	-------

ანოტაცია

ნაშრომში გაანალიზებულია ცისფერყანწელთა მოღვაწეობის პირველი პერიოდი (1917-1920 წწ) და პოლიტიკური ვითარება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აჭარა-

ბათუმში. ნაჩვენებია ცისფერყანწელთა ცნობილი წარმომადგენლების (პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე) აქტიური მონაწილეობა აჭარაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებში, მათი მწვავე გამოხმაურება ლექსებითაც.

4	ბიჭიკო დიასამიძე (თანაავტორი ისტ. დოქტ. ოლეგ ჯიბაშვილი)	აჭარა VI-XIX საუკუნეებში, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	29-38
---	-------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------	-------

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია აჭარის VI-XIX საუკუნეების ისტორია კრებულის მიზანდასახულობის გათვალისწინებით. კერძოდ, ამ ისტორიული მონაკვეთის ძირითადი ეტაპები (ადრეფეოდალური ხანა, განვითარებული შუა საუკუნეები, ოსმალთა ბატონობის ხანა), განმანთავისუფლებელი ბრძოლა და VI-XIX სს-ში განვითარებული მოვლენები, ამ დროის თავდაცვითი საფორტიფიკაციო, საკულტო და სხვა სანახაობითი ობიექტები.

5	ბიჭიკო დიასამიძე	ქალაქ ბათუმის ხელახალი დაბადება, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	88-95
---	-------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------	-------

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია ქალაქ ბათუმის საქალაქო ცხოვრების განვითარების ეტაპები ანტიკური პერიოდიდან დაწყებული და განსაკუთრებით ხაზგასმულია და ახსნილი ბათუმის საქალაქო ცხოვრებაში განხორციელებული ცვლილებების არსი XIX საუკუნეში. სტატიაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ქალაქის განვითარებაში ახალ ტენდენციებს XXI საუკუნეში, როცა ქალაქი გააზრებულ იქნა, როგორც მსხვილი კულტურულ-საგანმანათლებლო, სანავსადგურო და ტურისტული ცენტრი. ჩამოყალიბებულია ქალაქის განვითარების ახალი კონცეფცია უახლოეს 8-10 წლის განმავლობაში, რომელიც ითვალისწინებს გონიო-ფიჭვნარის 30 კილომეტრიანი მონაკვეთის ერთიან ტურისტულ ზონად ჩამოყალიბებას.

6	ბიჭიკო დიასამიძე	საქართველოს სოცი-ალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გან-ვითარების ტენდენციები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო	7-21
---	-------------------------	----------------------------------------------------------------------------------	--	-----------------------------------------------------	------

		რუსთაველის ხანაში, - კრ.: რუსთაველი და „ოქროს ხანის“ საქართველო		უნივერსიტეტი”	
ანოტაცია					
<p>ნაშრომში წარმოდგენილია XII საუკუნის ბოლო მეოთხედის (რუსთაველის ხანა) სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციები, რომლებმაც ქვეყანა ერთის მხრივ, ახლო აღმოსავლეთის უდიდეს და უმძლავრეს ქვეყნად აქცია და შექმნა პირობები კულტურის, განათლების, მეცნიერების განვითარებისათვის, მაგრამ მეორე მხრივ ქვეყნის განვითარების დონეს აღარ შეესაბამებოდა მმართველობის სისტემა, რაც რეფორმებს და გარდაქმნებს მოითხოვდა. ამ წინააღმდეგობას ქვეყანაში ღრმა კრიზისი და საბოლოოდ მონღოლ-თათართა წინაშე მორჩილების გამოცხადება მოჰყვა.</p>					
7	ბიჭიკო დიასამიძე	შიდამთიანი აჭარა (ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი ნარკვევი, - კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლო- გიის პრობლემები	IV	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	27-32
ანოტაცია					
<p>სტატიაში ფოტო-ილუსტრაციით წარმოდგენილია აჭარისწყლის ხეობაში არსებული მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი ობიექტები, ყოფა-ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მხარეები (ნიშნები), ისტორიისა და კულტურის ძეგლები, გამორჩეული ბუნებრივი ადგილები, სამხარეულო, რომელთა გაცნობა უეჭველად დააინტერესებს მნახველს.</p>					
8	ბიჭიკო დიასამიძე	ქალაქ ბათუმის ხვალინდელი დღე, - საქართველოს მეცნი- ერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ისტო- რიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვ- ნების ისტორიის სერია)	II	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადე- მიის სტამბა	86-96
ანოტაცია					
<p>ნაშრომში წარმოდგენილია ქალაქ ბათუმის განვითარების ძირითადი ტენდენციები და მიმართულებანი XIX-XX საუკუნეებში და ნაჩვენებია, რომ ქალაქის მომავალი</p>					

განვითარების მიმართულებათა განსაზღვრაში წამყვანი ადგილი მიკუთვნებული ჰქონდა ქლაქის გეოგრაფიულ მდებარეობას, ბუნებრივ პირობებს და არჩეული წამყვანი სამეურნეო დარგის ეკონომიკურ თუ სოციალურ-პოლიტიკურ სარგებლიანობას ქვეყნის ცხოვრებაში.

XIX და XX საუკუნის 90-იან წლებამდე, დიდი იმპერიების (თურქეთი, რუსეთი, სსრკ) შემადგენლობაში მყოფი ბათუმისთვის პრიორიტეტული დარგი იყო მრეწველობა, რადგან მათ ეკონომიკურ სისტემაში ჩართვა, მისი სამრეწველო პროდუქციის გასაღების საშუალებას და მოსახლეობის დასაქმების პირობებს ქმნიდა.

XXI საუკუნის დასაწყისიდან, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, ქალაქ ბათუმი გააზრებული იქნა, როგორც პერსპექტიული საერთაშორისო მნიშვნელობის საკურორტო და კულტურულ-საგანმანათლებლო სანავსადგურო ქალაქი და ამის მიხედვით დაიგეგმა მისი მომავალი განვითარება. ახლა დადგა დრო შემუშავდეს აჭარის შავიზღვისპირა მონაკვეთის (გონიო-ბათუმი-ციხისძირი-ფიჭვნარი) ხანგრძლივ დროზე გათვლილი (10-15 წელი) ერთიანი საკურორტო ზონის განვითარების კონცეპცია, რომელიც ბათუმს გადააქცევს საერთაშორისო საკურორტო, სატრანზიტო, საბანკო-საფინანსო და სანავსადგურო ქალაქად.

მით უფრო საჭიროა ახლა, როცა როგორც ანტიკური წერილობითი წყაროებით, ისე ბათუმის ციხითა და მის მიმდებარე ადგილებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალებით დასტურდება ბათუმის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ბერძნულ სამყაროსთან ძვ.წ-ის VI-V საუკუნეებიდან მაინც და ყველა პირობაა იმისა, რომ უახლოეს წლებში, ფართოდ აღინიშნოს ბათუმის დაარსებიდან 2500 წლისთავი.

9	ბიჭიკო დიასამიძე	აჭარა ვახუშტი ბატონიშვილის შრომების მიხედვით, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები	I (VI)	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	იბეჭდება
---	-------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------	-------------------------------------------------------------------	----------

ანოტაცია

ნაშრომში ვახუშტი ბატონიშვილის შრომებზე, ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განსხვავებული შეხედულებანი, ეთნოგრაფიული აჭარის საზღვრებისადმი და გაკეთებულია დასკვნა, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული აჭარა მოიცავდა არა მარტო აჭარისწყლის ხეობას, როგორც ზოგიერთი ავტორი ამტკიცებდა, არამედ აჭარისწყლის ხეობასთან ერთად ბათუმ-ქობულეთის მხარეებსაც, ანუ თანამედროვე აჭარის ტერიტორიას.

10	ბიჭიკო დიასამიძე (თანაავტორი ისტ. დოქტ. ოლეგ ჯიბაშვილი)	შუახევის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 11-13 სექტემბერს ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციის ანგარიში, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები	I (VI)	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	იბეჭდება
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ანგარიშიში შეჯამებულია შედეგები ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ჩატარებული ისტორიულ-არქეოლოგიური დაზვერვითი ექსპედიციისა, რომელიც მოეწყო შუახევის მუნიციპალიტეტში (ჭვანის და მარეთის ხეობებში) შემდეგი მარშრუტით: ბათუმი-ჭვანა-წყლისაყარი-შუახევი-უჩამბა-ტბეთი-შუახევი-ოლადაური-შუბანი-ბათუმი.</p> <p>ნათქვამია, რომ ექსპედიციამ მიზნად დაისახა აღნიშნულ ხეობებში არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების მონახულება, სადღეისო მდგომარეობის ფიქსირება და დამატებითი ინფორმაციების მოპოვება მათზე; გარდა ამისა, ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო ახალი ობიექტების აღმოჩენა-აღწერა, საინტერესო თქმულება-გადმოცემების, ტოპონიმთა ნიმუშების, ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი და სხვა მასალების მოძიება-შეკრება. აღნიშნულია, რომ საექსპედიციო ჯგუფმა წარმატებით გაართვა თავი დასახული ამოცანების შესრულებას. შეგროვდა საჭირო ინფორმაცია, განხორციელდა ფოტო-გადაღებები.</p> <p>განსაკუთრებით, ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ ოფიციალურად პირველად იქნა დაფიქსირებული აჭარისწყლის ხეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობის, კერძოდ, მახალაკიძეების ციხის მდებარეობა და მდგომარეობა, და რომ ასევე პირველად დაფიქსირდა ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მცირე მოვაკებული ადგილი სახელწოდებით – რაბათი. რაბათი მცირე სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს ეწოდებოდა და ასეთი ტიპის დასახლებები შუასაუკუნეებში აჭარისწყლის ხეობის არაერთი ციხის გვერდით არსებობდა, თუმცა, დღევანდლამდე მხოლოდ მახალაკიძეების ციხის ძირთან მდებარე ადგილმა შემოინახა ეს ტოპონიმი.</p> <p>მითითებულია, აგრეთვე, რომ ექსპედიციამ ბევრი სხვა საინტერესო ნიუანსი დააფიქსირა. მოპოვებული ფოტო-მასალით შეივსო ინსტიტუტის ფოტო-არქივი. გამოიკვეთა სამომავლო გეგმები და სამუშაო მიმართულებები.</p>					
11	ბიჭიკო დიასამიძე (თანაავტორი	ბსუ-ს ნიკო ბერძენი-შვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლო-	I (VI)	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის	იბეჭდება

	ისტ. დოქტ. ოლეგ ჯიბაშვილი)	გის განყოფილების 2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები		სახელმწიფო უნივერსიტეტი“	
ანოტაცია					
<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით შედგენილ ანგარიშში წარმოდგენილია განყოფილების მეცნიერი თანამშრომლების მიერ შესრულებული წლიური ნაშრომების (გარდამავალი პროექტის მიმდინარე ეტაპის) ერთიანი ვრცელი ანალიზი (ანოტაცია), ასევე, წლის მანძილზე გამოქვეყნებული ნაშრომების (წიგნები, სტატიები), სამეცნიერო კონფერენციებზე (საერთაშორისო, ადგილობრივი) გამოტანილი მოხსენებების და ჩატარებული საველე ექსპედიციების აღწერა-ანოტაციები, განხილულია განყოფილების წევრთა მიერ შესრულებული სხვა აქტივობები (საორგანიზაციო და სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა, სატელევიზიო და რადიოგადაცემებში მონაწილეობა, სასწავლო პროცესებში ჩართულობა და სხვ.)</p>					
12	Giorgi Tavamaishvili	On the Study of the Burial Rituals (According to the Material of Pichvnari Cemetery) (დაკრძალვის რიტუალის შესწავლისათვის (ფიჭვნარის სამაროვნების მიხედვით)), – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები	I (VI)	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	იბეჭდება
ანოტაცია					
<p>ფიჭვნარის სამაროვნების არქეოლოგიური შესწავლის საფუძველზე ნაშრომში გაშუქებულია დაკრძალვის რიტუალი დასახლების არსებობის სხვადასხვა პერიოდში. როგორც არქეოლოგიური გამოკვლევებით დასტურდება, ფიჭვნარის ტერიტორია ათვისებულია ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან, ხოლო უმნიშვნელოვანესი ეტაპი ფიჭვნარის ცხოვრებაში დიდ ბერძნულ კოლონიზაციას უკავშირდება.</p> <p>აღნიშნულია, რომ როგორც ბერძნული, ასევე კოლხურ სამარხები, ძვ. წ. V საუკუნის</p>					

შუა წლებიდან მოყოლებული ელინისტური ეპოქის ჩათვლით, ცხადყოფენ აქაური დასახლების მეტროპოლიასთან მჭიდრო ურთიერთობის ფაქტს.

დასასრულს ნათქვამია, რომ ფიჭვნარი, როგორც შავიზღვისპირეთის გამორჩეული ძეგლი, უკვე რამოდენიმე ათეული წელია ინტენსიური კვლევის ობიექტს წარმოადგენს (ექსპედიციის უცვლელი ხელმძღვანელი პროფ. ამირან კახიძე). მოპოვებული მასალის ანალიზი წარმოდგენილია როგორც ექსპედიციის მიმდინარე ანგარიშებში, ასევე განმაზოგადებელ მონოგრაფიებში (სერია „ფიჭვნარი“).

უცხო ენაზე შესრულებულ ნაშრომს ახლავს ვრცელი რეზიუმე ქართულ ენაზე.

13	ოთარ თურმანიძე	აჭარის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	244-247
----	----------------	-------------------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

სტატიაში განხილულია აჭარის სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. დახასიათებულია მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, გაანალიზებულია აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ფორმები, მეფოდები და თავისებურებანი. შესწავლილია წარმოების ფორმები და მოცემულია ეკონომიკის განვითარების საერთო სურათი. ნაშრომში გაშუქებულია ავტონომიურ რესპუბლიკაში საერთო მდგომარეობა და ნაჩვენებია მისი პერსპექტივები.

14	ოთარ თურმანიძე	აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	244-247
----	----------------	---------------------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

სტატიაში შესწავლილია აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, მართვის ფორმები როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე, ისე ადგილობრივ ჭრილში (საქალაქო, სამაზრო (რაიონები), სასოფლო).

15	ოთარ თურმანიძე	საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა და სასულიერო პირების		თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	70-84
----	----------------	--------------------------------------------------------------	--	-------------------------------	-------

		რეპრესიები აჭარაში, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)			
ანოტაცია					
სტატიაში გაშუქებულია აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის თავისებურებანი, სასულიერო პირების საქმიანობა და ხელისუფლების მიერ მათ მიმართ განხორციელებული რეპრესიები, ნაჩვენებია ამ რეპრესიების შედეგები.					
16	ოთარ თურმანიძე	ქართული სამართლის საკითხები ივანე ჯავახიშვილის შრომებში, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	201-217
ანოტაცია					
ნაშრომში განხილულია ღვაწლმოსილი მეცნიერის ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართული სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლაში. ნაშრომში გაანალიზებულია ივანე ჯავახიშვილის კვლევა-ძიების მიღწევები, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები, მეცნიერულადაა შეფასებული მისი წვლილი ქართული სახელმწიფოსა და სამართლის საკითხების შესწავლაში.					
17	ოთარ თურმანიძე	ერთი სოფლის რეპრესირებულთა ისტორია, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	280-301
ანოტაცია					
სტატიაში განხილულია შუახევის მუნიციპალიტეტის უჩამბის საკრებულოს სოფელ სამოლეთის მოსახლეობის პოლიტიკური რეპრესიები 1937-1940 წლებში. სტატიაში ერთი სოფლის მაგალითზე ნაჩვენებია პოლიტიკური რეპრესიების ხასიათი, მასშტაბი და საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის არაადამიანური ქმედებანი.					
18	ოთარ თურმანიძე	ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ისტორია, – კრ.: ბათუმი – წარსული	VII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო	იბეჭდება

		და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენ- ციის მასალები)		უნივერსიტეტი”	
ანოტაცია					
სტატიაში განხილულია მისი დაარსების მიზანი და მნიშვნელობა ცარიზმის მიერ მხარის კოლონიურ ათვისებაში. ნაშრომში შესწავლილია საზოგადოების სტრუქტურები, მართვის ფორმები. განხილულია ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ისეთი დანაყოფები, როგორცაა სანერგეები, სასაწყობო მეურნეობა, მეტეოროლოგიური სადგურები, ბოტანიკური ბაღი და სხვა. ჯეროვნადაა შეფასებული ა. კრასნოვის დამსახურება ბოტანიკური ბაღის დაარსებაში, მისი კავშირგაბმულობანი მსოფლიოს შესაბამის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებთან.					
19	ოთარ თურმანიძე	აჭარაში 1937-1938 წლების რეპრესიების მასშტაბი და სადამსჯელო ინსტრუმენ- ტები, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები	I (VI)	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	იბეჭდება
ანოტაცია					
ნაშრომში გაშუქებულია ავტონომიურ რესპუბლიკაში პოლიტიკური რეპრესიების ხასიათი, მასშტაბი, დახასიათებულია სადამსჯელო ორგანოების დანაშაულებრივი ქმედებანი და მისი შედეგები.					
20	უჩა ოქროპირიძე	აჭარა 1878-2010 წლებში,– კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	38-49
ანოტაცია					
სტატიაში მოცემულია აჭარის მოკლე ისტორია მისი რუსეთთან შეერთებიდან დღევანდელობამდე, რომელშიც განხილულია მხარის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა 1878-2010 წლებში. მოთხრობილია აჭარის შემოერთების შემდეგდროინდელ პერიოდში აქ განვითარებული მოვლენების, კერძოდ, – მუჰაჯირობის, რეგიონის ბრძოლა კოლონიალიზმისა და რუსიფიკაციის წინააღმდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, მხარის გასაბჭოების, სოციალისტური წყობილების					

პერიოდისა და მის მიერ დამოუკიდებლობის საბოლოო აღდგენის შესახებ. მოცემულია ბოლო ხანს აქ განვითარებული მოვლენების მოკლე შეჯამება.

21	უჩა ოქროპირიძე	ქობულეთის მუნიცი- პალიტეტი, – კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	281-297
----	---------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის მდებარეობა, საზღვრები, ადმინისტრაციული მოწყობა, ფლორა, ფაუნა, ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები, ისტორია, სახალხო დღესასწაულები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, საკურორტო ადგილები, ბუნების ღირსშესანიშნაობანი, ტურისტული მარშრუტები და ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი თვალსაზრისით საინტერესო სხვა ობიექტები თუ საკითხები.

22	უჩა ოქროპირიძე	ხელვაჩაურის მუნიცი- პალიტეტი, – კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	298-316
----	---------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მდებარეობა, საზღვრები, ადმინისტრაციული მოწყობა, ფლორა, ფაუნა, ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები, ისტორია, სახალხო დღესასწაულები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, საკურორტო ადგილები, ბუნების ღირსშესანიშნაობანი, ტურისტული მარშრუტები და ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი თვალსაზრისით საინტერესო სხვა ობიექტები თუ საკითხები.

23	უჩა ოქროპირიძე	ხულოს მუნიციპა- ლიტეტი, – კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	369-386
----	---------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ხულოს მუნიციპალიტეტის მდებარეობა, საზღვრები, ადმინისტრაციული მოწყობა, ფლორა, ფაუნა, ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები, ისტორია, სახალხო დღესასწაულები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, საკურორტო ადგილები, ბუნების ღირსშესანიშნაობანი, ტურისტული მარშრუტები და ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი თვალსაზრისით საინტერესო სხვა ობიექტები თუ საკითხები.

24	უჩა ოქროპირიძე	ქართული ასომთავრული, საკრალური პოეზია, – კრ.: ჩვენი სულიერების ბალავარი (საერთაშორისო სამეცნიერო კონ- ფერენციის მასალები)	VIII	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	239-251
----	-------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------	----------------------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომი წაკითხული იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის პლენარულ სხდომაზე. მასში ლაპარაკია ქართულ ასომთავრულში ჩადებულ საკრალურ საიდუმლოზე. გახსნილია ქართული ასომთავრული ანბანის წრით გამოხატულ სისტემაში ვარსკვლავის ჩასმის ნამდვილი არსი და საიდუმლო, რის შედეგადაც მიღებული იქნა უჩა ოქროპირიძის „დაიცევი“ სისტემა თავისი 5 (ხუთი) კვირეულით, რომელთაგან პირველის, მასში ჩახატული ორი ჯვრის მეშვეობით წაკითხული (8 რვა) ასო ნიშნის, შინაარსი ასეთია: „აე გზა ელი“, ანუ „აე გზა უფლისა“ (ა-ე |გ-ზ-ა| ე-ლი = არსთა საწყისის წმინდა ენა| მიწიერი ზენა არსი| წმინდა ენის სულიერი სავანე (ამ შემთხვევაში უფალი იესო ქრისტე - უ. ო.)

25	უჩა ოქროპირიძე	კიდევ ერთხელ ბრესტის ზავის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრუ- ლებების შესახებ, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენ- ციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	180-200
----	-------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომი წაკითხული იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის პლენარულ სხდომაზე, რისი მიზეზიც იყო ამ ბოლო დროს ბრესტის ზავის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებისა და მასთან დაკავშირებული საკითხებისადმი განსაკუთრებით გაზრდილი ინტერესი. მოხსენებაში არის რეალური მცდელობა, ერთი კონფერენციის ფარგლებში, შესაძლო პასუხი გაეცეს აღნიშნული მოვლენების ირგვლივ ხელოვნურად შექმნილ აჟიოტაჟს და მათით არაჯანსაღი მანიპულირების მცდელობებს ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოებრიობის არაკეთილმოსურნეთა მხრიდან. მასში მოყვანილი ისტორიული ფაქტების, ისტორიული დოკუმენტებისა და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე ხაზგასმულია მსგავსი მცდელობათა სრული უნაყოფობა.

26	უჩა ოქროპირიძე	კიდევ ერთხელ მოსკოვისა და ყარსის ხელ- შეკრულებების შესახებ, – საქართველოს მეცნი- ერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლო- გიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია)	II	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადე- მიის სტამბა	იბეჭდება
ანოტაცია					
ნაშრომი წარმოადგენს შემოკლებულ ვარიანტს მოხსენებისას, რომელიც წაკითხული იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ პლენარულ სხდომაზე (იხ. ზემოთ)					
27	უჩა ოქროპირიძე	დაპაუზებული ისტორია, ანუ თქმა მართლისა სიმართლისა, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები	I(VI)	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	იბეჭდება
ანოტაცია					
სტატია წარმოადგენს გამოხმაურებას მონოგრაფიაზე „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში“, რომელშიც განხილულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობებისა და მათდამი ქართული საზოგადოების დამოკიდებულების საკითხები XVIII საუკუნიდან თერგდალეულების მოღვაწეობის დასაწყისამდე					
28	მაია ჭიჭილეი- შვილი	ეკლესია-მონასტრები, – კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	140-145
ანოტაცია					
ნაშრომი წარმოადგენს კრებულის VI თავის – ტრადიციული მატერიალური კულტურა – ქვეთავს. მასში განხილულია აჭარის მატერიალური კულტურის, შუა საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურის ნიმუშები – ხინოწმინდის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, თხილვანის იოანე მახარობლის, სხალთის მცირე და დიდი					

დარბაზული ეკლესიები, ვერნების, ვანაძეების, კალოთის, ხიხანის ციხის, ცხრაფონას ეკლესიების მხატვრულ-არქიტექტურული თავისებურებები. მატერიალური კულტურისა და ისტორიული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ქრისტიანული სალოცავები XIX საუკუნემდე იყო შემორჩენილი ქობულეთ-ბათუმის მიდამოებში. ისინი წამოაჩენენ ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ეტაპობრივ ნიშნებს და ადასტურებენ, რომ აჭარას, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, თავისი წვლილი შეჰქონდა ქრისტიანული კულტურის საგანძურში.

29	მაია ჭიჭილე- შვილი	სახვითი და გამოყენებ- თი ხელოვნება აჭარაში, – კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	161-166
----	--------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია აჭარის ტერიტორიაზე გამოვლენილი სახვითი ხელოვნების – შუა საუკუნეების რელიგიური ქანდაკების (კალოთის – X ს , ხინოწმინდის – X ს, ცხრაფონას – XVI-XVII სს), მონუმენტური კედლის მხატვრობის (სხალთის ფრესკები – XIV-XV სს-ის მიჯნა) , მცირე არქიტექტურული ფორმების (ვანაძეების ეკლესიის კანკელი – XIII ს-ის პირველი ნახევარი) ნიმუშები. თოთოეული მათგანი წარმოაჩენს თანადროული ეტაპის ქართული ხელოვნების სტილისტურ ნიშნებს, ქართული ხელოვნების სხვადასხვა ეპოქის ზოგადქართულ მხატვრულ მიღწევებს და წარმოადგენენ მაღალი მხატვრული დონის ნიმუშებს.

30	მაია ჭიჭილე- შვილი	ხელოვნება, – კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	236-243
----	--------------------------	--------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია აჭარის სამუსიკო ხელოვნების, ქორეოგრაფიის, თეატრალური ხელოვნების, არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ისტორიის საკითხები: რეგიონის საგუნდო ხელოვნება, მუსიკალური ფოლკლორი, სამუსიკო სასწავლებელთა და საოპერო დასის ისტორია; განხილულია ეროვნული საცეკვაო ნიმუშები, საბალეტო ხელოვნების ისტორია; ბათუმში თეატრალური დასის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხები; ბათუმის განაშენიანების თავისებურებები, სახვითი ხელოვნების, აჭარის მხატვრობისა და ქანდაკების ისტორიული განვითარების ხაზი.

31	მაია ჭიჭილე- შვილი	სხალთის საეკლესიო კომპლექსი, –		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა	400-403
----	--------------------------	-----------------------------------	--	----------------------------------	---------

	შვილი	კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	
ანოტაცია					
<p>ნაშრომში განხილულია სხალთის საეკლესიო კომპლექსში შემავალი ნაგებობების ხუროთმოძღვრება, კედლის მხატვრობა. წამოჩენილია სხალთის ტაძრის არქიტექტურისა და ფრესკების მხატვრული თავისებურებები და მათი მნიშვნელობა ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიაში. სხალთის არქიტექტურა XIII საუკუნის შუა წლებით თარიღდება, მისი არქიტექტურული გადაწყვეტა თავის ეპოქასთან მჭიდროდ დაკავშირებული ხუროთმოძღვრის შემოქმედებითი ნიჭისა და დახვეწილი მხატვრული გემოვნების გამოხატულებაა. სხალთის მხატვრობა მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების საფუძველზე XIV-XV საუკუნეების მიჯნით თარიღდება, ხასიათდება ვრცელი, განვითარებული იკონოგრაფიული პროგრამითა და გააზრებული კომპოზიციური გადაწყვეტით. იგი ე.წ. პალეოლოგოსური სტილის ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშია, რომელიც საქართველოსა და ბიზანტიაში განსწავლული ოსტატების მიერ უნდა იყოს შესრულებული.</p>					
32	მაია ჭიჭილეი-შვილი	ბათუმის ერთი სახლის ისტორია, – კრ.: თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	II	ქუთაისი, გამომც. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	405-408
ანოტაცია					
<p>ნაშრომში განხილულია XX საუკუნის 10-იან წლებში აგებული ცნობილი მრეწველის ნიკოლოზ საბაშვილის სახლი, რომელიც ძველი ბათუმის არქიტექტურის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია. სამსართულიანი, რენესანსულ-ბაროკული სტილის პომპეზური შენობა, მის მიმდებარე მასშტაბურ ნაგებობებთან ერთად მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქალაქის ისტორიული ნაწილის ურბანულ სახეს. ქუჩათა გადაკვეთაზე მდგარ ნაგებობას გამორჩეულ იერს არქიტექტურული ელემენტების (რუსტიკა, კორინთული ნახევარსვეტები, პილასტრები, დიდი ზომის კრონშტეინებს დაყრდნობილი ქვის ბალუსტრადიანი აივნები) და პლასტიკური დეკორის განსაკუთრებული სიუხვე – ერკერის საყრდენი ატლანტების ფიგურები და თაღოვან ფრონტონებში ჩასმული მუზარადიანი ტიტანების მონუმენტური თავები ანიჭებს. სწორედ ადგილმდებარეობის, სივრცისა და მასშტაბის მაორგანიზებელი მნიშვნელობის, ფასადის მწყობრი</p>					

კომპოზიციური სტრუქტურის, უხვად ნაძერწი ორნამენტული ელემენტებისა და სკულპტურული დეკორის წყალობით ნაგებობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველი ბათუმის განაშენიანებაში. ნ. საბაშვილის საცხოვრებელი სახლის სკულპტურებით შემკობა ცნობილი ქართველი მოქანდაკის – სერაფიმე პოლოლიკაშვილის (1870-1918) სახელთანაა დაკავშირებული.

33	მაია ჭიჭილეი- შვილი	ძველი ბათუმის ქუჩების განაშენიანება (მემედ აბაშიძის გამზირი), – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენ- ციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	308-323
----	---------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია მ. აბაშიძის ქუჩის განაშენიანება, რომლის დიდი ნაწილი ავთენტურობით გამორჩეულ ანსამბლს წარმოადგენს. ქუჩის ურბანული ქსოვილი XIX-XXI საუკუნის არქიტექტურის განვითარების ყველა ეტაპს შეიცავს. ქუჩის კულტურული მემკვიდრეობის თითოეული ძეგლი, ისევე როგორც მთლიანი ანსამბლი, დასაცავ ფასეულობას წარმოადგენს.

34	მაია ჭიჭილეი- შვილი	ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის შენობის არქიტექტურა, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები	I(VI)	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	იბეჭდება
----	---------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------	-------------------------------------------------------------------------------	----------

ანოტაცია

ნაშრომში შესწავლილია XX საუკუნის დასაწყისში აგებული შენობის არქიტექტურა, რომელშიც ბათუმის ნავთობინდუსტრიაში მოღვაწე შვედ მეწარმეებს, ლუდვიგ, ემანუელ და ალფრედ ნობელებს თავისი „ბათუმის კანტორა“ ჰქონდათ გახსნილი. ასიმეტრიული გეგმის მქონე შენობა ხასიათდება მაღალი კოშკისა და სწორკუთხა მოცულობების შერწყმით. ვიწრო თაღოვანი სარკმლებით დანაწევრებული სამიარუსიანი კოშკი იმპოზანტურობასა და შუა საუკუნეებრივ იერს ანიჭებს ნაგებობას. 2007 წლიდან, შენობაში განთავსებულია ტექნოლოგიური მუზეუმი.

35	მაია ჭიჭილე- შვილი	ბათუმის ბულვარის ისტორია (XIX-XX სს-ის მიჯნა), – კრ.: ხელოვნებათმცოდ- ნეობითი ეტიუდები	VII	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	იბეჭდება
----	--------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------	-----	----------------------------------	----------

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ბათუმის ბულვარის ჩამოყალიბებისა და განვითარების პირველი პერიოდი. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბებული იყო ბულვარის ძირითადი სტრუქტურა, გეგმარება, გამწვანების ხასიათი, ფუნქცია. მის გეგმარებას ახასიათებს რეგულირებული წყობა, გამწვანებული მონაკვეთების დაყოფა ქალაქის მომიჯნავე კვარტლების პარალელურად, შესასვლელი ღერძების განთავსება ზღვაზე გამავალი ქუჩების ხაზზე. მის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს მცენარეული საფარი, საგანგებოდ მოწყობილი სივრცეები წყნარი დასვენებისა და სპორტული აქტივობებისათვის. ბულვარის გეგმარება და საპარკო სტრუქტურა თითქმის დღემდეა შენარჩუნებული.

36	ოლეგ ჯიბაშვილი (თანაავტორი ისტ.მეცნ.დოქ ტ. ბიჭიკო დიასამიძე)	აჭარა VI-XIX საუკუ- ნეებში, – კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	29-37
----	-----------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------------------	-------

ანოტაცია

სტატიაში გაშუქებულია აჭარის ისტორიის ფეოდალური ხანა (V-X სს. – ადრეფეოდალური ხანა, XI ს. - XVI ს.-ის შუა წლები – განვითარებული შუა საუკუნეები, XVI ს.-ის II ნახევრიდან 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომამდე – ოსმალთა ბატონობის ხანა). ყურადღება გამახვილებულია თითოეული ქვე-ეტაპის მნიშვნელოვან მომენტებზე, მათ შორის, XIX ს.-ში ოსმალთა წინააღმდეგ გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და მის ლიდერებზე. კრებულის სპეციფიკიდან გამომდინარე, სათანადო ადგილი აქვს დათმობილი აღნიშნული საუკუნეებით დათარიღებულ საფორტიფიკაციო და ქრისტიანულ საეკლესიო ნაგებობებს, ქვის თაღოვან ხიდებსა თუ ისტორიისა და კულტურის სხვა ძეგლებს.

37	ოლეგ ჯიბაშვილი	ქედის მუნიციპალიტეტი, – კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო	317-339.
----	-------------------	---------------------------------------------------------------------------	--	--------------------------------------------------------------	----------

		რესურსები		უნივერსიტეტი”	
ანოტაცია					
სტატიაში განხილულია ქედის მუნიციპალიტეტის მდებარეობა, საზღვრები, ადმინისტრაციული მოწყობა, ფლორა, ფაუნა, ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები, ისტორია, სახალხო დღესასწაულები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, საკურორტო ადგილები, ბუნების ღირსშესანიშნაობანი, ტურისტული მარშრუტები და ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი თვალსაზრისით საინტერესო სხვა ობიექტები თუ საკითხები.					
38	ოლეგ ჯიბაშვილი	შუახევის მუნიციპალიტეტი, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	340-368.
ანოტაცია					
სტატიაში განხილულია შუახევის მუნიციპალიტეტის მდებარეობა, საზღვრები, ადმინისტრაციული მოწყობა, ფლორა, ფაუნა, ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები, ისტორია, სახალხო დღესასწაულები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები, საკურორტო ადგილები, ბუნების ღირსშესანიშნაობანი, ტურისტული მარშრუტები და ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი თვალსაზრისით საინტერესო სხვა ობიექტები თუ საკითხები.					
39	ოლეგ ჯიბაშვილი	ჯანდაცვის განვითარების ისტორიიდან ქედის მუნიციპალიტეტში, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	218-234
ანოტაცია					
ნაშრომში შესწავლილია ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა ქედის მუნიციპალიტეტის ფარგლებში დროის სხვადასხვა მონაკვეთში. სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის მონაცემებზე დაყრდნობით თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები ჯანდაცვის განვითარების დინამიკა, სამედიცინო დაწესებულებათა და პერსონალის ეტაპობრივი ზრდა როგორც რაოდენობრივი, ისე მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროფესიული მომზადების დონის თვალსაზრისით. გაშუქებულია, აგრეთვე, ზოგიერთი ქედელი მედიკოსის საქმიანობა.					
40	ოლეგ ჯიბაშვილი (თანაავტორი ისტ. დოქ.	1878 წლის აგვისტოს დღეები ბათუმში, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა	VII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო	257-263

	ხათუნა დიასამიძე)	(საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენ- ციის მასალები)		უნივერსიტეტი”	
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ნაშრომში აღნიშნულია, რომ ბათუმი, თავისი მოხერხებული გეოსტრატეგიული მდებარეობითა და პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობით, ადრიდანვე იქცევდა რუსეთის მზარდი სახელმწიფოს ყურადღებას. XIX საუკუნის მანძილზე ოსმალეთთან გადახდილი არაერთი წარმატებული ომისა, რუსეთმა ვერაფრით შესძლო ბათუმის დაუფლება. ეს მხოლოდ 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად მოხერხდა. ოსმალეთი დამარცხდა და იძულებული გახდა რუსეთისათვის ზავი შეეთავაზებინა. 1878 წ. 19 თებერვლის (3 მარტის) სან-სტეფანოს ზავით რუსეთმა ოსმალეთისაგან სერიოზული პოლიტიკური და ტერიტორიული დათმობები მიიღო, მათ შორის, ბათუმიც.</p> <p>ნათქვამია, რომ რუსეთის წარმატებებმა შეაშფოთა ევროპის სახელმწიფოები, ისინი საქმეში ჩაერივნენ და სცადეს მისი გამარჯვების გაქარწყლება. ყველაზე მეტად ინგლისი აქტიურობდა. ინგლისურ და რუსულ წყაროებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ დიდი ბრიტანეთი ცდილობდა ბათუმის სანჯაყში ადგილობრივი მოსახლეობის ანტირუსული აჯანყების პროვოცირებაც მოეხდინა. ამით წაქეზებული ოსმალეთი ახალი ომისათვის სამზადისს შეუდგა. ასეთ ვითარებაში რუსეთი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ბერლინის კონგრესის მოწვევას და სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვას.</p> <p>ბერლინის კონგრესზე (1878 წ.-ის 1 (13) ივნისი – 1 (13) ივლისი) რუსეთმა შეძლო სან-სტეფანოს ხელშეკრულების ძირითადი მუხლების შენარჩუნება. ინგლისის თანხმობით და ბერლინის ტრაქტატის ძალით, მასვე დარჩა ბათუმიც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პეტერბურგში ბოლო მომენტამდე არ სჯეროდათ ოსმალთაგან ბათუმის დათმობის შესაძლებლობისა. სტატიაში დასაბუთებულია, რომ ბათუმის რუსეთის ფარგლებში დარჩენა როტშილდების გავლენიანი გვარის ჩარევამ განაპირობა. მათ ბათუმთან დაკავშირებით თავისი ეკონომიკური ინტერესები გააჩნდათ.</p> <p>მითითებულია, რომ ბათუმში რუსეთის საჯარისო ნაწილები სამი მხრიდან შევიდნენ: 25 აგვისტოს (6 სექტემბერს) ქობულეთის მხრიდან – კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილის ნ. სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით; 30 აგვისტოს (11 სექტემბერს) – ართვინის გზით ჭოროხზე გამოვლით გენერალ კ. კომაროვის, ხოლო 2 (14) სექტემბერს ახალციხის გზით ზემო აჭარის გავლით – გენერალ ტრეიტერის ხელმძღვანელობით. ბათუმის თურქულმა ხელისუფლებამ ქალაქი საზეიმო ვითარებაში გადასცა რუსეთის წარმომადგენლობას.</p>					
41	ოლეგ ჯიბაშვილი (თანაავტორი	სახალხო ზეიმად ქცეული იუბილე, – საქართველოს მეცნიერე-	II	თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა	იბეჭდება

	ისტ. დოქ. ხათუნა დიასამიძე	ბათა ეროვნული აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია)		ეროვნული აკადემიის სტამბა	
<p>ანოტაცია</p> <p>1908 წელს ქართველმა ერმა თავისი ღირსეული შვილისა და ყველასათვის საყვარელი პოეტის, აკაკი წერეთლის შემოქმედებითი საქმიანობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე აღნიშნა. ნაშრომში აღნიშნულია, რომ საიუბილეო დღეები ნამდვილ სახალხო დღესასწაულად გადაიქცა; და რომ ერის მიერ ერთი კონკრეტული პირის მიმართ გამოვლენილმა სითბომ, გულწრფელმა სიყვარულმა და საყოველთაო პატივისცემამ მანამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია.</p> <p>ნათქვამია, რომ საიუბილეო საღამოები რიგ-რიგობით ტარდებოდა საქართველოს ქალაქებში. ბათუმში აკაკის იუბილე 1909 წლის 14 იანვარს აღინიშნა. რკინიგზის სადგურში აკაკის უამრავი ხალხი დახვდა ყვავილებითა და აღფრთოვანებული შემახილებით. ახალგაზრდებმა ეტლიდან ცხენები გამოხსნეს, თავად შეებნენ შიგ და ასე მიიყვანეს აკაკი დანიშნულების ადგილზე. საიუბილეო საღამო საზეიმო ვითარებაში ჩატარდა. ამ და სხვა არგუმენტებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, რომ მთელი საქართველოს მსგავსად, ბათუმმაც უდიდესი სიყვარული და პატივისცემა გამოხატა საყვარელი პოეტის მიმართ.</p> <p>ნაშრომში დასაბუთებულია, აგრეთვე, რომ აკაკი წერეთლის იუბილეს ასეთი მასშტაბური აღნიშვნა გამოწვეული იყო იმით, რომ, ჯერ ერთი, აკაკი თავისი შემოქმედებითა და პიროვნული თვისებებით ამას ნამდვილად იმსახურებდა, და მეორეც, საიუბილეო დღეების სახალხო დღესასწაულად გადაქცევით ქართველმა ერმა ილიას მკვლელობით დათრგუნული ეროვნული თავმოყვარეობის რეაბილიტაცია მოახდინა.</p>					
42	<p>ოლეგ ჯიბაშვილი (თანაავტორი ისტ.მეცნ.დოქტ. ბიჭიკო დიასამიძე)</p>	<p>ბსუ-ს ნიკო ბერძენი-შვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების 2015 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები</p>	I (VI)	<p>ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”</p>	იბეჭდება
<p>ანოტაცია</p>					

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით შედგენილ ანგარიშში წარმოდგენილია განყოფილების მეცნიერი თანამშრომლების მიერ შესრულებული წლიური ნაშრომების (გარდამავალი პროექტის მიმდინარე ეტაპის) ერთიანი ვრცელი ანალიზი (ანოტაცია), ასევე, წლის მანძილზე გამოქვეყნებული ნაშრომების (წიგნები, სტატიები), სამეცნიერო კონფერენციებზე (საერთაშორისო, ადგილობრივი) გამოტანილი მოხსენებების და ჩატარებული სავსე ექსპედიციების აღწერა-ანოტაციები, განხილულია განყოფილების წევრთა მიერ შესრულებული სხვა აქტივობები (საორგანიზაციო და სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა, სატელევიზიო და რადიოგადაცემებში მონაწილეობა, სასწავლო პროცესებში ჩართულობა და სხვ.)

43	<p>ოლეგ ჯიბაშვილი (თანაავტორი ისტ.მეცნ.დოქტ. ბიჭიკო დიასამიძე)</p>	<p>შუახევის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 11-13 სექტემბერს ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციის ანგარიში, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები</p>	I (VI)	<p>ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”</p>	იბეჭდება
----	-------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------	--------------------------------------------------------------------------	----------

ანოტაცია

ანგარიშში შეჯამებულია შედეგები ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მიერ ჩატარებული ისტორიულ-არქეოლოგიური დაზვერვითი ექსპედიციისა, რომელიც მოეწყო შუახევის მუნიციპალიტეტში (ჭვანის და მარეთის ხეობებში) შემდეგი მარშრუტით: **ბათუმი-ჭვანა-წყლისაყარი-შუახევი-უჩამბა-ტბეთი-შუახევი-ოლადაური-შუბანი-ბათუმი.**

ნათქვამია, რომ ექსპედიციამ მიზნად დაისახა აღნიშნულ ხეობებში არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლების მონახულება, სადღეისო მდგომარეობის ფიქსირება და დამატებითი ინფორმაციების მოპოვება მათზე; გარდა ამისა, ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო ახალი ობიექტების აღმოჩენა-აღწერა, საინტერესო თქმულება-გადმოცემების, ტოპონიმთა ნიმუშების, ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი და სხვა მასალების მოძიება-შეკრება.

აღნიშნულია, რომ საექსპედიციო ჯგუფმა წარმატებით გაართვა თავი დასახული ამოცანების შესრულებას. შეგროვდა საჭირო ინფორმაცია, განხორციელდა ფოტოგადაღებები.

განსაკუთრებით, ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ ოფიციალურად პირველად იქნა დაფიქსირებული აჭარისწყლის ხეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობის, კერძოდ, **მახალაკიძეების ციხის** მდებარეობა და

მდგომარეობა, და რომ ასევე პირველად დაფიქსირდა ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მცირე მოვაკებული ადგილი სახელწოდებით – რაბათი. რაბათი მცირე სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს ეწოდებოდა და ასეთი ტიპის დასახლებები შუასაუკუნეებში აჭარისწყლის ხეობის არაერთი ციხის გვერდით არსებობდა, თუმცა, დღევანდლამდე მხოლოდ მახალაკიძეების ციხის ძირთან მდებარე ადგილმა შემოინახა ეს ტოპონიმი.

მითითებულია, აგრეთვე, რომ ექსპედიციამ ბევრი სხვა საინტერესო ნიუანსი დააფიქსირა. მოპოვებული ფოტო-მასალით შეივსო ინსტიტუტის ფოტო-არქივი. გამოიკვეთა სამომავლო გეგმები და სამუშაო მიმართულებები.

44	ირინე ვარშალომიძე	კირმანეული თეთრი სოფელ აჭყვისთავიდან, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VI	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	266-269
----	-------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----	-------------------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება 2014 წელს აჭყვისთავში (ქობულეთი) ნაეკლესიარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ კირმანეული თეთრს (XIII-XIV სს), შესავალში ავტორს მოხმობილი აქვს ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის, კერძოდ მონღოლთა ბატონობის, დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გადმოსვლის მიზეზები, ურთიერთობა ტრაპიზონის სამეფოსთან. გახილულია ჩვენში ტრაპიზონის ასპრების მიმოქცევისა და მათი პოპულარობის ასპექტები, კირმანეული თეთრის ემისიისა ლეგალურობისა და ემიტენტეს საკითხები, აჭყვისთავში აღიშნული ნუმიზმატიკური ძეგლის დალექვის მიზეზები.

45	ირინე ვარშალომიძე	ბიზანტიური მონეტა ბათუმის შემოგარენიდან, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	264-266
----	-------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია 2015 წელს ბათუმში, მწვანე კონცხის დასახლებაში, შემთხვევით აღმოჩენილი სპილენძის მონეტა. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ესაა

ბიზანტიის იმპერატორ იოანე ციმისხეს (969-976წწ) სახელით მოჭრილი ბიზანტიური საფასე. მიმოხილულია საქართველო ბიზანტიის ურთიერთობები IV საუკუნიდან, ბიზანტიური ფულების ჩვენში შემოსვლის მიზეზები და გზები, მეათე საუკუნის დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევა, მასში ბიზანტიური ფულის დომინანტური როლი, აჭარის ზღვისპირა ზოლის აქტიური ჩართულობა ბიზანტიასთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში და ა.შ.

46	რუსლან ბარამიძე	აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	8–15
----	------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------	------

ანოტაცია

სტატიაში დახასიათებულია აჭარის მდებარეობა, ტერიტორია და საზღვრები, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მდინარეები, მთები, ტბები და ჭაობები, სასარგებლო წიაღისეული, ნიადაგები, მცენარეული საფარი, ცხოველთა სამყარო. რეკრეაციული რესურსები. ვრცლადაა განხილული დაცული ტერიტორიები (ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი, ქობულეთის აღკვეთილი, კინტრიში, მტირალასა და მაჭახლის ეროვნული პარკები) აქ არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებით, ფლორისა და ფაუნის ელემენტებით.

47	რუსლან ბარამიძე	მუსლიმები, მეჩეთები, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	77–78 146–148
----	------------------------	------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------	------------------

ანოტაცია

სტატიები, რომლებიც პარაგრაფების სახით შესულია დასახელებულ კრებულში (თავი VI), დახასიათებულია აჭარაში ისლამის გავრცელების დრო, პირობები და თავისებურებანი, აჭარის მოსახლეობის მდგომარეობა ოსმალთა ბატონობის დროს, ამ ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ (რუსეთის მმართველობის წლები) და საბჭოთა ხელისუფლების წლებში. სტატიაში მოთხრობილია, რომ ისლამის გავრცელებას აჭარაში მოყვა მეჩეთების მასობრივად გავრცელება, რაც რუსეთის მმართველობის წლებშიც გრძელდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. მოტანილია სტატისტიკური მასალები: მარტო 1871–1873 წლებში ზედა და ქვედა აჭარის, გონიოს, ბათუმის, ჩურუქ-სუს კაზებში 14 მეჩეთი და 206 მუსლიმური სასწავლებელი არსებობდა მედრესეების სახით. ყურადღება გამახვილებულია ხის მეჩეთების ინტერიერის შემკულობაზე, რომელთა შემსრულებლები (მეჩუქურთმეები) ძირითადად ლაზი ოსტატები იყვნენ. მეჩეთები

როგორც შენობები, განხილულია, როგორც ხალხური ხელოსნობისა და ხითხურობის ნიმუშები, რომლებიც აღმოცენებულია კოლხური ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე.

48	რუსლან ზარამიძე	ისლამი საქართველოში, – კრ.: ქართველები (სერია “სამაგიდო წიგნების 2 ათეული”)		თბილისი, გამომც. „პალიტრა L”,	500-507
----	----------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------	--	----------------------------------	---------

ანოტაცია

სტატიაში შესწავლილია საქართველოში მცხოვრები ქართველი მუსლიმების ისტორია, განსახლების გეოგრაფია, ეთნოგრაფიული ყოფა, ტრადიციები, ყოველდღიური ცხოვრების ნორმები და თავისებურებები და სხვა მონაცემები. სტატია ილუსტრირებულია.

49	ჯემალ ვარშალომიძე	ებრაელები, – კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	72-73
----	------------------------------	---------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------------------	-------

ანოტაცია

სტატიაში, რომელიც ცალკე პარაგრაფის სახით იბეჭდება დასახელებულ კრებულში (თავი IV, „ეთნიკური სტრუქტურა“), ძველი საისტორიო მწერლობის მონაცემების მიხედვით განხილულია ებრაელების პირველი ნაკადის საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩენა, რაც ძვ.წ.VI საუკუნით თარიღდება. საუბარია ებრაელთა მცირე ჯგუფის არსებობაზე აჭარაში, კერძოდ, ქალაქ ბათუმში ოსმალთა ბატონობის პერიოდში და მათ აქტიურ საქმიანობაზე ქალაქის სავაჭრო, სამრეწველო და კულტურულ ცხოვრებაში. ებრაელთა საოჯახო ურთიერთობა გაჯერებული ყოფილა დოგმებით – თორა და მოსეს კანონები წარმოადგენდა მათი ცხოვრების წესს. ბათუმის ებრაელთა თემს გააჩნდა საკვირაო სკოლები. ისინი ზრუნავდნენ მათი მრავალსაუკუნოვანი კულტურის შენარჩუნება-განვითარებისათვის, ყურადღება გამახვილებულია XX საუკუნის 70-იან წლებიდან დაწყებულ ებრაელთა რეპატრაციაზე, რომლის შედეგად მათი რაოდენობა აჭარაში 1600-დან (1959 წ) 2002 წლისათვის 161-მდე შემცირდა.

50	ჯემალ ვარშალომიძე	ბერძნები, – კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	66-68
----	------------------------------	--------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------------------	-------

ანოტაცია

სტატიაში, რომელიც ცალკე პარაგრაფის სახით შესულია დასახელებულ კრებულში

(თავი IV. „ეთნიკური სტრუქტურა“), არქეოლოგიური და სხვა მონაცემების საფუძველზე დახასიათებულია, რომ ბერძენთა პირველი დასახლებები ძველი ბათუმის ციხის მიდამოებში და სხვაგან (ციხისძირი, ფიჭვნარი) ჩნდება ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში და იგი უკავშირდება ბერძენთა კოლონიზაციას. სტატიაში შემდეგ საუბარია ბერძენთა საქართველოში ჩამოსახლებაზე ოსმალთა მიერ ბიზანტიის დაპყრობის ხანაში და მათ ისლამურ გარემოცვაში მოქცევაზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ბერძენთა ჩამოსახლებაზე ბათუმსა და მის ახლო-მახლო სოფლებში (ახალშენი, დაგვა) 1870-იან და პირველ მსოფლიო ომის წლებში, სადაც მათი კომპაქტური დასახლებები არსებობდა. წარმოჩენილია აჭარაში მოსახლე ბერძენთა თვალსაჩინო წვლილი სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ჯანდაცვის განვითარებაში, მათი მჭიდრო კონტაქტები და ურთიერთობანი ადგილობრივ მოსახლეობასთან. საუბარია ბერძენთა რეპატრიაციაზე, რომელიც გასული საუკუნის ბოლოდან დაიწყო და რასაც აჭარაში მათი შემცირება მოყვა.

51	ჯემალ ვარშალომიძე	დეკორატიული ხელოვნება აჭარაში, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	166-174
----	--------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომში დახასიათებულია დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები ხალხური ორნამენტების სახით, რომლებიც წარმოდგენილია აჭარაში გავრცელებულ საყოფაცხოვრებო ნივთებზე, ხის საცხოვრებელ ნაგებობებზე, მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებზე. მთავარი ყურადღება გამახვილებულია ქვის ბუხრებისა და მუსლიმური საკულტო ძეგლების (ხის მეჩეთები) შემკულობაზე, ორნამენტის სახეებზე და გააზრებულია მათი მნიშვნელობა. საინტერესო ჩანს მეჩეთების ორნამენტში შენიღბული, უჩინრად ჩაქსოვილი ჯვრის, როგორც ქრისტიანობის გამოსახულების, არსებობა, რაც სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია აჭარის ქრისტიანი მოსახლეობის პასიური ბრძოლის გამომხატულებად ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ. ხეზე წარმოდგენილი მდიდრული ორნამენტი შეფასებულია ვახუშტის (XVIII საუკუნე) მიერ აჭარლებზე გამოთქმული შეფასების ჭრილში: „აჭარლები არიან კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“. აჭარელ „ხის მუშაკთა“ გვერდით ნაშრომში ასევე წარმოჩენილია ლაზი „ხის მუშაკების“ წვლილი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში და ხალხური დეკორატიული ხელოვნების განვითარებაში.

52	ჯემალ ვარშალომიძე	საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	136-140
----	--------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

სტატიაში ეთნოგრაფიული საექსპედიციო მასალების, სპეციალური ეთნოგრაფიული და სხვა ლიტერატურის მონაცემების მიხედვით აჭარული საცხოვრებელი ნაგებობანი განხილულია, როგორც ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების განვითარებული ნიმუში თავისი სართულიანობით, ოთახების რაოდენობითა და განლაგებით, რაც სრულად პასუხობდა თითოეული ოჯახის საზოგადოებრივ-საოჯახო (დიდი და პატარა ოჯახები) ინტერესებს, მეურნეობრივ თავისებურებებს. საუბარია საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა (სასიმინდეები, საბძელი) ტიპებზე, მათი ისტორიული განვითარების ეტაპებზე, სამშენებლო პროცესებზე, გადახურვის სისტემაზე, ცალკეული ოთახების ფუნქციონალურ დანიშნულებაზე. ამ მონაცემების მიხედვითაა დახასიათებული აჭარის მთის და ბარის ზონაში გავრცელებული საცხოვრებელი სახლები და სამეურნეო ნაგებობანი. სტატიაში საინტერესო მონაცემებია მოტანილი ქვემო აჭარაში არსებულ ლაზური ტიპის სახლებზე, რომლებიც ძირითადად მოწვეული ლაზი ოსტატების მიერ შენდებოდა.

53	ნოდარ კახიძე	იასე რაჭველის წერილები კონსტანტინოპოლში მცხოვრებ ქართველებზე, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	25-35
----	--------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------	-------

ანოტაცია

ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის იასე რაჭველის (იოსებ მეხუზლას) ცნობების საფუძველზე ნაშრომში დახასიათებულია კონსტანტინოპოლში სამცხე-ჯავახეთიდან გადასახლებულ გურჯებად ცნობილ კათოლიკე ქართველთა წვლილი ქართული თვითმყოფადი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისა და შესწავლის საქმეში. ყურადღება გამახვილებულია ჟურნალ „კვალში“ (1895, #2) დაბეჭდილ მეხუზლას წერილზე, რომელიც ტრიპოლში გადასახლებულ ქობულეთელ მემედ ჭყონიას ცხოვრებასა და საქმიანობას შეეხება.

54	ნოდარ კახიძე	ოსმალთა შემოსევებისა და გამუსლიმების პროცესის გამოძახილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში („ტბეთის სულთა მათიანის“ (XII-XVII საუკუნეები) მიხედვით), –	VII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	129-134
----	--------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------	---------

		კრ.: ჩვენი სულიერების ბალავარი (საერთაშორისო სამეცნიერო კონ- ფერენციის მასალები)			
--	--	-------------------------------------------------------------------------------------------	--	--	--

ანოტაცია

ნაშრომში დადგენილია, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან XVII საუკუნის დამდეგამდე „ტბეთის სულთა მატთანის“ შემწირველთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება გამოწვეული იყო XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული ოსმალთა შემოსევებით, რომელსაც შედეგად მოყვა ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის გამუსლიმება, ქრისტიანთა სალოცავების მოშლა და მოსახლეობის ნაწილის იძულებითი გადაადგილება მაშინდელი საქართველოს სხვა ქრისტიანულ კუთხეებში. მაჭახლის ხეობის შემწირველთა მაგალითზე (XII-XVII საუკუნეებში შემწირველთა დიდი ნაწილი ამ ხეობაზე მოდიოდა) მოტანილია კონკრეტული მაგალითები აქაური ქრისტიანი მოსახლეობის საქართველოს სხვა ქრისტიანულ კერებში გადაადგილებაზე ქრისტიანობის შენარჩუნების მიზნით და გამუსლიმების პროცესზე უარის თქმის პროტესტის ნიშნად.

55	ნოდარ კახიძე	ევგენი ვეიდენბაუმის ცნობები ბათუმის შესახებ (1878 წლის ჩანაწერების მიხედვით),– კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენ- ციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	23–30
----	--------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------------------	-------

ანოტაცია

რუსი მოგზაურის, ისტორიკოსისა და ეთნოლოგის ევგენი ვეიდენბაუმის ჩანაწერების („ართვინიდან ბათუმამდე“) საფუძველზე დახასიათებულია ბათუმის ნავმისადგომი, მისი ხელსაყრელი მდებარეობა, სადაც სხვადასხვა ქვეყნის დიდი და პატარა გემები იყრიდა თავს XIX საუკუნის 70-იან წლებში. განხილულია ბათუმის მაშინდელი კლიმატური პირობები, საცხოვრებელი და საბინაო პირობები, ქალაქის მოსახლეობის მდგომარეობა, ვაჭრობა, წყლით მომარაგება, ბერძნული ეკლესია, ქალაქისა და მისი შემოგარენის დაჭაობების გამომწვევი მიზეზები და ღონისძიებანი, რომლებიც ჭაობიანი ადგილების დასაშრობად ტარდებოდა.

56	ნოდარ კახიძე	მეურნეობის ტრადიციუ- ლი დარგები და		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა	86-124
----	--------------	---------------------------------------	--	----------------------------------	--------

		სამეურნეო ყოფა, – კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი რესურსები		რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	
ანოტაცია					
<p>სტატიაში აჭარის მაგალითზე დახასიათებულია მეურნეობის ტრადიციული დარგები (მემინდვრეობა, მევენახეობა–მელვინეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, მონადირეობა, ხელოსნობა–შინამრეწველობა) და სამეურნეო ყოფის საკითხები. ნაჩვენებია აჭარის, როგორც სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ისტორიულად დაწინაურებული რეგიონის, წვლილი მეურნეობის ჩამოთვლილი დარგების წარმოშობა–განვითარებაში. მეხილეობა–მელვინეობის მაგალითზე ამის დასტურად დახასიათებულია აჭარის ბარისა და მთის ზონაში მრავლად გავრცელებული ქვაში ნაკვეთი მარან–საწნახლები, მიწაში დაფლული სხვადასხვა ტევადობის ქვევრები, ხოლო ხელოსნობის მაგალითზე მითითებულია ცეცხლსასროლი კაჟიანი თოფებისა და დამბაჩების დამზადება, რითაც გამოირჩეოდა მაჭახლის ხეობა, დღევანდელი ქედის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სოფელი.</p>					
57	ნოდარ კახიძე	ხალხური დღესასწაულები, – კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	175–187
ანოტაცია					
<p>სტატიაში შესწავლილია აჭარის მთისა და მარის ზონაში გავრცელებული ხალხური დღესასწაულები: შუამთობა, კოლხობა, ტბელობა, დიდაჭარობა, მაჭახლობა, მარეთობა, მერისობა, ქედელობა, ქობულეთობა, ჩაქვისთავობა და ა.შ. ამათგან განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია შუამთობისა და კოლხობის დღესასწაულებზე, რომლებიც საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარეობს და განახლებული სახით 1970-იანი წლების ბოლოდან ტარდება. დადგენილია ამ დღესასწაულების გენეზისი, წარმოშობის საფუძვლები და აღწერილია მასთან დაკავშირებული რიტუალები.</p>					
58	ნოდარ კახიძე	აჭარის ეთნოგრაფიის საკითხები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის ხუთტომეულში, – კრ.: სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ეთნო-	IV	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	7-18

		ლოგიის პრობლემები			
ანოტაცია					
<p>სტატიაში დახასიათებულია ის ეთნოგრაფიული მასალები, რომლებიც შეკრებილია აჭარაში 1935 წელს საქართველოს მასშტაბით ჩატარებული საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის შემსწავლელი ექსპედიციის დროს და 1976–1992 წლებში გამოქვეყნდა ხუთტომეულის სახით ცხრა წიგნად. შესაბამიად, სტატიაში აღწერილია აჭარის (ხულოს, შუახევის, ქედის რაიონები) საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, კერამიკულ და ხის ნაკეთობათა დამზადება, ფეიქრობა, მემინდვრეობა–მეზოსტნეობა, მევენახეობა–მელვინეობა, მეხილეობა, მეთევზეობა–მონადირეობა, ხალხური მუსიკალური კულტურა.</p>					
59	თამილა ლომთათიძე	წრის სიმბოლიკა აჭარის ეთნოგრაფიულ ტრადიცი- ებში, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძე- ნიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	73-81
ანოტაცია					
<p>ნაშრომში შესწავლილია წრის სიმბოლური მნიშვნელობა, რომელიც მუდმივად განიცდის ტრანსფორმაციას. განხილულია აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული წრის სიმბოლურ გააზრებასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები. გაანალიზებულია წრესთან, როგორც მზის სიმბოლურ პირველსახესთან, ასევე წრიულ საგანთან დაკავშირებული საკულტო სიმბოლიკა, მაგიურ-აპოტროფული დანიშნულებით წრის გამოყენების ჩვეულებები, წრის, როგორც ჩაკეტილი, შეუღწეველი სივრცის დამცავ ფუნქციასთან დაკავშირებული რიტუალები, წრის სიმბოლური სემანტიკა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების დეკორში. განხილული წრიული მოქმედებების მაგიური დანიშნულება საბავშვო თამაშებსა და ხალხურ მედიცინაში და სხვ. წრის მაგიური დანიშნულება გააზრებულია აჭარაში დაცული უძველესი წრიული რიტუალური ცეკვების მაგალითზე. სტატიაში გაკეთებულია დასკვნები წრის დამცავი და სოლარული სიმბოლიკის, მასში შემონახული არქექტიპებისა და სხვადასხვა პერიოდის დანაშრევეების შესახებ.</p>					
60	თამილა ლომთათიძე	ხიდრელეზის დღესასწა- ული თურქეთის ქართველთა ეთნო- გრაფიულ ყოფაში, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია,	VI	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	325–332

		არქეოლოგია, ეთნოლოგია) (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)			
--	--	------------------------------------------------------------------------	--	--	--

ანოტაცია

სტატიაში შესწავლილია ისლამურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ხიდირელეზის დღესასწაულის თავისებურებები თურქეთის ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრებ ქართველთა ყოფაში, რომელშიც მრავალი კულტის და წეს-ჩვეულების გადმონაშთი იყრის თავს. განხილულია ხიდირელეზის ისლამურ დღესასწაულში სინკრეტიზირებული, ქართველთა უძველესი მსოფმხედველობის ამსახველი არქაული რიტუალების (საქანელაზე ქანაობა, ვარდობისა, ჭიაკოკონობა, ელიას კულტთან დაკავშირებული ამინდის მართვის რიტუალები) კვალი, სხვადასხვა ქართული წეს-ჩვეულების (ბერიკაობა-ყეენობა, წმ.ელია წინასწარმეტყველთან დაკავშირებული რიტუალები, “ვარდობისაი” და სხვ.) ფრაგმენტები. გაკეთებულია დასკვნები რწმენა-წარმოდგენათა არქეტიპების მდგრადობის, უცხო გარემოში განცდილი ტრანსფორმაციისა და თურქეთის ქართული მოსახლეობის წეს-ჩვეულებათა ორგანული კავშირის შესახებ ზოგადქართული სულიერი კულტურის უძველეს პლასტებთან.

61	თამილა ლომთათიძე	ხალხური მედიცინა, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	197-201
----	-------------------------	---------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

სტატიაში გაანალიზებულია აჭარაში ხალხური მედიცინის უძველესი ტრადიციების ამსახველი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული წყაროები, აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემოინახული ცოდნა მცენარეული და ცხოველური სამკურნალო საშუალებების, მედიკამენტების მომზადების ტექნოლოგიის, მკურნალობის მაგიური ხერხებისა და ხალხური მეთოდების შესახებ, რომელიც ემყარება ხალხის ემპირიულ გამოცდილებას. დადგენილია, რომ აჭარაში სამკურნალოდ ძირითადად იყენებდნენ ნატუროპათიურ საშუალებებს (მცენარეულისაგან დამზადებული ნახარშები, სპირტიანი ნაყენები, ფხვნილები), ადგილობრივ მინერალურ წყლებს, რასაც აჭარაში „მჟავე წყლებს“ ეძახდნენ. მკურნალობა კომპლექსური ხასიათის იყო, რომლის დროსაც სხვადასხვა სახის მაგიურ-რელიგიურ საშუალებებსაც იყენებდნენ. პროფილაქტიკური მიზნით გამოიყენებოდა აგრეთვე სხვადასხვაგვარი აპოტროფული საშუალებები, შელოცვები, საწესო ქმედებები ე.წ. მაგიური საგნებით და სხვ.

აჭარის სოფლებში დაავადებებს მკურნალობდნენ ადგილობრივი ხალხური მკურნა-

ლები, რომლებსაც ჰქონდათ მკურნალობის გარკვეული გამოცდილება და პრაქტიკა. სტატიაში წარმოჩენილია აჭარაში ცნობილი მკურნალთა საგვარეულოები, ხალხურ მედიცინაში გამოყენებული მეთოდები და საშუალებები, რომლებიც თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისითაც არ კარგავს მნიშვნელობას.

62	თამილა ლომთათიძე	ხალხური სამზარეულო, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მზარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	157-161
----	-------------------------	-----------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

სტატიაში წერილობითი წყაროების, მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერებისა და საველე მონაცემების საფუძველზე გაანალიზებულია აჭარული მრავალფეროვანი სამზარეულოს თავისებურებანი, კერძების ნაირგვარობა და მომზადების ტექნოლოგია, სუფრის გაშლის წესები და მასთან დაკავშირებული რიტუალები. შესწავლილია აჭარის მოსახლეობის რაციონი, პროდუქტების დამზადების მდიდარი ხალხური გამოცდილება, ყოველდღიური, სადღესასწაულო და რიტუალური კერძები, პროდუქტებისა და სხვადასხვა კერძების დამზადებასთან დაკავშირებული აკრძალვები, ხალხური წეს-ჩვეულებები, სამზარეულოს დგამ-ჭურჭელი. მოცემულია სამზარეულოს გენეზისისა და მასში ყოფის ისტორიული ტრანსფორმაციით გამოწვეული უცხო ელემენტების შეჭრის პროცესების ანალიზი. ნაჩვენებია აჭარის კულინარული ხელოვნების მაღალი კულტურა, გამოთქმულია მოსაზრებები ხალხური კერძების თანამედროვე კვების სისტემაში დანერგვაზე.

63	თამილა ლომთათიძე	ხალხური ქორეოგრაფია, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მზარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	191-195
----	-------------------------	------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

სტატიაში შესწავლილია აჭარული ხალხური ქორეოგრაფიის უნიკალური ნიმუშები, რომლებიც გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებით, შინაარსითა და მუსიკალურობით. განხილულია ცეკვების აკომპანიმენტისათვის განკუთვნილი ინსტრუმენტები, ცეკვების გენეზისის, ხალხური ქორეოგრაფიის წარმოშობისა და ტრანსფორმაციის საკითხები, ცალკეული ქორეოგრაფიული ანსამბლებისა და შემსრულებლების როლი აჭარული ქორეოგრაფიული ფოლკლორის განვითარებაში. გაანალიზებულია აჭარული საცეკვაო ფოლკლორის უძველეს ნიმუშებში დაცული მისტერიების ფრაგმენტები, რომლებიც უძველესი რიტუალების გადმონაშთებს და ქორეოგრაფიული დრამის ნიმუშებს წარმოადგენს

და ქართველი ხალხის წარმართულ რწმენა-წარმოდგენაში გამორჩეულ ადგილს იმ-
კვიდრებს.

64	თამილა ლომთათიძე	ხალხური მუსიკალური კულტურა, – კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	187-191
----	---------------------	----------------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომში ასახულია აჭარაში შემონახული უძველესი ხალხური მუსიკალური კულ-
ტურის ტრადიციები, რომლებიც ქართული მუსიკალური ფოლკლორის განუყოფელი ნა-
წილია. მიმოხილულია სხვადასხვა ჟანრის სიმღერები, ხმების აღმნიშვნელი ტერმინები,
სიმღერის სტრუქტურა, მუსიკალური იწყობა, აჭარაში გავრცელებული ინსტრუმენტები.
გამოვლენილია აჭარაში მცხოვრები მომღერლები, მოცეკვავეები, სახალხო მთქმელები,
მათთან დაკავშირებული გადმოცემები. გაანალიზებულია უძველესი პოლიფონიური, მათ
შორის უნიკალური ოთხხმიანი ნადურები, აჭარაში მრავალხმიანობის შესწავლის
ისტორია. ნაშრომში დახასიათებულია აჭარის მუსიკალური ფოლკლორის როგორც
ლოკალური თავისებურებები, ისე მისი ორგანული კავშირი ერთიან ქართულ მუსიკალურ
ფოლკლორთან.

65	ნაილა ჩელებაძე, ჯემალ ვარშალომიძე, თამილა ლომთათიძე	ქართველები, აფხაზები, მართლმადიდებელი ქრისტიანები, კათოლიკე- ბი, სომეხი გრიგორიანე- ლები; სხვა რელიგიის აღ- მსარებლების მიმდევრე- ბი, – კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	63, 73,76,80
----	--------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------------------	--------------

ანოტაცია

სტატიებში, რომლებიც ცალკე პარაგრაფების სახით შესულია დასახელებულ კრე-
ბულში (თავი IV, მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიურისტრუქტურა), დახასიათებულია
აჭარაში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა და მათი ანროპოლოგიური კუთვნილება.
მოტანილია აჭარის მოსახლეობის რაოდენობრივ-სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა
წლებში ჩატარებული აღწერის მასალების მიხედვით. განხილულია ეთნოგრაფიული და
ეთნიკური ჯგუფების (აფხაზები, ბერძნები, სომეხები, რუსები, უკრაინელები) განსახლების
დრო და მიზეზები, ამ ჯგუფების საქმიანობა და აჭარის ადგილობრივ (ქართველ)

მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხები.					
66	ნაილა ჩელეზაძე	ტანსაცმელი და ჩაცმულობა, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	153-157
ანოტაცია					
<p>სტატიაში დახასიათებულია აჭარელი ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობის ძირითადი ტრადიციული ტიპები და თითოეული მათგანი განხილულია სამეურნეო-ყოფითი, კლიმატურ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და სქესობრივ-ასაკობრივი თავისებურების მიხედვით. აღწერილია ტანსაცმლის დამზადებასთან დაკავშირებული იარაღ-ხელსაწყოები, საქსოვი დაზგები. დადგენილია, რომ აჭარელთა ჩაცმულობა, მისი ცალკეული ნიმუშები განეკუთვნება ტრადიციულ, საერთოდ, ქართული სამოსისათვის დამახასიათებელ ძირძველ და ორიგინალურ ელემენტებს. ამავე დროს ნაჩვენებია, რომ ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში აჭარელთა ჩაცმულობამ რიგი ცვლილებები განიცადა, მაგრამ ძირითადად მან შეინარჩუნა ძველი თვითმყოფადი თავისებურებები.</p>					
67	ნაილა ჩელეზაძე	საქორწინო ტრადიციები ტაო-კლარჯეთში, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები	IV	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	39-89
ანოტაცია					
<p>სტატიაში შესწავლილია ქორწინების ციკლის ძირითადი ეტაპები და ტერმინოლოგია: სიტყვის გატანა, ნიშნობა, ქორწილი, ქორწილის შემდგომი სტუმრობა სიძისა და დედოფლისა, „ფეხნაქცევა“ მისვლა, შემდგომ პერიოდის რიტუალები: სასიძოს ოჯახში ქალის მშობლების სტუმრობა, „სადილის მიტანა“ და მეორმოცე დღეზე მისვლა; გამოვლენილია მდიდარი საქორწინო ლექსიკა და მუსიკალურ-ფოლკლორულ ტრადიციებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რომელიც სრულდებოდა ახალგაზრდა ცოლ-ქმრის კეთილდღეობის, გამრავლებისა და ავისულებისაგან დასაცავად. მოტანილია მაგალითები ბოროტი ძალების იმ ქმედებებზე, რომელთა მიზანი იყო ახალდაქორწინებულთა სიცოცხლის ხელყოფა, მათი განადგურება თუ გაქვავება, ანუ ქვა-კაცებად გადაქცევა. მითითებულია ასეთი ქვა-კაცების არსებობის ადგილებზე და მოცემულია მათი აღწერა (სიძე-დედოფალი და მაცრები, რომელთა სიმრავლით გამორჩეულია შავშეთი, კარისათის იალაღები და ა.შ.) ტაო-კლარჯეთში, ქორწინების ინსტიტუტის დიდი ხნის მივიწყებული</p>					

თუ სრულიად გამქრალი ნიუანსების საფუძველზე ნაჩვენებია ზოგადქართული საქორწინო ინსტიტუტის რეკონსტრუქციის ცდები. გამოვლენილია ჩვენებურთა ყოფაში ქორწინების ცალკეული ელემენტის ტრანსფორმაციის პროცესი და სყიდვითი ქორწინების მივიწყების ტენდენცია.

68	ნაილა ჩელეზაძე	ოჯახის როლი ხალხური აღზრდის სისტემაში (ტაო-კლარჯეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	62-71
----	----------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------	-------

ანოტაცია

სტატიაში დახასიათებულია ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართულ ოჯახებში არსებული ტრადიციული აღზრდის ცალკეული ეტაპები ბავშვის, მოზარდის ასაკობრივი კუთვნილების მიხედვით. განხილულია სახელის დარქმევის, ხელოვნური ნათესაობის, ძიობის, ბავშვთაკვებისა და ჩაცმულობის საინტერესო ელემენტები. ხალხური გართობათამაშობანი, შრომითი საქმიანობის გამომხატველი ზედდებული სახელი მორბედობა, მოსახლეობაში დღესაცაა შემონახული ხალხური სამედიცინო პრაქტიკა.

ყურადღება გამახვილებულია ფიზიკური, სულიერი და სოციალური აღზრდის საკითხებზე. ბავშვის საზოგადოებასთან, ნათესაობასთან ურთიერთობაზე, ცოდვა-მადლის ცოდნაზე, უფროსებისადმი, განსაკუთრებით ვაჟის მხრიდან ქალისადმი პატივისცემაზე, სტუმართმოყვარეობისა, მისალმების ეტიკეტზე.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა დღემდე მოიტანა თავისი ეთნიკური კულტურის არაერთი ელემენტი, რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა ისეთმა ფაქტორებმა როგორცაა: ისტორიული მეხსიერების სიმტკიცე და სამშობლოს სიყვარული, ქართული მოსახლეობის კომპაქტურმა დასახლებამ და შიდა ეთნიკურმა ქორწინებამ, საქართველოს თან მუდმივმა კონტაქტებმა და სხვა. ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებისა და სხვა. მონაცემების საფუძველზე უკანასკნელ წლებში საკვლევი რეგიონის მოსახლეობაში აღზრდის მიმართულებით მკვეთრად იცვლება დამოკიდებულება თვითმყოფადი ქართული ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაშიც მთავარ როლს ოჯახი, უფროსი თაობის წარმომადგენლები ასრულებენ.

69	ნაილა ჩელეზაძე	მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვის	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა	62-71
----	----------------	--------------------------------------	-----	-------------------------------	-------

		პროცესში წარმოქმნილი სიძნელეები და მათი გადაჭრის გზები, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები		რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	
--	--	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------	--

ანოტაცია

ანკვეტური გამოკითხვისა და სხვა მონაცემების საფუძველზე სტატიაში წარმოჩენილია სიძნელეები, რაც თან ახლავს მსგავსი კონკრეტული სოციოლოგიური კვლევების ჩატარებას. ერთ-ერთ მწვავე პრობლემად სახელდება რესპოდენტთა ნაწილის უარი გამოკითხვაში მონაწილეობაზე ან ზოგიერთ დასხმულ შეკითხვის პასუხზე, რაც გავლენას ახდენს სოციოლოგიური კვლევების სანდოობასა და ხარისზე. სტატიაში გატარებულია აზრი, რომ ნებისმიერი სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია ვერ იქნება სრულყოფილი, თუ არ იქნება შესწავლილი მიზეზები, რომელთა გამო რესპოდენტთა გარკვეული ნაწილი უარს ამბობს სოციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილეობაზე. მეორე მხრივ, მითითებულია შიშზე. თუ სოციოლოგიურ გამოკითხვაში მიიღებენ მონაწილეობას რესპოდენტები და გულწრფელად უპასუხებენ დასმულ შეკითხვებზე, ამით ისინი „გასცემენ“ პირადი ცხოვრების საიდუმლოებას. სტატიაში საუბარია ამ სიძნელეების გადაჭრის გზებზე, რაც ხელს შეუწყობს სოციოლოგიური გამოკითხვის სრულფასოვან ჩატარებას.

70	კონსტანტინე ლლონტი	ტურიზმის წარმოშობისა და განვითარების ზოგიერთი ასპექტი, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	271-280
----	---------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

სტატიაში თეორიულ ჭრილში დახასიათებულია ტურიზმის წარმოშობისა და განვითარების ისტორიული პირობები შორეული წარსულიდან დღემდე. ნაჩვენებია ტურიზმის მჭიდრო კავშირი დიდ საქარავნო მოგზაურობებთან, ვაჭრობასა და დიპლომატიურ საქმიანობასთან. განხილულია ტურიზმის განვითარების ეტაპები, განსაკუთრებით გასული საუკუნის 70-იანი წლების შემდგომ პერიოდში, როდესაც მან ფორმალური და შინაარსობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იგი ნამდვილ მსოფლიო მოვლენად იქცა.

დასაბუთებულია, რომ თანამედროვე ეტაპზე კიდევ უფრო ფართოვდება ტურიზმის სფერო. იგი ცალკეული ქვეყნების სახელმწიფოებრივი ყურადღების ცენტრში ექცევა და სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დაწინაურების თვალსაზრისით უდიდეს მნიშვნელობას იძენს, მათ შორის საქართველოშიც, რომლის ბუნებრივ-გეოგრაფიული

პირობები, მდიდარი მატერიალური კულტურა მიმზიდველი ხდება ტურისტებისათვის და ქმნის ხელსაყრელ პირობებს ტურიზმის განვითარებისათვის.

71	შუშანა ფუტკარაძე	სამშობლოსათვის წამებულნი, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	8-23
----	-------------------------	----------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------	------

ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება სამშობლოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული შვილების – ახმედ და აბას ათაბაგების ხსოვნას. მამა-შვილი ახმედ და აბას ათაბაგები ისტორიული ფოცხოვის (ახლანდელი ფოსოფის-თურქეთის რესპუბლიკა) სახელოვანი შვილები იყვნენ. ისინი თავიანთი საქმიანობით ცდილობდნენ როგორმე გამთლიანებულიყო ისტორიული მესხეთის ძირძველი მიწა, ფოცხოვი დაბრუნებოდა დედასამშობლოს. 1918-1919 წლებში მძიმე პოლიტიკური სიტუაცია იყო შექმნილი ამ მხარეში. თურქული ორიენტაციის მომხრენი ჭარბობდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში. ახმედ ათაბაგი აჭარელი აბაშიძეების სიძე გახლდათ, მემედ ბეგ აბაშიძის დის-მინირე აბაშიძის მეუღლე, მისი ერთგული თანამებრძოლი. მინირე აბაშიძესა და ახმედ ათაბაგს სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟი ჰყავდათ—აბას ათაბაგი, რომელიც არ უშინდებოდა მტრებს და დღენიადაგ მოუწოდებდა ფოცხოველებს საქართველოს ერთიანობის დასაცავად. საქართველოს მტრების მიერ მოსყიდულმა აგენტებმა წამებით მოკლეს მამა-შვილი, ახმედ და აბას ათაბაგები. ამ შემზარავ ამბავს გამოეხმაურა მაშინდელი პრესა: „სამუსლიმანო საქართველო“ და „ქართული საქმე“. მოგვიანებით კი ემიგრაციაში მყოფმა გენერალმა გ. კვინიტაძემ თავის მოგონებათა წიგნში სათანადო ყურადღება დაუთმო ამ ფაქტს... სამშობლომ არ უნდა დაივიწყოს სამშობლოს ერთიანობისათვის თავშეწირული, წამებული შვილები.

72	შუშანა ფუტკარაძე	ისტორიული ტაოს ქართული, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	143-180
----	-------------------------	--------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

ისტორიული ტაო ზემო ქართლის შემადგენელი ნაწილი იყო. საქართველოს დიდებული წარსულის შენებაში ამ მხარეს ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაუწერია. იგი იყო ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთის მტკიცე კედელი და ევროპულ (ბერძნულ) ცივილიზაციასთან დამაკავშირებელი მთავარი კარი. ისტორიული ტაო საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე იყო გაშლილი. იგი იყოფოდა ორად: არსებობდა იმიერ-ტაო და ამიერ-ტაო.

იგი მოიცავდა ყოფილი ოლთისის ოკრუგს, თორთომს და იშხანს. ქართული ენა დღემდე შემოუნახავს მხოლოდ ამიერტაოს სოფლებს. მათ შორის აღსანიშნავია სოფლები: ქორთა, ხომხალი, ბინათი, უშხუმი, არჯევანი, ელიას ხევი, ჭედლიან კარი, დოლე კარი, ქეაბაგი, ხევა, ჭილათი, მახათეთი, ვანისხევი, ფიჩხეთი, ახალთი, დევთისა, კუპრეთი... ტაოს ქართული განსაკუთრებით მდიდარია ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური ენობრივი ნიშნებით. ბევრით მხარეს არქაულ იერს ანიჭებს \bar{A} (ხარ) ბგერის არსებობა. მას კარგად გამოთქვამენ როგორც ძველი, ისე ახალი თაობის წარმომადგენლები. სახელთა ბრუნებაში, ზმნური ფორმების წარმოებაში ჭარბობს ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი ფორმები. ქართული მეტყველების არქაულ იერს თვით ტაოელებიც ამჩნევენ და სიამაყით ამბობენ: „ჩვენ თამარ დოდოფლის გურჯიჯა (ქართული) მაქუანო“ (თამარ დედოფლის ქართული გვაქვსო). ტაოს ქართული მეტყველება ძველია და დახვეწილი უმთავრესად მდინარე ქუაბაგის ხევში, მასისის მთების კალთებზე გაშლილ ქართულენოვან სოფლებში. თანამედროვე პირობებისათვის დამახასიათებელი მიგრაციის პროცესი საფრთხეს უქმნის ტაოს ქართულს.

73	შუმანა ფუტკარაძე	ლაზეთის სახელოვანი სასულიერო მოღვაწე – კონსტანტინეპოლის პატრიარქი გერმანე III, – კრ.: ჩვენი სულიერების ბალავარი (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VIII	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	337-349
----	------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------	-------------------------------	---------

ანოტაცია

ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ლაზეთს, სამწუხაროდ, მეტად მცირე ადგილი ეთმობა. ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილია საქართველოს ამ უძველესი კუთხის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, მატერიალური კულტურის ძეგლები, ფოლკლორი და სხვა ეთნოგრაფიული თუ ყოფაცხოვრებითი მხარეები. ნაშრომის შესავალ ნაწილში ამიტომაც მოკლედ მიმოხილულია ჭანეთ–ლაზეთის, როგორც ქართული ქრისტიანული კულტურის მატარებელი მხარის ისტორია.

კოლხეთმა, ლაზეთმა ბევრი სასახელო შვილი გაზარდა. ნაშრომის ძირითადი ნაწილი მკითხველს აცნობს ლაზეთის სახელოვან შვილს, კონსტანტინეპოლის პატრიარქს გერმანე მესამეს, რომლის შესახებ ცნობები მოცემულია ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი პახიმერეს (1242-1310) ნაშრომში „ისტორია“. ეს ნაწარმოები ქართულად თარგმნილია დიდი ქართველი ბიზანტიოლოგის სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. გ. პახიმერეს „ისტორია“ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოს შესახებ. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონათხრობი სათაურით: „კონსტანტინეპოლის

პატრიარქი გერმანე, წარმოშობით ლაზი“. იგი პატრიარქობდა 1267 წლის ივნისიდან 14 სექტემბრამდე. დროის ამ მცირე მონაკვეთში გერმანე III-მ თავისი კეთილი ბუნებით საყოველთაო პატივისცემა, სიყვარული დაიმსახურა თავის თანამედროვეთა შორის და საპატიო სახელი დატოვა ისტორიაში. ლაზეთის ისტორიის წარმოჩენას გვავალდებულებს სამშობლოს სიყვარული...

74	შუშანა ფუტკარაძე	განათლება, მეცნიერება, კულტურა და ხელოვნება აჭარაში, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	222-234
----	------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია აჭარის რეგიონის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მიღწევები ისტორიულ ჭრილში (დიაქრონიულად), წარმოჩენილია დარგებთან დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობა.

75	შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელეზაძე, ელზა ფუტკარაძე, თამილა ლომთათიძე, შორენა ფუტკარაძე	ბათუმისა და მისი შემოგარენისათვის ბრძოლა XX საუკუნის 10-იან წლებში (სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული ავთანდილ ურუშაძის მემუარების მიხედვით), – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი“	58-74
----	------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	------------------------------------------------------------------	-------

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია სტამბოლის ქართული კულტურის სავანის არქივში დაცული ქართველი ემიგრანტის ავთანდილ ურუშაძის მემუარული ჟანრის ჩანაწერები. ძირითადად ყურადღება გამახვილებულია XX საუკუნის 10-იან წლებში ბათუმისა და მისი შემოგარენისათვის ბრძოლის საკითხზე. ავტორი საერთაშორისო ვითარების ფონზე ვრცლად საუბრობს ქვეყანაში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ცალკეული საზოგადო მოღვაწისა და პოლიტიკური პიროვნებების (ნ. ჟორდანიას, ირ. წერეთელი, ს. მენაღარიშვილი, აკ. ჩხენკელი, კ. ჩხეიძე, ჰ. ხინიკაძე, ისკ. მეგრელიძე, ჰ. ჯაფარიძე და ა.შ.) შესახებ. ასევე, ვრცლადაა საუბარი გამოჩენილი სამხედრო მოღვაწეების

შესახებაც. ესენია: გ. მაზნიაშვილი, გ. კვინიტაძე, ქ. ჩოლოყაშვილი, გენ. ართმელაძე და სხვ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ავტორისეული ინფორმაცია ძირითადად ემთხვევა ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულ დასკვნებს. მოვლენათა აღწერილობის სიზუსტე და თანმიმდევრობა გვაფიქრებინებს, რომ მას ავტორი დიდი ხნის მანძილზე წერდა დღიურების სახით, რომლის დაწერა 1945 წელს დაუსრულებია პარიზში, ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში.

76	ელზა ფუტყარაძე	ქართული ენა ტაო-კლარჯეთის ცნობიერებაში, – კრ.: ჩვენი სულიერების ბალავარი (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VIII	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	324-330
----	-----------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------	-------------------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომში საუბარია ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების ენისადმი დამოკიდებულების საკითხზე. თურქეთის ქართველობაში ეროვნული იდენტობის ყველაზე მძლავრი ბერკეტი, მყარი ნიშანი ენა აღმოჩნდა. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ქართული ენა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ ქართველთა ცნობიერებაში არის ეროვნული კუთვნილების გამომხატველი არსებითი ნიშანი, მათი იდენტობის განმსაზღვრელი. ნაჩვენებია, რომ ჩვენებურთა შეფასებები ენის დამკარგველთა მიმართ საკმაოდ კრიტიკული და მძიმე, დამცინავ-გამანადგურებელია. მათთვის ქართველობა და ქართული ენა უმნიშვნელოვანესი ღირებულება, განსაკუთრებული ღირსება, დიდი ფასეულობა, პატივისცემა და გამორჩეულობაა. შემთხვევითი არაა, რომ ენადავიწყებულ ქართველს „გარცხილ“, „გადაბრუნებულ“, „გამოცლილ“ ან „გადათურქებულ“ ადამიანად მოიხსენებენ ხოლმე. გარდა აღნიშნულისა, ისინი სამწუხარო რეალობასაც კარგად აფასებენ- ენა თანდათან იკარგება, შთამომავლობაში ნაკლებად ან საერთოდ აღარ ისმის. მათი საუბრიდან ნათლად ჩანს, რომ არის ცდა, გამოსავლის ძიება ენის შესანარჩუნებლად. შეძლებისდაგვარად ერთგვარ ღონისძიებებსაც მიმართავენ ამ მიზნით. ერთი რომ, ცდილობენ შთამომავლობას ენა ასწავლონ, მეორეც, არ აირივნონ სხვა ეროვნების ხალხში, ქართველზე იქორწინონ, რათა შეძლონ ქართული ოჯახისა და ენის შენარჩუნება. ნაშრომში სწორედ ჩვენებურთა მხრიდან ქართული ენისადმი დამოკიდებულების აღნიშნულ საკითხებზეა საუბარი.

77	ელზა ფუტყარაძე	ტაო-კლარჯეთში ეროვნული მემკვიდრეობის ზოგიერთი ასპექტი, –	X	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	52-57
----	-----------------------	-----------------------------------------------------------------	---	-------------------------------	-------

		ჟურნალი „არხეონი“			
ანოტაცია					
<p>ნაშრომში საუბარია ტაო-კლარჯეთში ეროვნული ცნობიერების ზოგიერთ ასპექტზე. მართალია, დღეს დაკარგულია დიდი ისტორიული წარსულის მქონე კუთხე, მაგრამ იქ ქართული სული, ქართული გენი არ აღმოფხვრილა და იქ მცხოვრებთა ცნობიერებაში ქართული ჯიშის, ქართული ადათის, ტრადიციის გამოძახილი კვლავ ისმის, მათ მეხსიერებას კი არაერთი ისტორიული რეალიები შემოუნახავს. თურქეთის ქართველობაში ეროვნული იდენტობის ყველაზე მძლავრი ფაქტორი, მყარი ნიშანი ენაა. ქართული ენა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ ქართველთა ცნობიერებაში არის ეროვნული კუთვნილების გამოძახატველი არსებითი ნიშანი, მათი იდენტობის განმსაზღვრელი. ამასთანავე, მათთვის ტრადიციულს, ისტორიულს დიდი დატვირთვა აქვს. მათ ისტორიულ მეხსიერებას ყველაზე მყარად თამარ მეფის სახელი შემორჩა. არაერთი ლამაზი თქმულება თუ ლეგენდაა დაცული და შემონახული მათი ზეპირსიტყვიერებით. უყვართ და უდიდესი კრძალვით იხსენიებენ თამარს. თამარი ერთადერთი მეფეა, რომლის ხსოვნა დაცულია მათ მეხსიერებაში. უფრო მეტიც, ზოგჯერ დარღვეულია ისტორიული რეალობა და ყველაფერს თამარს უკავშირებენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში დაცულია ქართული ტოპონიმი. უფრო მეტიც, შეიძლება ქართული დავიწყებული ჰქონდათ, მაგრამ მათ მეხსიერებას შემოუნახავს ადგილის ისტორიული ქართული სახელები. სწორედ აღნიშნულ საკითხზეა საუბარი ნაშრომში.</p>					
78	ელზა ფუტყარაძე	ერთი მუჰაჯირელის პოეტური სამყარო, – კრ.: განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VIII	გორი, გამომც. „გორის უნივერსიტეტი“	იბეჭდება
ანოტაცია					
<p>ნაშრომში საუბარია მუჰაჯირელის პოეტურ სულისკვეთებაზე. მშობლიურ მიწა-წყალს მოშორება, უცხო ცის ქვეშ ყოფნა ურთულესი ტრაგიზმია ადამიანისათვის. მშობლიურ კარ-მიდამოზე, ახლობლებზე, ნათესავებზე მოშორება უდიდეს ტკივილს, წუხილს ჰბადებს მუჰაჯირებში. სულის მოსაოხებლად, სულის შინაგანი გრძნობა-ემოციის შესამსუბუქებლად ნაფიქრ-ნააზრევი მუჰაჯირებს ლექსის პწკარედებისათვის გაუნდვიათ. სწორედ ასეთი სულის მოსაოხებელი ტკივილიანი ამოძახილი ისმის მუჰაჯირელი კაცის ბინალ ქუფჩიოლლის ჩვენამდე მოღწეულ ლექსებში. მართალია, ის არ არის კალმოსანი, არ არის პოეტი, თუმცა შინაგანმა სულიერმა წვამ დააწერინა</p>					

ლექსები. ლექსში არ გვხვდება მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მაგრამ მაინც უდიდესი ხატოვანებით, ესთეტიკურობით, ემოციურობით გამოირჩევა. მხატვრულ -გამომსახველობითი ხერხების როლს ემოციური ფონი ენაცვლება. ლექსი კი არა, დამწუხრებული კაცის ერთგვარი ტკივილიან-ცრემლიანი ამონაკვნესია. დიდი ზემოქმედებითი ძალის არის ეს ე.წ. პოეტური აღსარება. მუჰაჯირელის რამოდენიმე ლექსმა მოაღწია ჩვენამდე. თემატურად ისევ და ისევ სამშობლოს, მშობლიური გარემოს, მშობლიური სამოსახლოს მონატრებით გამოწვეულ სატკივარზე გვესაუბრება მუჰაჯირი. ნაშრომში სწორედ აღნიშნულ საკითხზეა საუბარი.

79	ელზა ფუტკარაძე	ლექსიკური დიალექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“, – კრ.: რუსთაველი და „ოქროს ხანის“ საქართველო		ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი“	90-101
----	-----------------------	------------------------------------------------------------------------------------------------	--	------------------------------------------------------------------	--------

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ლექსიკური დიალექტიზმი. თემატურ მრავალფეროვნებასთან ერთად გამორჩეულია პოემის მხატვრული სამოსი-ენა. ქართული სიტყვაწარმოების კლასიკურ ფორმებს ვხვდებით პოემაში. პოემა კიდევ ერთხელ დასტურია ქართული ენის გამომსახველობითი ძალისა. ქართული ენის აგლუტინაციური ბუნებიდან გამომდინარე, ორიგინალურადაა წარმოდგენილი აფიქსთა მოძრაობა-შეხამება. პოემა გამორჩეული და სახასიათოა იმ მხრივაც, რომ ავტორი სახელის ფუძისაგან ზმნათა წარმოების უამრავ ფორმას გვთავაზობს და სახელთა გაზმნავების უბადლო ოსტატია. შესაბამისად, სიტყვის ესთეტიზაცია და გამომსახველობითი ძალა უმაღლეს მწვერვალს აღწევს. რუსთველი ამოდის ქართული სიტყვათწარმოქმნის ტრადიციებიდან, ენის მასალას იგი იყენებს სიტყვის მხატვრულ ემბაზში ამოსავლებად, სიტყვაში დებს საოცარი მიმზიდველობისა და ღრმა აზრის მუხტს. ამ შემთხვევაში ის ტრადიციის ერთგულიცაა და ორიგინალური სიტყვაშემოქმედიც. რუსთველის ენის გამომსახველობითი ძალა ჩანს ლექსიკური დიალექტიზმების ოსტატურ გამოყენებაშიც. პოემაში გვხვდება ისეთი ლექსიკური ფორმები, რომლებიც იმავე ან ოდნავ სახეცვლილი ფორმით დღესაც ცოცხალია აქარულ დიალექტში. ნაშრომში გაანალიზებულია ფორმები: ნათხზენი, თანისთან, გაქარდა, დაბურვა, შეკაზმა, ფრეწა, წადილი, ჯალაბი, ხასი, სულე და სხვა. ლექსიკური დიალექტიზმები უდიდესი ხელოვანებითაა მოხმობილი პოემაში და ამ ფორმათა გამოყენებით ავტორი ღრმად გვაგრძნობინებს სიტყვის შინაარსობრივ ძალას.

80	ნაილე მიქელაძე	სახარებისეული მოტივები „ვეფხისტყაოსანში“, – კრ.: რუსთაველი და		ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის	51-61
----	-----------------------	----------------------------------------------------------------------	--	------------------------------------------	-------

		ოქროს ხანის“ საქართველო		სახელმწიფო უნივერსიტეტი“.	
ანოტაცია					
<p>ნაშრომში განხილულია „ვეფხისტყაოსანის“ სახარებისეულ იგავების მხატვრული გააზრება. აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსანს“ განიხილავდნენ, როგორც იგავს სოფლის შექმნის, ადამიანის ცოდვით დაცემისა და კვლავ აღდგომის შესახებ.</p> <p>ნაშრომის საკვლევით თემა, სწორედ სახარებისეული იგავებისა და რუსთველისეული აფორიზმების შედარება – ანალიზია. „ვეფხისტყაოსანის“ ტროპული მეტყველების სპეციფიკა და დანიშნულება, სიმბოლოებისა და ალეგორიების მნიშვნელობა ქართველოლოგიათათვის შეუფასებელი საგანძურია.</p>					
81	ნაილე მიქელაძე	მუჰაჯირობასთან დაკავშირებული ლექსები აჭარასა და თურქეთში მცხოვრებთა ფოლკლორში, – კრ.: განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VIII	გორი, გამომც. „გორის უნივერსიტეტი“	იბეჭდება
ანოტაცია					
<p>მუჰაჯირობა ერთი მძიმე და ტრაგიკული ფურცელია საქართველოს ისტორიისა. აჭარის ფოლკლორში შემონახულ ტრაგიკულ ეპიზოდებს თან ერთვის ხალხური პოეზიის ნიმუშებიც, სადაც მთელი სიცხადითაა წარმოდგენილი იმდროინდელი ყოფის მოვლენები. კერძოდ: მუჰაჯირთა განცდები, მათი სულიერი და მორალური მდგომარეობა და ბოლოს, მოტყუებულთა სულის ტკივილი, რომელიც საუკუნეების მიუხედავად, არც ჩვენებურთა (თურქეთში მცხოვრებ ქართველების) და არც აქაურთა ცნობიერებაში არ წაშლილა, პირიქით, ტკივილიან მოგონებად დარჩა.</p> <p>ფოლკლორულ ნიმუშებში კარგად ჩანს, რომ მშობლიურ მიწა-წყალს მოცილებულნი, უცხო მხარეში გადახვეწილნი, დრო-ჟამის მიუხედავად, დღესაც ობლად გრძნობენ თავს. მათი ტკივილი და ჭრილობა შეუხორცებელ-მოუშუშებელია. და დღეს, მუჰაჯირ ქართველებს, ჩვენებურებს, არათუ დღემდე შეუნახავთ ძველი ქართული ადათ-წესები, ამავე დროს შეუქმნიათ ახალიც. ერთ - ერთი ასეთი ლექსია „ლალე“. ნაშრომში სწორედ ამ და სხვა საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება.</p>					

82	ნაილე მიქელაძე (თანავტორობით)	ტაო-კლარჯეთში ეროვნული მემსიერების ზოგიერთი ასპექტი, – ჟურნალი „არხეიონი“	X	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	52-57
----	-------------------------------	---------------------------------------------------------------------------	---	-------------------------------	-------

ანოტაცია

ნაშრომში საუბარია ტაო-კლარჯეთში ეროვნული ცნობიერების ზოგიერთ ასპექტზე. მართალია, დღეს დაკარგულია დიდი ისტორიული წარსულის მქონე კუთხე, მაგრამ იქ ქართული სული, ქართული გენი არ აღმოფხვრილა და იქ მცხოვრებთა ცნობიერებაში ქართული ჯიშის, ქართული ადათის, ტრადიციის გამოძახილი კვლავ ისმის, მათ მემსიერებას კი არაერთი ისტორიული რეალიები შემოუნახავს. თურქეთის ქართველობაში ეროვნული იდენტობის ყველაზე მძლავრი ფაქტორი, მყარი ნიშანი ენაა. ქართული ენა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ ქართველთა ცნობიერებაში არის ეროვნული კუთვნილების გამომხატველი არსებითი ნიშანი, მათი იდენტობის განმსაზღვრელი. ამასთანავე, მათთვის ტრადიციულს, ისტორიულს დიდი დატვირთვა აქვს. მათ ისტორიულ მემსიერებას ყველაზე მყარად თამარ მეფის სახელი შემორჩა. არაერთი ლამაზი თქმულება თუ ლეგენდაა დაცული და შემონახული მათი ზეპირსიტყვიერებით. უყვართ და უდიდესი კრძალვით იხსენიებენ თამარს. თამარი ერთადერთი მეფეა, რომლის ხსოვნა დაცულია მათ მემსიერებაში. უფრო მეტიც, ზოგჯერ დარღვეულია ისტორიული რეალობა და ყველაფერს თამარს უკავშირებენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში დაცულია ქართული ტოპონიმია. უფრო მეტიც, შეიძლება ქართული დავიწყებული ჰქონდეთ, მაგრამ მათ მემსიერებას შემოუნახავს ადგილის ისტორიული ქართული სახელები. სწორედ აღნიშნულ საკითხზეა საუბარი ნაშრომში.

83	ნაილე მიქელაძე	ფოლკლორული რეალიები ხალხის მემსიერებაში, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	302-307
----	----------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

აჭარელთა მუჰაჯირობის ტრაგიკულ ამბებს არაერთი მეცნიერი და მკვლევარი შეხება. ისტორიულად მრავლი მასალაა შესწავლილი და გამოქვეყნებული, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მწერლების მიერ. ასევე მუჰაჯირთა ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალები ვრცლად შემოუნახავს აჭარის ხალხურ სიტყვიერებასა და

თურქეთში მცხოვრებ „ჩვენებურთა“ მეხსიერებას. მუჰაჯირობამ არა მარტო იმდროინდელი საქართველოს სოციალურ - ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ვითარებაზე იქონია გავლენა, არამედ მან ბევრი საფიქრალ - საზრუნავი დაუტოვა მომავალ თაობებს, ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასახლებულ მოძმეთა შთამომავლებში ეროვნული ცნობიერებისა და სამშობლო ქვეყნისადმი სიყვარულის შენარჩუნება - განმტკიცების თვალსაზრისით.

ნაშრომში წარმოდგენილია აჭარის ფოლკლორში შემონახულ ტრაგიკული ეპიზოდების ისტორიები, რომლებიც ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რაოდენ ტრაგიკული ყოფილა მუჰაჯირთა განშორება, ტკივილი და ცხოვრება.

84	ნაილე მიქელაძე	უძველესი რელიგიურ-საკულტო წარმომავლობის ერთი ტოპონიმის საკითხისათვის, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	90-96
----	----------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------	-------

ანოტაცია

წარმოდგენილ ნაშრომში საუბარია ქვაკაცებთან დაკავშირებულ გადმოცემებზე. აჭარის ხეობებში რამდენიმე ადგილას დამოწმებულია სხვადასხვა სახეობის ქვაკაცა. „ქვაკაცა“ დანდალოს საკრებულოს სოფელ ტაკიძეების ადგილის სახელწოდებაა. აღსანიშნავია ჭვანის ხეობის სათავეებთან, მაღალ მთაზე, წმინდანების მთის მახლობლად აღმართული ქვაკაცები. ამავე სახელწოდების ადგილია, აგრეთვე, ხიხამირის ხეობის სოფელ ვერნებსა და მარეთის ხეობის მთებში. იგი გვხვდება კურორტ ბეშუმის ნასახლარის მახლობლადაც. აქ ამ ადგილსაც ქვაკაცა ჰქვია. ქვაკაცები დაფიქსირდა, აგრეთვე კინტრიშის ხეობის სათავეებში, მთა სარბიელაზე. და სხვა.

XX საუკუნის 70-იან წლებში, ჩაწერილი ხალხური მასალის მიხედვით, შუბანში, ზაფხულში სოფელ დარჩიძეების მკვიდრნი ადიოდნენ მაღალ მთაზე, რომელსაც „სამელია სერი“ ერქვა. ამ მთას ზაფხულობით სტუმრობდნენ, მიჰყავდათ ცხვარი ან სხვა შესაწირი, იქ კლავდნენ და ღმერთს ამინდის გამოსვლას, ოჯახურ ბედნიერებასა და ღვთის წყალობას ევედრებოდნენ.

მნიშვნელოვანი და საინტერესოა კვლევის თვალსაზრისით წარმართულ ეპოქის ნაშთები, იმავე სახელებთან დაკავშირებულ ლეგენდები, რომლებშიც იგივე პერსონაჟები სხვა ეპოქის შვილები, სხვა მოვალეობისა და დანიშნულების შინაარსის მატარებელი ქალბატონები არიან. ქედის რაიონის სოფელ ნამონასტრევის ქედზე, კლდიან ადგილს `გვანცა-ლელას გაქვავებულ მაყრიონს“ ეძახიან.

ისტორიული ბედუკუდმართობის მიუხედავად, მსგავსი სახის თქმულებები არამარტო აჭარის ფოლკლორშია დაცული, არამედ მუჰაჯირთა სიტყვიერებაშიცაა

დაცული.					
85	ნაილე მიქელაძე, ნაილა ჩელეზაძე	გვანცა-ლელას თქმულე-ბასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი-სათვის, – კრ.: ჩვენი სულიერების ბალავარი (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VIII	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	385-389

ანოტაცია

XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან ოსმალეთი თანდათანობით მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აჭარას იპყრობს. ამ თემაში წარმოდგენილი ისტორიული ტოპონიმი აჭარის მძიმე ისტორიული წარსულის თემატიკას ეხება.

გადმოცემების ციკლი ქალწულმოწამეებს გვანცასა და ლელას ეძღვნება. „გვანცა-ლელა“ ეწოდება, ადგილს, რომელიც ქედის რაიონის სოფლების, დანდალოსა და ბალაძეების ტყეში მაღალ ქედზე მდებარეობს. არსებობს თქმულების სხვადასხვა ვერსია. ერთ-ერთი ვერსიით გვანცა და ლელა ბალაძეების მთის ფერდობზე დაღუპულან. დები თავიანთი რაზმით მომხდურებს თავს ესხმოდნენ. თანასოფლელებს რწმენასა და იმედს უნერგავდნენ, თავად აცხობდნენ მჭადს და ტრადიციულად ჯვარს ასვამდნენ. ადგილას, სადაც გადაიჩეხნენ, თანასოფლელებმა სამშობლოს ერთგული დების სახელი შეარქვეს.

ტოპონიმური გადმოცემები, როგორც გმირობას, ასევე წარმართული ხანის ისტორიებს უკავშირდება. ასევე ფაქტია ისიც, რომ აჭარაში რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული თქმულებები კონტამინირებული სახით გვხვდება.

86	ნანი გუგუნავა	ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ტაძარი XX საუკუნეში, – კრ.: ჩვენი სულიერების ბალავარი (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VIII	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	90-95
----	---------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------	-------------------------------	-------

ანოტაცია

ბათუმში მოქმედ ქრისტიანულ სამლოცველოთა შორის უძველესია წმიდა ნიკოლოზის ტაძარი. მის მიმართ ინტერესს ზრდიდა ისიც, რომ იგი ოსმალთა ბატონობის წლებში – XIX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს აუშენებიათ. მისი მშენებლობის წინაპირობებსა და მშენებლობის საკითხებზე არაერთი ნაშრომია დაწერილი. ნაშრომში გაშუქებულია ტაძრის საქმიანობა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდგომ

წლებში.					
87	ნანი გუგუნავა	ბედისწერა ემიგრანტი მწერლისა, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძე- ნიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	182-199
ანოტაცია					
<p>გრიგოლ რობაქიძე მსხვერპლია ეპოქისა, რომელმაც აიძულა სათაყვანებელი მამული დაეტოვებინა და ემიგრანტის ბედისწერა არგუნა.</p> <p>თემაც ამ კუთხითაა გავრცობილი და ახსნილია რეალური მიზეზები მწერლის ურვისა და ზოგჯერ იძულებითი გაორებისა. პასუხები აქვს გაცემული ემიგრანტის ბედისწერით გამოწვეულ ისეთ პერიფრაზებს, როგორცაა: „მოუსვენრობა სიმშვიდის მიღმა“ და „ქმედების შიგნიდან დამუხრუჭება“.</p> <p>გამოკვეთილადაა ხაზგასმული დრო და სივრცე-მბრძანებელი თხზულებების („ჰიტლერი“, „მუსოლინი“) შექმნისა.</p> <p>და ბოლოს მთავარი სათქმელი-სრულფასოვანი ბედნიერების მომტანი არც დიდი აღიარებაა, როცა შემოქმედის სული სამშობლოს მონატრების ცეცხლში იფერფლება.</p> <p style="text-align: center;">სწორედ ესაა ბედისწერა ემიგრანტი მწერლისა.</p>					
88	ნანი გუგუნავა	ეროვნული სკოლა აჭარა- ში და გლობალიზაცია,– კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენ- ციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	იბეჭდება
ანოტაცია					
<p>გლობალიზაციამ სახე უცვალა თანამედროვე სამყაროს და ცივილიზაციის მონაპოვრები თანაბრად მისაწვდომი გახადა მილიონობით ადამიანისათვის. მრავალ სიახლესთან ერთად შეცვალა დამოკიდებულება მეცნიერების, განათლების, კულტურის მიმართ. ამ ცნებებს სხვა შინაარსი და გაგება შესძინა.</p> <p>საქართველოს განათლების სისტემა გლობალიზაციამ სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა, რაც რა თქმა უნდა გარკვეულ გავლენას აჭარის სკოლებზეც ახდენს. ცხადი ხდება თუ როგორი ზიანი შეუძლია მოგვიტანოს გლობალიზაციამ, თუ განსაკუთრებულად არ გავუფრთხილდით მოზარდი თაობის აღზრდას და ერის თვითმყოფადობას, თვითმყოფადობის შენარჩუნების ნაცადი და ისტორიულად მრავალჯერ დადასტურებული გზაა მშობლიური ენის მოვლა-პატრონობა, მისი</p>					

სიწმინდის შენარჩუნებისათვის ბრძოლა.					
89	ნანული ნოლაიდელი	ანთროპონიმთა საკითხი- სათვის აჭარულში (ანთ- როპონიმები და ტოპონი- მია), – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძე- ნიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	123-141
ანოტაცია					
<p>ანთროპონიმია მჭირდო კავშირშია ტოპონიმისათან. ბევრი ტოპონიმი სწორედ ადამიანის სახელთანაა დაკავშირებული და ხშირად შეიცავს საინტერესო ინფორმაციას მისი პირველმფლობელის შესახებ. ამ მხრივ საინტერესო მონაცემებს გვაწვდის აჭარის ტოპონიმიაც. აქ შემონახულია განსაკუთრებული ცნობები იმ ანთროპონიმების შესახებ, რომლებიც ამ კუთხეში იყო გავრცელებული უძველესი დროიდან დღემდე. ნაშრომში შესწავლილია ანთროპონიმულ ტოპონიმთა წარმოების გზები და საშუალებები. ასევე, გამოყოფილია ზოგიერთი უძველესი, წარმართული თუ ქრისტიანული პერიოდის საკუთარი სახელი, ნასესხები საკუთარი სახელები და სხვ.</p>					
90	ნანული ნოლაიდელი	“კაცი იყო მამულისა” (ჯე- მალ ნოლაიდელის დაბა- დების 110 წლისთავი), – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლო- გია) (საერთაშორისო სა- მეცნიერო კონფერენციის მასალები)	VI	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	194-197
ანოტაცია					
<p>სტატიაში მიმოხილულია მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ჯ.ნოლაიდელის არქივში დაცული აჭარული კილოს სალექსიკონო მასალა და გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების (ივ.ჯავახიშვილი, ვ.თოფურია, გ.ლეონიძე და სხვ.) ბარათები, რომელთა ადრესატიც ჯ.ნოლაიდელი იყო. აგრეთვე, საზოგადო მოღვაწეების მოგონებები ჯ.ნოლაიდელის შესახებ. აჭარული კილოს სალექსიკონო მასალის აღნიშნული დედანი პირველად დაიბეჭდა და იგი მრავალ აქამდე უცნობ და გამოუქვეყნებელ მასალას მოიცავს. ეს მასალები საინტერესო იქნება აჭარის ისტორიისა თუ ლექსიკის კვლევით დაინტერესებული პირებისათვის. სტატია მიემდგვნა ჯემალ ნოლაიდელის დაბადებიდან 110 წლისთავს.</p>					

91	ნანული ნოღაიდელი	აჭარული ფოლკლორი, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	201-206
ანოტაცია					
<p>აჭარული ფოლკლორი ქართული ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც კარგადაა შემონახული როგორც მრავალფეროვანი სიტყვიერება, ასევე მუსიკალური და საცეკვაო ფოლკლორი. ნაშრომში განხილულია აჭარის ფოლკლორის შესწავლის ისტორია, ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ტრადიციული ჟანრები, ასევე, ხაზგასმულია მათ მნიშვნელობა საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიის თვალსაზრისით.</p>					
92	ნანული ნოღაიდელი	ხალხური სამზარეულო, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	157-161
ანოტაცია					
<p>სტატიაში წერილობითი წყაროების, მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერებისა და სხვა მონაცემების საფუძველზე გაანალიზებულია აჭარული სამზარეულოს მრავალფეროვნება და თავისებურები, კერძების ნაირგვარობა და მომზადების ტექნოლოგია, სუფრის გაშლის წესები და მასთან დაკავშირებული რიტუალები. შესწავლილია აჭარის მოსახლეობის რაციონი, პროდუქტების მოვლა-შენახვისა და დამზადების მდიდარი ხალხური გამოცდილება, ყოველდღიური, სადღესასწაულო და რიტუალური კერძები, პროდუქტებისა და სხვადასხვა კერძების დამზადებასთან დაკავშირებული აკრძალვები, ხალხური წეს-ჩვეულებები, სამზარეულოს დგამი და ჭურჭელი. ნაშრომში მოცემულია სამზარეულოს გენეზისისა და მასში ყოფის ისტორიული ტრანსფორმაციით გამოწვეული უცხო ელემენტების შეჭრის პროცესების ანალიზი, გაკეთებულია დასკვნები აჭარის კულინარული ხელოვნების მაღალ კულტურაზე.</p>					
93	ნანული ნოღაიდელი	ხალხური მედიცინა, – კრ.: აჭარა – ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	197-201
ანოტაცია					
<p>სტატიაში გაანალიზებულია აჭარაში ხალხური მედიცინის უძველესი ტრადიციების</p>					

ამსახველი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული წყაროები, აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემოინახული ცოდნა მცენარეული და ცხოველური სამკურნალო საშუალებების, მედიკამენტების მომზადების ტექნოლოგიის, მკურნალობის მაგიური ხერხებისა და ხალხური მეთოდების შესახებ.

ხალხური მედიცინა აჭარაში ემყარება ხალხის ემპირიულ გამოცდილებას. მის საფუძველზე აჭარაში ძირითადად სამკურნალოდ იყენებდნენ ნატუროპათიურ საშუალებებს (მცენარეულისაგან დამზადებული ნახარშები, სპირტიანი ნაყენები, ფხვნილები), ადგილობრივ მინერალურ წყლებს, რასაც აჭარაში „მჟავე წყლებს“ ეძახდნენ.

94	ნარგიზ ახვლედიანი	ქვასა და ბუნებრივ გეოგრაფიულ გარემოსთან დაკავშირებული ზანური გეოგრაფიული სახელები, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	83-88
----	-------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------	-------

ანოტაცია

ქართულის დასავლურ კილოებში-აჭარულ, გურულსა და იმერულში განსაკუთრებით ლექსიკასა და ტოპონიმიკაში, დიდი როდენობით შემონახულია მეგრულ-ლაზური ელემენტები. ეს აიხსნება არა ტერიტორიული სიახლოვითა და გავლენით, არამედ ზანური სუბსტრატით. სტატიაში წარმოდგენილია აჭარაში დადასტურებული ქვასა და ბუნებრივ გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელი რამდენიმე ტოპონიმი, რომელიც ადგილს, რელიეფს აღნიშნავს. ესენია: გონთი, კორეჭი, ობოდირი, ონჩომეთი, ოკიდალა, ოღროკა, ოწვეთია, ოჭოფო, ოხოჯირი, ოჯინჯი, ღვაჩა... ნაშრომში მოცემულია თითოეული მათგანის ავტორისეული ეტიმოლოგიური ძიების ახსნის ცდა.

95	ნარგიზ ახვლედიანი	ისევ ერთი ტოპონიმისათვის ბათუმის შემოგარენში, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	იბეჭდება
----	-------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------	----------

ანოტაცია

ადგილის საკუთარი სახელი, მისი შემქმნელი კოლექტივის ენობრივი მასალიდან აღებული სიტყვაა. დღემდე სპეციალისტთა მიერ არაერთი ვარაუდი არის გამოთქმული ტოპონიმ „მახინჯაური“-ს ირგვლივ. აქამდე ბევრი სხვადასხვა შეხედულება გამოითქვა ამ

ტოპონიმთან დაკავშირებით. არსებობს აზ. ახვლედიანის თვალსაზრისი-ტოპონიმის ანთროპონიმიდან მომდინარეობის შესახებ. ჩვენი ვარაუდი ამ აზრის გაგრძელებაა. ტოპონიმი „მახინჯაური“ ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელია. რაც შეეხება ტოპონიმ „მახინჯაური“-ს ეტიმოლოგიას. შესაძლებელია, იგი „სახვლედიანო“-ს ზანური ვარიანტი იყოს.

96	შოთა ზოიძე	პოეტი-ბარდი ბულატ ოკუჯავა, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	98-105
----	------------	-------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------	--------

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ქართული წარმოშობის რუსულენოვანი ემიგრანტი მწერლის ბულატ ოკუჯავას ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ძირითადი მომენტები, გაანალიზებულია მისი პოეზიისა და პროზაული ნიმუშების იდეური და მხატვრული ოსტატობის საკითხები, რითაც საკუთარი და ორიგინალური სიტყვა თქვა რუსულ მწერლობაში და დაიმკვიდრა თავი, როგორც უაღრესად პოპულარულმა მწერალმა და პოეტმა-ბარდმა. მთელი მისი შემოქმედება, პროზა იქნება ეს თუ პოეზია, ესტრადასა თუ კინოში, გარემოსილია საყოველთაო სახალხო სიყვარულით.

97	შოთა ზოიძე	საყვარლის საფლავის პარადიგმა, – ჟურ. „განთიადი“	№ 5-6	ქუთაისი, ჟურ. „განთიადის“ რედაქცია	158-160
----	------------	----------------------------------------------------	-------	------------------------------------	---------

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი პოეტისა და მკვლევარის დოდონა კოზირიას პოეტური ნიმუშები, წარმოდგენილია ის თემატიკური სიახლეები და გამომსახველობითი საშუალებები, რითაც გამოირჩევა მისი პოეზია მთელი XX საუკუნის ემიგრანტულ პოეზიაში. ცარიელი საფლავის გლოვა და წუხილი დაგვიანებული ფოსტის გამო, უდაბნოში დაღვრილი წყალი, დაკარგული დის შესანდობარი, საფლავი სამსხვერპლო ანძასთან, მომავლის წალეკვითა და გლოვით დაღარული ცა, ბავშვის ტანივით თეთრი მარმარილო, ფილაქნებზე დაფენილი ვეფხვის ტყავი, საფლავშიც შენთან სიახლოვის ნატვრა, შენზე ფიქრი - უძილობის ფერწერა და ბევრი სხვა ის მეტაფორებია, რომლებშიც ბევრი პოეზიაა.

98	შოთა ზოიძე	ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ – მანიფესტი, რეიტინგი და რეალობა, – ჟურნალი „განთიადი“	2017 წლის №1-2	ქუთაისი, ჟურ. „განთიადის“ რედაქცია	იბეჭდება 165-172
----	------------	-------------------------------------------------------------------------------------	----------------	------------------------------------	------------------

ანოტაცია

ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, რომელსაც 2016 წელს დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა, კორპორაცია „ცისფერი ყანწების“ მთავარი ლიტერატურული ორგანო იყო. რომელშიც გამოქვეყნდა მათი მანიფესტი, რომლის ავტორი პაოლო იაშვილი იყო. სტატიაში ახლებურად არის წარმოდგენილი ჟურნალისა და მთლიანად ცისფერყანწელთა პროექტების შემოქმედება. ისინი იქადაგებოდნენ, რომ ნიაღვარივით მოედებოდნენ საქართველოს, მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს. ნიაღვარივით მხოლოდ გალაკტიონის ლექსები მოედო საქართველოს, რომელიც მეგობრობდა ცისფერყანწელებს, მაგრამ მათთან დისტანციურად იყო დაკავშირებული. ჟურნალის სულ 2 ნომერი გამოვიდა. ყველაზე ღირებული, რაც ამ ჟურნალში დაიბეჭდა გალაკტიონის „მთაწმინდის მთავრე“ და „ლურჯა ცხენებია“. სხვა ლექსები საკმაოდ სუსტია. საკამათო და ზოგი რამ მიუღებელია დღევანდელი მკითხველისათვის ზოგიერთი პუბლიცისტური წერილიც.

99	შოთა ზოიძე	ირაკლი აბაშიძის „რუსთაველის ნაკვალევზე“ და პალესტინური ციკლის ლექსები, – კრ.: რუსთაველი და ოქროს ხანის“ საქართველო		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	33-42
----	-------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------	-------

ანოტაცია

სტატია მიემდგნა რუსთაველის 850 წლისთავს. განხილულია კვლევის ისტორია და წარმოდგენილია ავტორის კონცეპტუალურად ახლებური თვალსაზრისი საკვლევი თემის გარშემო. რიგ მკვლევარებს მიაჩნდათ, რომ ეს ლექსები ერთგვარი პროგრესული ნახტომია პოეტის შემოქმედებაში. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ამ ლექსების მხატვრული საშუალებები, სულიერი მრწამსი და შთაგონება პოეტის ადრინდელ ლექსებშიც ფართოდაა წარმოდგენილი და პალესტინური ციკლი მათი ორგანული გაგრძელებაა.

100	შოთა ზოიძე	ბათუმი ქართულ პოეზიაში, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	367-373
-----	-------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

2015 წელს დაწერილ ლექსში აკაკი წერეთელმა კავკასია უხორთუმო სპილოს შეადარა, ხოლო გალაკტიონ ტაბიძემ მას საქართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ღია ფანჯარა უწოდა. მისი ლექსების ციკლი „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ ქართული

პოეზიის ოქროს ფურცელია. იგი დიდი სამამულო ომის წლებში დაიწერა, რისთვისაც პოეტი სპეციალურად ჩამოვიდა ბათუმში. ოციან წლებში ბათუმს საინტერესო ლექსები უძღვნეს ცისფერყანწელებმა (ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი). ისინი არა მარტო ლექსებით, ფიზიკურადაც მონაწილეობდნენ ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. „მაისი ყველგან არის მაისი, მაგრამ ბათუმში მაინც სხვა არი,“ - წერს ტიციან ტაბიძე. რაც შეეხება პაოლო იაშვილს, იგი მზადაა სიცოცხლედ კი დათმოს ბათუმის თავისუფლებისთვის. „ან უნდა ვიხსნათ ჩვენი აჭარა, ანდა ბათომთან დავტოვოთ ძვლები,“ - წერდა თავის ლექსში.

ერთერთი პირველი იყო პოეტი მამია ვარშანიძე, ვინაც ბათუმს საანთოლოგიო ლექსი მიუძღვნა. მაღალმხატვრული სტრიქონები უძღვნეს ზღვისპირა ქალაქს ლადო სეიდიშვილმა, ვიქტორ გაბესკირიამ, გიორგი ლეონიძემ, ალიო მირცხულავამ, ზურაბ გორგილაძემ. პოეტმა ზურაბ ზოიძემ მას მაგნოლიების ქალაქი უწოდა.

დროა გამოიცეს კრებული „ქართველი პოეტები ბათუმს“.

101	შოთა ზოიძე	გუგულის ლექსები და დაკარგული პოეტი (გიორგი გამყრელიძე),- ჟურნალი „განთიადი“	2017 წ. №1-2,	ქუთაისი, ჟურ. „განთიადის“ რედაქცია	172-178
-----	------------	--------------------------------------------------------------------------------	---------------	------------------------------------	---------

ანოტაცია

ემიგრანტი პორტი გიორგი გამყრელიძე, რომლის მეტსახელია გუგული, 1923 წლიდან გერმანიაში ცხოვრობდა და სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. XX საუკუნის ქართველ ემიგრანტ პოეტებს შორის, ყველაზე უფრო გამორჩეულია, პოეტური ხელწერითა და თემატიკური სიახლეებით. მის ლექსებში ილანდება ტერენტი გრანელისა და ფრანსუა ვიიონის სახეები: „მოჩანს სარკმლიდან ღრუბლით დაქანცულნი: ტერენტი გრანელი და ფრანსუა ვიიონი.“ საინტერესო ლექსებია და სასიამოვნოდ იკითხება „პოეტების მეფე“, „როსინანტი“, „საჩხერის ღამე“ და „ზღაპრები თბილისზე“.

გიორგი გამყრელიძე ფლობდა გერმანულ, ჩეხურ, ფრანგულ და ინგლისურ ენებს, მათ მწერლებს კითხულობდა დედანში და ზოგსაც აქართულებდა.

თუ არა ის ტრაგიკული წლები, გიორგი გამყრელიძის სახით შეიძლება კლასიკოსი გვყოლოდა, მაგრამ რაც შექმნა, იმითაც ავსებს და ალამაზებს ჩვენს პოეზიას.

102	ციალა ნარაკიძე	ლაზური ფოლკლორი,- კრ.: აჭარა – ტურისტულ- მხარეთმცოდნეობითი რესურსები		ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	214-220
-----	----------------	-------------------------------------------------------------------------------	--	-------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომში საუბარია ლაზური ფოლკლორის შესახებ. ლაზური ფოლკლორი ისევე

როგორც საქართველოს სხვა რეგიონების ხალხური შემოქმედება, ქართული ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც კარგად ჩანს ლაზი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ყველა ისტორიული და სოციალური მოვლენა. ნაშრომში მოკლედ არის მიმოხილული მდიდარი ხალხური პოეტური შემოქმედება მრავალფეროვანი თემატიკით: შრომის პოეზია, საწესჩვეულებო, სატრფიალო ხასიათის ლექსები, ლირიკული ლექსები და შაირები, ასევე ანდაზები და გამოცანები. ლაზურმა ზეპირსიტყვიერებამ ლაზური მეტყველების მსგავსად, თავისი მეობა დაიცვა და დღემდე თითქმის წმინდად შემოინახა ლაზური ხალხური მრავალსაუკუნოვანი ნააზრები და მისი ტრადიციები.

103	ციალა ნარაკიძე	შინამრეწველობასთან დაკავშირებული ლექ- სიკიდან ლაზურში, – კრ.: ბსუ-ს ნიკო ბერძე- ნიშვილის ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, გამომც. “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	113-121
-----	-------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----	-------------------------------------------------------------------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომში შეძლებისდაგვარად განხილულია შინამრეწველობასთან დაკავშირებული ლექსიკა. ცნობილია, რომ ძველად საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად ლაზეთშიც საოჯახო პირობებში ამზადდებდნენ ქსოვილს და ნაქსოვ ნივთებს, ქარგავდნენ, ამზადდებდნენ და წნავდნენ საჭირო ჭურჭელს. მაგრამ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ, ფაბრიკული ნაწარმის გავრცელებამ შინამრეწველობიდან განდევნა მთელი რიგი დარგები, რასაც თან მოჰყვა ბევრი ლექსიკური ერთეულის მივიწყება. თუმცა, ზოგი მათგანი ჯერ კიდევ შემონახულია ძველი თაობის მეხსიერებაში, მაგრამ ენობრივ მიმოქცევაში მათი საჭიროების საფუძველი გამოცლილია და ლექსიკურ ფონდში ამ სიტყვების დაკარგვის საფრთხე სრულიად აშკარა ხდება. წარმოდგენილი მასალა, სამწუხაროდ, სრულყოფილი არ არის, რადგან ლაზ მთქმელებს ქსოვის პროცესთან დაკავშირებით ბევრი რამ აღარ ახსოვთ.

104	ციალა ნარაკიძე	ქრისტიანული ყოფის ამსახველი ელემენტები ლაზურ საქორწილო ფოლკლორში, – კრ.: ჩვენი სულიერების ბალავარი (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცი- ის მასალები)	VIII	თბილისი, გამომც. „უნივერსალი“	215-220
-----	-------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------	----------------------------------	---------

ანოტაცია

სტატიაში საუბარია ქრისტიანული ყოფის ამსახველი ელემენტების შესახებ,

რომელიც გვხვდება ლაზურ საქორწილო ფოლკლორში. ლაზური საქორწილო რიტუალის ყოველი ეტაპი ხალხური ლექს-სიმღერებით არის გაჯერებული. რიტუალური სიუჟეტების ამსახველ საქორწილო ფოლკლორში ზოგჯერ თავს იჩენს ცალკეული ქრისტიანული სიმბოლო, რომელიმე ღვთაების სახელი, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, გამომდინარე იქედანაც, რომ ლაზეთი საუკუნეებია მოწყდა ქრისტიანულ სამყაროს. მისი ძირითადი ტერიტორია, ლაზური მოსახლეობით რამდენიმე საუკუნეა თურქეთის შემადგენლობაშია და ოსმალეთის მუსლიმანურ გარემოცვაშია მოქცეული. ლაზურ საქორწილო ლექსებში მოხსენებულია მთვარე, მარიამობა, რაც წარმართულისა და ქრისტიანულის ურთიერთ მიმართებაზე უნდა მეტყველებდეს. საქორწილო ლექს-სიმღერებში კარგად ჩანს ლაზების დამოკიდებულება – „ოხვამესადმი“ და ისიც, რომ ქრისტიანი ლაზები ადრე ჯვარს ეკლესიაში იწერდნენ და ისე ქმნიდნენ ოჯახს.

105	ციალა ნარაკიძე	ბერძნული ენის გავლენა ზანური ენის ლაზურ დიალექტზე, – სამეცნიერო ჟურნალი „სემიოტიკა“	XVI	თბილისი, „სემიოტიკის კვლევის ცენტრი“	165-171
-----	-------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------	-----	--------------------------------------------	---------

ანოტაცია

ნაშრომში საუბარია ზანური ენის ლაზურ დიალექტზე ბერძნული ენის გავლენის შესახებ. ცნობილი ფაქტია, რომ თანამედროვე ლაზეთის ტერიტორია საუკუნეების განმავლობაში შედიოდა რომისა და ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში და განიცდიდა ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის დიდ გავლენას. წარსულში ბერძნულ ეთნიკურ სამყაროსთან ლაზეთის მჭიდრო კულტურული ურთიერთობით არის განპირობებული ზანური ენის ლაზურ დიალექტში ბერძნული ენობრივი ელემენტების არსებობა. განსაკუთრებით საინტერესოა ბერძნულიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მეტნაკლებად ლაზურის ყველა კილოში გვხვდება. ბერძნულიდან ნასესხებ სიტყვათა ერთ ნაწილს ლაზურში შენარჩუნებული აქვს თავისი ძირითადი ბერძნული მნიშვნელობა ყოველგვარი გადახრის გარეშე და ფონეტიკურ-მორფოლოგიური ცვლილებებიც ნაკლებად განუცდიათ. მაგრამ გვაქვს ისეთი ლექსიკური ნიმუშებიც, რომლებსაც ეტყობა ლაზურის გავლენით განუცდიათ გარკვეული ცვლილებები, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ.

II. 2. პუბლიკაციები:

ბ) უცხოეთში

მონოგრაფიები

#	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
---	-----------------	------------------------	-----------------------------------	------------------------

1				
2				
3				
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

სახელმძღვანელოები

#	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1				
2				
3				
ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე				

სტატიები

#	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებულის დასახელება	ჟურნალის/კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Nino Inaishvili	Archaeological Sites in Environment of Batumi, (ბათუმის მხარის ისტორია არქეოლოგიური ძეგლების მაგალითზე) – Proceedings of the Symposium on <i>City Ports from the Eagean to the Black Sea.</i>		Istanbul	93-107

		<i>Medieval-Modern Networks</i> . Eds. Flora Karagiani-Ufuk Kocabas.			
<p>ანოტაცია</p> <p>ნაშრომში განხილულია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის უმთავრესი არქეოლოგიური ძეგლები. აღნიშნულ ძეგლებზე არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა, რომ სანაპირო ზოლი და მისი მიმდებარე ტერიტორია დასახლებული იყო ადრეული ბრინჯაოს პერიოდიდან. ყველა დასახლება მდებარეობდა მდინარეების შესართავებთან. ამან დიდი როლი ითამაშა მათ განვითარებაში, რადგან მდინარეების შესართავები გამოიყენებოდა როგორც ნავსადგურები. ამ ადგილებში ბერძნული კოლონიების წარმოშობა დაფიქსირებულია ძვ.წ. VI საუკუნის დასასრულიდან. ქობულეთი-ფიჭვნარი იყო ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ურბანული კოლონიური დასახლება კლასიკურ და ელინისტურ ხანაში. სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამო გონიო-აფსაროსმა შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა რომაულ პერიოდში, ხოლო პეტრა-ციხისძირმა – ადრეულ ბიზანტიურ ხანაში. ფიზიკური გეოგრაფიის წყალობით შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო პონტოს სამყაროს ნაწილი იყო და შესაბამისად მოქცეული იყო ბერძნული, რომაული და ბიზანტიური გავლენის სფეროში.</p>					
2	Nino Inaishvili (co-author Marine Giorgadze)	The Colchis Black Sea Littoral in the Archaic and Classical Periods (კოლხეთის შავი ზღვისპირა რეგიონი არქაულ და კლასიკურ ხანებში), – Historika. Studi de Storia greca e romana. <i>Great is the Power of the Sea in the Greek World of the Archaic and Classical Period.</i> Eds. G.Cuniberti, G.Daverio Rocchi and J.Roy with collaboration A.	V	Turino ISSN 2240-774X e- ISSN 2039-4985, ISBN 978-88-6789- 071-2	151-165

		Bartzoka.			
ანოტაცია					
<p>ნაშრომში განხილულია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ადრეანტიკური და ელინისტური ხანის უმთავრესი არქეოლოგიური ძეგლები (ქობულეთ-ფიჭვნარი, პეტრა-ციხისძირი და ბათუმის ციხე). აღნიშნულ ძეგლებზე ჩატარებულმა ხანგრძლივმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლი და მისი მიმდებარე ტერიტორია დასახლებული იყო ადრეული ბრინჯაოს ხანიდან, ხოლო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ისინი საკმაოდ დაწინაურებულ კოლხური კულტურის ცენტრებს წარმოადგენდნენ. ძვ.წ. VI საუკუნეში ძველკოლხურ სამოსახლოებთან ჩნდება ბერძნული კოლონიები, რომელთა წარმოქმნა განპირობებული იყო მდინარეების შესართავებთან მდებარეობითაც, რომლებიც ნავსადგურებად გამოიყენებოდა. ქობულეთი-ფიჭვნარი იყო ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ურბანული კოლონიური დასახლება კლასიკურ და ელინისტურ ხანაში. ძეგლების ხასიათი, აღნიშნულ ძეგლებზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური არტეფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ ადრეანტიკურ-ელინისტურ ხანიდან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო ბერძნული და ელინისტური სამყაროს გავლენის სფეროშია მოქცეული.</p>					
3	შუშანა ფუტკარაძე	ქართველი ქალის როლი თურქეთ-სა-ქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიაში, – ფათიჰ სულთან მეჰმედის ფონდთან არსებული უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის მიერ სტამბოლში გამართული საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები		სტამბოლი	(იბეჭდება თურქულ ენაზე)
ანოტაცია					
<p>თურქი და ქართველი ხალხის მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობის სათავე საძიებელია ამ ორი ხალხის წინარეისტორიულ ხანაში, შორეულ წარსულში, ვიდრე ისინი ერთიმეორის კარისმეზობლებად ჩამოყალიბდნენ. მართლაც ამაზე</p>					

მეტყველებს ბევრი ისტორიული წყარო. მათ შორისაა ქართველი ხალხის უტყუარი მატიანე – „ქართლის ცხოვრება“. ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილ ერთ ისტორიულ ამბავზე, რომელიც ეხება თურქებისა და ქართველების თანაცხოვრების ფაქტს დღევანდელი საქართველოს გულში, მცხეთის მიდამოებში (დღევანდელ „სარკინეთში“). ნაშრომის მომდევნო ნაწილში საუბარია საქართველოს ისტორიის იმ მონაკვეთების შესახებ, როცა საქართველოს მეფეები მეზობელ მეომარ ხალხთან, ძლიერ სახელმწიფოებთან დამოყვრებას მიმართავდნენ სამშობლოს კეთილდღეობის შენარჩუნების მიზნით. დამოყვრება ქართული სახელმწიფოს დიპლომატიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება იყო. ქართველ მეფეთა ასულებს ათხოვებდნენ შირვანში, ირანში, ბიზანტიაში, რუსეთში, ერაყში, ოსმალეთში. უცხოეთის სამეფო კარის ქართველი დედოფლების მთავარი საზრუნავი სიცოცხლის ბოლომდე სამშობლო რჩებოდა ხოლმე. ნაშრომში მოთხრობილია რუსუდან მეფისა და მისი ქალიშვილის თამარ ბაგრატიონის – „გურჯი ხათუნის“ ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდებზე. წარმოჩენილია „გურჯი ხათუნის“ ღვაწლი, ამაგი ქართული და თურქული კულტურის ისტორიაში; შესაბამისი დასკვნები გაკეთებულია შალვა ამირანაშვილისა და არაბი ისტორიკოსის იბნ ბიბის ნაშრომების მონაცემებზე დაყრდნობით.

4	ელზა ფუტკარაძე, ნაილე მიქელაძე	საკმეველის ფუნქცია და დანიშნულება აჭარის ფოლკლორში, – სამეცნიერო ჟურნალი «Tatarica»		ყაზანი, ყაზანის უნივერსიტეტის გამომცემლობა	იბეჭდება
---	--------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------	--	--------------------------------------------	----------

ანოტაცია

ნაშრომში საუბარია აჭარის მუსლიმანური რწმენის მოსახლეობაში შემორჩენილ ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებზე. აჭარა სამასი წლის განმავლობაში იტანდა ოსმალთა აგრესიასა და დევნას. ამ კუთხის მკვიდრნი თურქებისგან განიცდიდნენ როგორც მატერიალურ-სოციალურ შევიწროებას, ასევე რელიგიურ დევნას. თანდათან დავიწყებას ეძლეოდა არაერთი რელიგიური რიტუალი, მომსახურესის წესი. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ყოფამ სახეცვლილი ფორმით მაინც შემოინახა აღნიშნული წეს-ჩვეულებანი. აკრძალვების მიუხედავად, ამ მხარეში მუსლიმან აღმსარებლებში შემორჩენილი იყო ქრისტიანული სარწმუნოების წეს-ჩვეულების, კერძოდ, საკმეველის გამოყენება მიცვალებულის წესის აგებისას სახეცვლილი ფორმით-მიხაკ-დარიჩინის მარცვლების დაწყობა მიცვალებულის სახეზე. მათი რწმენით ეს დაიცავდა მიცვალებულს ბოროტი ძალისაგან.

5	რუსლან ბარამიძე	Political Process, Social Activity and Individual Strategies in Georgia: Institutional Transformations, Struggle for Identity and Georgian Muslims in the Media (პოლიტიკური პროცესები, სოციალური აქტიურობა და ინდივიდუალური სტრატეგიები საქართველოში: ინსტიტუციონალური ტრანსფორმაციები, ბრძოლა იდენტობისათვის და ქართველი მუსლიმები მედიაში, Central Asia Program (CERIA series))	Papers 166; http://centralasiaprogram.org/blog/2016/04/25/political-process-social-activity-and-individual-strategies-in-georgia-institutional-transformations-struggle-for-identity-and-georgian-muslims-in-the-media/	The Eliot School of International Affairs of the George Washington University, 2016	17
<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ნაშრომში შესწავლილია საქართველოში მუსლიმურ რელიგიურ თემზე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენის შედეგები. გაანალიზებულია კვლევის პროცესში 1990-იანი წლებიდან დღემდე სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ქმედებები და მასმედით გავრცელებული ცნობები ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მიმდინარე პროცესები, და ელექტრონული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობები, მუსლიმური ორგანიზაციებისა და ადგილობრივი სამეფთოების მიერ განხორციელებული საქმიანობის შემაფერხებელი და ხელისშემწყობი ფაქტორები სახელმწიფო პოლიტიკის კონტექსტში. კვლევის ძირითად თემად აღებულია სულთან აბდულ-აზიზის სახელობის მეჩეთის მშენებლობა. პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თურქეთ-საქართველოს შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაციასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებს, როგორც თემის ერთ შემადგენელ ნაწილს. კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ეს იყო ყველაზე მასშტაბური მოვლენა, რომელმაც გავლენა მოახდინა არა მარტო მუსლიმებზე, არამედ, პროცესის</p>					

მხარდამჭრებსა და მიმდინარე მოლაპარაკების მოწინააღმდეგეებზე. სტატიაში საუბარია მოლაპარაკების პროცესში და მასთან დაკავშირებით განვითარებული პროცესების განმავლობაში ჩამოყალიბებული არგუმენტებისა და პოზიციების ერთობლიობაზე, რომელიც საყურადღებო აღმოჩნდა არა მარტო მუსლიმებისათვის, არამედ გავლენა იქონია რელიგიურ პოლიტიკაზე და დისკურსზე. ნაჩვენებია ამ ურთიერთობებისა და დამოკიდებულებების განსხვავებული სპექტრი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებზე, განსაკუთრებით 2012 წლის არჩევნებში.

III. 1. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
ა) საქართველოში

#	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ბიჭიკო დიასამიძე	დასავლურ ქართული ეკლესია და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესი	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“ – VIII; 2016 წლის 13-14 მაისი, ბათუმის შოთა რუსთავე- ლის სახელმწიფო უნივერ- სიტეტი
	ანოტაცია		
	<p>ნაშრომში გაანალიზებულია IX-X საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრების (ბიჭვინთა, სებასტოპოლისი, ფაზისი, პეტრა...) გაძლიერება-გაერთიანებისა და აფხაზთა საკათალიკოსოს წარმოშობის საკითხი, ამასთან ნაჩვენებია ის პოზიტიური ფუნქცია, რაც აქაურმა ეკლესიამ ითამაშა ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების პროცესში. ახსნილია მეათე საუკუნეში ე.წ. „ძველ“ საეპისკოპოსოთა „ახლებით“ ჩანაცვლების მიზეზი – ეგრის-აფხაზეთის ხელისუფლებას გაადვილებოდა „აფხაზთა საკათალიკოსოს“ მცხეთისადმი დაქვემდებარება, მისგან ქვეყნის გაერთიანებაში.</p>		
2	ბიჭიკო დიასამიძე	ცისფერყანწელები და 1914- 1920 წლების პოლიტიკური მოვლენები ბათუმში	“ცისფერყანწელთა” ლიტერატურული დაჯგუფების შექმნიდან მე- 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 17-18 ივნისი,

			ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ნაშრომში გაანალიზებულია ცისფერყანწელთა მოღვაწეობის პირველი პერიოდი (1917-1920 წწ) და პოლიტიკური ვითარება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აჭარა-ბათუმში ნაჩვენებია ცისფერყანწელთა ცნობილი წარმომადგენლების (პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე) აქტიური მონაწილეობა აჭარაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებში, მათი მწვავე გამოხმაურება ლექსებითაც.</p>		
3	ბიჭიკო დიასამიძე	ქალაქ ბათუმის ხელახალი დაბადება	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“-VII; 2016 წლის 2-3 სექტემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
	<p style="text-align: center;">ანოტაცია</p> <p>ნაშრომში წარმოდგენილი ქალაქ ბათუმის საქალაქო ცხოვრების განვითარების ეტაპები ანტიკური პერიოდიდან დაწყებული და განსაკუთრებით ხაზგასმულია და ახსნილი ბათუმის საქალაქო ცხოვრებაში განხორციელებული ცვლილებების არსი XIX საუკუნეში. სტატიაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ქალაქის განვითარებაში ახალ ტენდენციებს XXI საუკუნეში, როცა ქალაქი გააზრებულ იქნა, როგორც მსხვილი კულტურულ-საგანმანათლებლო, სანავსადგურო და ტურისტული ცენტრი. ჩამოყალიბებულია ქალაქის განვითარების ახალი კონცეფცია უახლეს 8-10 წლის განმავლობაში, რომელიც ითვალისწინებს გონიო-ფიჭვნარის 30 კილომეტრიანი მონაკვეთის ერთიან ტურისტულ ზონად ჩამოყალიბებას.</p>		
4	ბიჭიკო დიასამიძე	საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციები რუსთაველის ხანაში	შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლის-თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 20 ოქტომბერი; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო

			უნივერსიტეტი
ანოტაცია			
<p>ნაშრომში წარმოდგენილია XII საუკუნის ბოლო მეოთხედის (რუსთაველის ხანა) სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ტენდენციები, რომლებმაც ქვეყანა ერთის მხრივ, ახლო აღმოსავლეთის უდიდეს და უმძლავრეს ქვეყნად აქცია და შექმნა პირობები კულტურის, განათლების, მეცნიერების განვითარებისათვის, მაგრამ მეორე მხრივ ქვეყნის განვითარების დონეს აღარ შეესაბამებოდა მმართველობის სისტემა, რაც რეფორმებს და გარდაქმნებს მოითხოვდა. ამ წინააღმდეგობას ქვეყანაში ღრმა კრიზისი და საბოლოოდ მონღოლ-თათართა წინაშე მორჩილების გამოცხადება მოჰყვა.</p>			
5	ბიჭიკო დიასამიძე	აჭარა ვახუშტი ბატონიშვილის შრომებში	ვახუშტი ბატონიშვილის დაბადებიდან 320 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 7 ოქტომბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია			
<p>ნაშრომში ვახუშტი ბატონიშვილის შრომებზე, ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განსხვავებული შეხედულებანი, ეთნოგრაფიული აჭარის საზღვრებისადმი და გაკეთებულია დასკვნა, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული აჭარა მოიცავდა არა მარტო აჭარისწყლის ხეობას, როგორც ზოგიერთი ავტორი ამტკიცებდა, არამედ აჭარისწყლის ხეობასთან ერთად ბათუმ-ქობულეთის მხარეებსაც, ანუ თანამედროვე აჭარის ტერიტორიას.</p>			
6	ოთარ თურმანიძე	ქართული სამართლის საკითხები ივანე ჯავახიშვილის შრომებში	ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 5 მაისი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია			
<p>მოხსენებაში განხილულია ღვაწლმოსილი მეცნიერის ნაყოფიერი მოღვაწეობა</p>			

ქართული სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლაში. ნაშრომში გაანალიზებულია ივანე ჯავახიშვილის კვლევა-ძიების მიღწევები, კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები, მეცნიერულადაა შეფასებული მისი წვლილი ქართული სახელმწიფოსა და სამართლის საკითხების შესწავლაში.

7	ოთარ თურმანიძე	ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ისტორია	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“-VII; 2016 წლის 2-3 სექტემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
---	-----------------------	------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ანოტაცია

მოხსენებაში განხილულია ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების დაარსების მიზანი და მნიშვნელობა ცარიზმის მიერ მხარის კოლონიურ ათვისებაში. ნაშრომში შესწავლილია საზოგადოების სტრუქტურები, მართვის ფორმები. განხილულია ბათუმის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ისეთი დანაყოფები, როგორცაა სანერგეები, სასაწყობო მეურნეობა, მეტეოროლოგიური სადგურები, ბოტანიკური ბაღი და სხვა. ჯეროვნადაა შეფასებული ა. კრასნოვის დამსახურება ბოტანიკური ბაღის დაარსებაში, მისი კავშირგაბმულობანი მსოფლიოს შესაბამის წამყვან სამეცნიერო დაწესებულებებთან.

8	ოთარ თურმანიძე	საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა და სასულიერო პირების რეპრესიები აჭარაში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო“ (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია); 2016 წლის 15-16 სექტემბერი; აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო
---	-----------------------	---------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ანოტაცია

მოხსენებაში გაშუქებულია აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის თავისებურებანი, სასულიერო პირების საქმიანობა და ხელისუფლების მიერ მათ მიმართ განხორციელებული რეპრესიები, ნაჩვენებია ამ რეპრესიების შედეგები.

9	ოთარ თურმანიძე	დიმიტრი ბაქრაძე საადგილმამულო	დიმიტრი ბაქრაძის დაბადებიდან 190
---	-----------------------	-------------------------------	----------------------------------

		ურთიერთობის საკითხები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში	წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 24 ნოემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ანოტაცია			
<p>მოხსენებაში განხილულია დიმიტრი ბაქრაძის ღვაწლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საადგილმამულო ურთიერთობის შესწავლაში. ხაზგასმულია იმის შესახებ, რომ დიმიტრი ბაქრაძემ არა მარტო ზოგადად შეისწავლა მიწათმფლობელობის ოსმალური ფორმები, არამედ ბათუმისა და ყარსის ოლქებში მათი ფაქტობრივად არსებული მდგომარეობა. ამასთან, გამოიკვლია საადგილმამულო გადასახადების სახეები და გააკეთა შესაბამისი დასკვნები.</p>			
10	უჩა ოქროპირიძე	ქართული ასომთავრული, საკრალური პოეზია	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“- VIII; 2016 წლის 13-14 მაისი, ბათუმის შოთა რუსთავე- ლის სახელმწიფო უნი- ვერსიტეტი
ანოტაცია			
<p>აღნიშნული ნაშრომი წაკითხული იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის პლენარულ სხდომაზე. მასში ლაპარაკია ქართულ ასომთავრულში ჩადებულ საკრალურ საიდუმლოზე. გახსნილია ქართული ასომთავრული ანბანის წრით გამოხატულ სისტემაში ვარსკვლავის ჩასმის ნამდვილი არსი და საიდუმლო, რის შედეგადაც მიღებული იქნა უჩა ოქროპირიძის „დაიცევი“ სისტემა თავისი 5 (ხუთი) კვირეულით, რომელთაგან პირველის, მასში ჩახატული ორი ჯვრის მეშვეობით წაკითხული (8 რვა) ასო ნიშნის, შინაარსი ასეთია: „აე გზა ელი“, ანუ „აე გზა უფლისა“ (ა-ე გ-ზ-ა ე-ლი = არსთა საწყისის წმინდა ენა მიწიერი ზენა არსი წმინდა ენის სულიერი სავანე (ამ შემთხვევაში უფალი იესო ქრისტე - უ. ო.)</p>			
11	უჩა ოქროპირიძე	კიდევ ერთხელ ბრესტის ზავის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების შესახებ	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედრო- ვეობა“-VII; 2016 წლის 2-3 სექტემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

			უნივერსიტეტი
ანოტაცია			
<p>ნაშრომი წაკითხული იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის პლენარულ სხდომაზე, რისი მიზეზიც იყო ამ ბოლო დროს ბრესტის ზავის, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებისა და მასთან დაკავშირებული საკითხებისადმი განსაკუთრებით გაზრდილი ინტერესი. მოხსენებაში არის რეალური მცდელობა, ერთი კონფერენციის ფარგლებში, შესაძლო პასუხი გაეცეს აღნიშნული მოვლენების ირგვლივ ხელოვნურად შექმნილ აჟიოტაჟს და მათით არაჯანსაღი მანიპულირების მცდელობებს ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოებრიობის არაკეთილმოსურნეთა მხრიდან. მასში მოყვანილი ისტორიული ფაქტების, ისტორიული დოკუმენტებისა და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე ხაზგასმულია მსგავსი მცდელობათა სრული უნაყოფობა.</p>			
12	უჩა ოქროპირიძე	ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები ივანე ჯავახიშვილის შრომებში	ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 5 მაისი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ანოტაცია			
<p>მოხსენება წარდგენილი და წაკითხული იქნა თანამედროვე ქართული ისტორიული მეცნიერების ფუძემდებლის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე. მოხსენებაში განხილულია ივანე ჯავახიშვილის ის უდიდესი ღვაწლი და მაღალკვალიფიციური კვლევის შედეგები ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხების შესწავლის საქმეში, რამაც, ფაქტიურად, სათავე დაუდო ქართულ მეცნიერებაში ამ საინტერესო მიმართულების მეცნიერულ კვლევას.</p>			
13	უჩა ოქროპირიძე	დიმიტრი ბაქრაძე და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები	დიმიტრი ბაქრაძის დაბადებიდან 190 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 24 ნოემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია			
<p>მოხსენება წაკითხული იქნა დიმიტრი ბაქრაძის 190-ე წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე. მასში ასახულია დიმიტრი ბაქრაძის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესასწავლად გაწეული დიდი მუშაობა, განსაკუთრებით კი მისი დამსახურება და წვლილი იმდროინდელი ლაზისტანის პრობლემის წინ წამოწევასა და კინტრიშის უბნის ყველანაირი ასპექტით შესწავლაში.</p>			
14	მაია ჭიჭილეიშვილი	ბათუმის ერთი სახლის ისტორია	<p>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები და გარემოს დაცვა“; 2016 წლის 19-20 მაისი; ქუთაისი;</p>
ანოტაცია			
<p>ნაშრომში განხილულია XX საუკუნის 10-იან წლებში აგებული ცნობილი მრეწველის ნიკოლოზ საბაშვილის სახლი, რომელიც ძველი ბათუმის არქიტექტურის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია. სამსართულიანი, რენესანსულ-ბაროკული სტილის პომპეზური შენობა, მის მიმდებარე მასშტაბურ ნაგებობებთან ერთად მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქალაქის ისტორიული ნაწილის ურბანულ სახეს. ქუჩათა გადაკვეთაზე მდგარ ნაგებობას გამორჩეულ იერს არქიტექტურული ელემენტების (რუსტიკა, კორინთული ნახევარსვეტები, პილასტრები, დიდი ზომის კრონშტეინებს დაყრდნობილი ქვის ბალუსტრადიანი აივნები) და პლასტიკური დეკორის განსაკუთრებული სიუხვე - ერკერის საყრდენი ატლანტების ფიგურები და თაღოვან ფრონტონებში ჩასმული მუზარადიანი ტიტანების მონუმენტური თავები ანიჭებს. სწორედ ადგილმდებარეობის, სივრცისა და მასშტაბის მორგანიზებელი მნიშვნელობის, ფასადის მწყობრი კომპოზიციური სტრუქტურის, უხვად ნაძერწი ორნამენტული ელემენტებისა და სკულპტურული დეკორის წყალობით ნაგებობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველი ბათუმის განაშენიანებაში. ნ. საბაშვილის საცხოვრებელი სახლის სკულპტურებით შემკობა ცნობილი ქართველი მოქანდაკის - სერაფიმე პოლოლიკაშვილის (1870-1918) სახელთანაა დაკავშირებული.</p>			
15	მაია ჭიჭილეიშვილი	ძველი ბათუმის ქუჩების განაშენიანება (მემედ აბაშიძის გამზირი)	<p>საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“-VII; 2016 წლის 2-3 სექტემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი</p>

ანოტაცია			
<p>მოხსენება შეეხება, ბათუმში მ. აბაშიძისა და კ. გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე, ქართველი მრეწველის ნიკოლოზ საბაშვილის სახლის ისტორიასა და არქიტექტურას. შენობის ქანადაკებებით შემკობაში ცნობილ ქართველ მოქანდაკეს, ქუთაისში მოღვაწე ოსტატს - სერაფიმე პოლოლიკაშვილს მიუღია მონაწილეობა.</p>			
16	ოლეგ ჯიბაშვილი (თანამომხსენებელი ისტ. დოქტ. ხათუნა დიასამიძე)	1878 წლის აგვისტოს დღეები ბათუმში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“-VII; 2016 წლის 2-3 სექტემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია			
<p>მოხსენებაში აღინიშნა, რომ ბათუმი, თავისი მოხერხებული გეოსტრატეგიული მდებარეობითა და პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობით, ადრიდანვე იქცევდა რუსეთის მზარდი სახელმწიფოს ყურადღებას. XIX საუკუნის მანძილზე ოსმალეთთან გადახდილი არაერთი წარმატებული ომისა, რუსეთმა ვერაფრით შესძლო ბათუმის დაუფლება. ეს მხოლოდ 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად მოხერხდა. ოსმალეთი დამარცხდა და იძულებული გახდა რუსეთისათვის ზავი შეეთავაზებინა. 1878 წ. 19 თებერვლის (3 მარტის) სან-სტეფანოს ზავით რუსეთმა ოსმალეთისაგან სერიოზული პოლიტიკური და ტერიტორიული დათმობები მიიღო, მათ შორის, ბათუმიც.</p> <p>ზაზი გაესვა, რომ რუსეთის წარმატებებმა შეამფოთა ევროპის სახელმწიფოები, ისინი საქმეში ჩაერივნენ და სცადეს მისი გამარჯვების გაქარწყლება. ყველაზე მეტად ინგლისი აქტიურობდა. ინგლისურ და რუსულ წყაროებზე დაყრდნობით ნაჩვენები იქნა, რომ დიდი ბრიტანეთი ცდილობდა ბათუმის სანჯაყში ადგილობრივი მოსახლეობის ანტირუსული აჯანყების პროვოცირებაც მოეხდინა. ამით წაქეზებული ოსმალეთი ახალი ომისათვის სამზადისს შეუდგა. ასეთ ვითარებაში რუსეთი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ბერლინის კონგრესის მოწვევას და სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვას.</p> <p>ბერლინის კონგრესზე (1878 წ.-ის 1 (13) ივნისი – 1 (13) ივლისი) რუსეთმა შეძლო სან-სტეფანოს ხელშეკრულების ძირითადი მუხლების შენარჩუნება. ინგლისის თანხმობით და ბერლინის ტრაქტატის ძალით, მასვე დარჩა ბათუმიც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პეტერბურგში ბოლო მომენტამდე არ სჯეროდათ ოსმალთაგან ბათუმის დათმობის შესაძლებლობისა. მოხსენებაში დასაბუთდა, რომ ბათუმის რუსეთის ფარგლებში დარჩენა როტშილდების გავლენიანი გვარის ჩარევამ განაპირობა. მათ ბათუმთან დაკავშირებით თავისი ეკონომიკური ინტერესები გააჩნდათ.</p> <p>დასასრულს, მიეთითა, რომ ბათუმში რუსეთის საჯარისო ნაწილები სამი მხრიდან</p>			

შევიდნენ: 25 აგვისტოს (6 სექტემბერს) ქობულეთის მხრიდან – კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოადგილის ნ. სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით; 30 აგვისტოს (11 სექტემბერს) – ართვინის გზით ჭოროხზე გამოვლით გენერალ კ. კომაროვის, ხოლო 2 (14) სექტემბერს ახალციხის გზით ზემო აჭარის გავლით – გენერალ ტრეიტერის ხელმძღვანელობით. ბათუმის თურქულმა ხელისუფლებამ ქალაქი საზეიმო ვითარებაში გადასცა რუსეთის წარმომადგენლობას.

17	ირინე ვარშალომიძე	ბიზანტიური მონეტა ბათუმის შემოგარენიდან	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“-VII; 2016 წლის 2-3 სექტემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
----	--------------------------	--------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ანოტაცია

მოხსენებაში განხილული იყო 2015 წელს ბათუმში, მწვანე კონცხის დასახლებაში, შემთხვევით აღმოჩენილი სპილენძის მონეტა. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ესაა ბიზანტიის იმპერატორ იოანე ციმისხეს (969-976წწ) სახელით მოჭრილი ბიზანტიური საფასე. მიმოხილულია საქართველო ბიზანტიის ურთიერთობები IV საუკუნიდან, ბიზანტიური ფულების ჩვეულებრივ შემოსვლის მიზეზები და გზები, მეათე საუკუნის დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევა, მასში ბიზანტიური ფულის დომინანტური როლი, აჭარის ზღვისპირა ზოლის აქტიური ჩართულობა ბიზანტიასტან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში და ა.შ.

18	ირინე ვარშალომიძე	კირმანეული თეთრი სოფელ აჭყვისთავიდან	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო“ (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია); 2016 წლის 15-16 სექტემბერი; აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო
----	--------------------------	--------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ანოტაცია

მოხსენება ეძღვნებოდა 2014 წელს აჭყვისთავში (ქობულეთი) ნაეკლესიარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ კირმანეულ თეთრს (XIII-XIV სს). შესავალში ავტორს გაშუქებული აქვს საქართველოს ისტორიის ამ ეტაპზე, კერძოდ მონღოლთა ბატონობის პერიოდში, დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გადმოსვლის მიზეზები, ურთიერთობა

ტრაპიზონის სამეფოსთან. განხილულია ჩვენში ტრაპიზონის ასპრების მიმოქცევისა და მათი პოპულარობის მიზეზები, კირმანეული თეთრის ემისიისა, ლეგალურობისა და ემიტენტეს საკითხები, აჭყვისთავში აღიშნული ნუმიზმატიკური ძეგლის დალექვის მიზეზები.

19	ჯემალ ვარშალომიძე	„კომპი“// „ქომპი“-ანი სახლები აჭარაში, იმერხევსა და ლაზეთში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო“ (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია); 2016 წლის 15-16 სექტემბერი; აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო
----	--------------------------	-------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ანოტაცია

მოხსენებაში ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე გარკვეულია, რომ წარსულში კომპიანი სახლები არსებობდა ღორჯომში, აგარასა და რიყეთში (ხულოს რაიონი) და აჭარული სახლის ტიპიურ ნაგებობებს განეკუთვნებოდა. ისინი ზაფხულობით დიასახლისების მიერ საოჯახო საქმიანობისათვის გამოიყენებოდა და ზოგჯერ ახალდაქორწინებულთა დროებით საცხოვრებელსაც წარმოადგენდა.

ახლად მოპოვებული საველე ეთნოლოგიური მასალების მიხედვით აქვე დახასიათებულია აჭარის მოსაზღვრე იმერხევის სოფლებში საკმაოდ მრავლად გავრცელებული „კომპი“//„ქომპი“-იანი სახლები, რომელთაც ტახტისებურად შემადგენელი მოსასვენებელი (დასაჯდომი თუ დასაწოლი) ფუნქცია გააჩნია. ასეთი კომპები საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ მხარეზე აივნიდან გარე სივრცეში გარეთ გამოწყული კომპისებური ფორმითაა მიშენებული ორფერდა სახურავით, რომლებიც შემკულობითაც გამოირჩეოდა. ისინი სტუმარ-მასპინძელი მამაკაცების სასაუბროდაც გამოიყენებოდა. აქვე მოკლედ საუბარია თურქეთის შავიზღვისპირეთის ქართული პროვინციებში გავრცელებულ კომპიან სახლებზე თურქულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომების მიხედვით.

20	ჯემალ ვარშალომიძე	ქართული ეთნოლოგიის საკითხები ივანე ჯავახიშვილის შრომებში	ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 5 მაისი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
----	--------------------------	----------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ანოტაცია

მოხსენებაში აღინიშნა ივანე ჯავახიშვილის, ქართველი ერის ისტორიის უბადლო მკვლევარის ღვაწლი, რომელმაც ქართველთმცოდნეობის სამსახურში ჩააყენა საისტორიო მეცნიერების თითოეული დარგი. გამოიკვეთა მკვლევარის პოზიცია, რითაც მოსახლეობის ცოცხალ ყოფაში შემონახულ ეთნოგრაფიულ რეალიებს განიხილავდა საისტორიო წყაროს მნიშვნელობით.

ბაზი გაესვა ივანე ჯავახიშვილის ავტორობით შემუშავებულ გეგმა-კითხვარის მეთოდოლოგიურ-მეცნიერულ პრინციპებს, რომელიც გამოყენებული იქნა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში სათანადო კომპეტენციის მქონე სპეციალისტების მიერ და 1935 წ. შეკრებილი იქნა საქართველოს ხელოსნობისა და შინამრეწველობის ტრადიციების ამსახველი მრავალფეროვანი მასალები. ცნობილია ივანე ჯავახიშვილისეული კმაყოფილება: ამ მასალებს ქართული კულტურის ენციკლოპედიის რანგში განიხილავდა. ამ ფენომენით გამდიდრდა ქართული ეთნოგრაფიული საისტორიო წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

21	ჯემალ ვარშალომიძე	ეთნოლოგიის საკითხები დიმიტრი ბაქრაძის შრომებში	დიმიტრი ბაქრაძის დაბადებიდან 190 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 24 ნოემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო ნივერსიტეტი;
----	--------------------------	------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ანოტაცია

მოხსენებაში აღინიშნა, რომ დიმიტრი ბაქრაძემ, ქართული საისტორიო მწერლობის საუკეთესო მცოდნემ, თავისი ე.წ. „არქეოლოგიური“ მოგზაურობით და ეთნოგრაფიული დაკვირვებებით გაამდიდრა ქართული მატიანის წყაროთმცოდნეობითი საუნჯე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული კვალი დატოვა ქართულ ისტორიოგრაფიაში 1873 წელს გურიასა და ჯერ კიდევ ოსმალეთის მმართველობის ქვეშ მყოფი აჭარის მთა-ბარში მოგზაურობისას მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების მნიშვნელოვანი მხარეების აღწერით. მკვლევარმა კონკრეტული ფაქტობრივი მონაცემებით წარმოაჩინა მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ხელოსნობის, საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების, ოჯახის, გვარის, თემის, ხეობის მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიციები.

22	ნოდარ კახიძე	ევგენი ვეიდენბაუმი ბათუმის შესახებ (1878 წლის ჩანაწერების მიხედვით)	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“-VII; 2016 წლის 2-3 სექტემბერი; ბათუმის შოთა
----	---------------------	---------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------

			რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ანოტაცია			
<p>მოხსენებაში დახასიათებულია რუსი მოგზაურის, ისტორიკოსისა და ეთნოლოგის ვეიდენბაუმის ცნობები ძველი ბათუმის ნავმისადგომის მნიშვნელობაზე, სადაც მისი ხელსაყრელი მდებარეობის გამო XIX საუკუნის 70-იან წლებში თავს იყრიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დიდი და პატარა გემები. განხილული ბათუმის მაშინდელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ქალაქის მოსახლეობის შემადგენლობა და მდგომარეობა, ვაჭრობა, წყლით მომარაგება, ქალაქისა და მისი შემოგარენის დაჭაობების გამოძევები მიზეზები და დასაშრობად განხორციელებული ღონისძიებები.</p>			
23	ნოდარ კახიძე	ოსმალთა შემოსევებისა და გამუსლიმების პროცესის გამოძახილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში („ტბეთის სულთა მატანის“ შუქზე)	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“- VIII; 2016 წლის 13-14 მაისი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ანოტაცია			
<p>მოხსენებაში დადგენილია, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან XVII საუკუნის დამდეგამდე „ტბეთის სულთა მატანის“ მიხედვით შემწირველთა დიდი რაოდენობით შემცირება (XVII საუკუნის დამდეგს მხოლოდ ერთეულებს აღწევდა) გამოწვეულია XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის იძლებითი გამუსლიმებისა და ქრისტიანობის დაკარგვის შიშით, რასაც საქართველოს სხვა ქრისტიანულ კერებში გადაადგილება მოჰყვა. მაჭახლის ხეობის მაგალითზე (მატანის შემწირველთა დიდი ნაწილი ამ ხეობაზე მოდიოდა) მოტანილია შესაბამისი კონკრეტული მაგალითები.</p>			
24	ნოდარ კახიძე	აჭარის ეთნოლოგიის საკითხები ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“	ვახუშტი ბატონიშვილის დაბადებიდან 320 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 7 ოქტომბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ანოტაცია			
<p>ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII საუკუნე) ცნობების ანალიზის საფუძველზე მოხსენე-</p>			

ბაში დახასიათებულია იმ უძველესი მარცვლეული კულტურების (ფეტვი, ღომი, ქერი, ჭვავი, დიკა, ხორბალი) ანუ „ყოვლითა მარცვლეულის“ მოვლა-მოყვანის ტრადიციები აჭარაში, რომელიც აქ არსებობდა სიმინდის კულტურის გავრცელებამდე (XVII საუკუნის მეორე ნახევარი), ნაწილობრივ კი მის შემდეგ. საუბარია ვახუშტის სხვა მონაცემებზეც, კერძოდ, აჭარელთა დახელოვნებაზე „ხის მუშაკობაში“, მაღალხარისხოვანი და გამძლე ყველის დამზადებაში, მაღლარი მევენახეობისა და „არომატული, მსუბუქი, შემრგო და გემოიან-სუნიანი“ ღვინის დაყენებაზე ბათუმის მიდამოებში, ერგესა და გონიოში, ციტრუსოვანი კულტურების მოყვანაზე აჭარის ჭოროხისპირა და ზღვისპირს ზოლში.

25	თამილა ლომთათიძე	ხიდირელეზის დღესასწაული თურქეთის ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფაში. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია“	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო“ (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია); 2016 წლის 15-16 სექტემბერი; აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო
----	-------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ანოტაცია

მოხსენებაში დახასიათებულია ხიდირელეზის დღესასწაული, რომელიც შემონახულიათურქეთის ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრებ ქართველთა ყოფაში და მთელ მუსლიმანურ სამყაროშია გავრცელებული თავისი კულტებით და წეს-ჩვეულებებით. აღნიშნულია, რომ ეს დღესასწაული უფრო მეტი შინაარსითაა დატვირთული თურქეთის ქართველთა ყოფაში. მიმოხილულია ხიდირელეზის ისლამურ დღესასწაულში სინკრეტიზირებული, ქართველთა უძველესი მსოფმხედველობის ამსახველი არქაული რიტუალების (საქანელაზე ქანაობა, ვარდობისა, ჭიაკოკონობა, ელიას კულტთან დაკავშირებული ამინდის მართვის რიტუალები) კვალი, სხვადასხვა ქართული წეს-ჩვეულების (ბერიკაობა-ყენობა, წმ.ელია წინასწარმეტყველთან დაკავშირებული რიტუალები, “ვარდობისაი” და სხვ.) ფრაგმენტები. გაკეთებულია დასკვნები რწმენა-წარმოდგენათა არქეტიპების მდგრადობის, უცხო გარემოში განცდილი ტრანსფორმაციისა და თურქეთის ქართული მოსახლეობის წეს-ჩვეულებათა ორგანული კავშირის შესახებ ზოგადქართული სულიერი კულტურის უძველეს პლასტებთან.

26	შუშანა ფუტყარაძე	ლაზეთის სახელოვანი სასულიერო მოღვაწე-კონსტანტინეპოლის პატრიარქი გერმანე III	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“ – VIII; 2016 წლის 13-14 მაისი, ბათუმის შოთა
----	-------------------------	-----------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------

			რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ანოტაცია			
<p>ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში ლაზეთს, სამწუხაროდ, მეტად მცირე ადგილი ეთმობა. ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილია საქართველოს ამ უძველესი კუთხის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, მატერიალური კულტურის ძეგლები, ფოლკლორი და სხვა ეთნოგრაფიული თუ ყოფაცხოვრებითი მხარეები. ნაშრომის შესავალ ნაწილში მოკლედ მიმოხილულია ჭანეთ–ლაზეთის, როგორც ქართული ქრისტიანული კულტურის მატარებელი მხარის ისტორია.</p> <p>კოლხეთმა, ლაზეთმა ბევრი სასახელო შვილი გაზარდა. ნაშრომის ძირითადი ნაწილი მკითხველს აცნობს ლაზეთის სახელოვან შვილს, კონსტანტინეპოლის პატრიარქს გერმანე მესამეს, რომლის შესახებ ცნობები მოცემულია ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი პახიმერეს (1242-1310) ნაშრომში „ისტორია“. ეს ნაწარმოები ქართულად თარგმნილია დიდი ქართველი ბიზანტიოლოგის სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. გ. პახიმერეს „ისტორია“ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოს შესახებ. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონათხრობი სათაურით: „კონსტანტინეპოლის პატრიარქი გერმანე, წარმოშობით ლაზი“. იგი პატრიარქობდა 1267 წლის ივნისიდან 14 სექტემბრამდე. დროის ამ მცირე მონაკვეთში გერმანე III-მ თავისი კეთილი ბუნებით საყოველთაო პატივისცემა, სიყვარული დაიმსახურა თავის თანამედროვეთა შორის და საპატიო სახელი დატოვა ისტორიაში. ლაზეთის ისტორიის წარმოჩენას გვავალდებულებს სამშობლოს სიყვარული...</p>			
27	შუმანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელებაძე, ელზა ფუტკარაძე, თამილა ლომთათიძე, შორენა ფუტკარაძე	ბათუმისა და მისი შემოგარენისათვის ბრძოლა XX საუკუნის 10-იან წლებში (სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული ავთანდილ ურუშაძის მემუარების მიხედვით)	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“-VII; 2016 წლის 2-3 სექტემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ანოტაცია			
<p>მოხსენებაში განხილულია სტამბოლის ქართული კულტურის სავანის არქივში დაცული ქართველი ემიგრანტის ავთანდილ ურუშაძის მემუარული ჟანრის ჩანაწერები. ძირითადად ყურადღება გამახვილებულია XX საუკუნის 10-იან წლებში ბათუმისა და მისი შემოგარენისათვის ბრძოლის საკითხზე. ავტორი საერთაშორისო ვითარების ფონზე ვრცლად საუბრობს ქვეყანაში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე,</p>			

ცალკეული საზოგადო მოღვაწისა და პოლიტიკური პიროვნებების (ნ. ჟორდანიას, ირ. წერეთელი, ს. მენაღარიშვილი, აკ. ჩხენკელი, კ. ჩხეიძე, ჰ. ხინიკაძე, ისკ. მეგრელიძე, ჰ. ჯაფარიძე და ა.შ.) შესახებ. ასევე, ვრცელდება საუბარი გამოჩენილი სამხედრო მოღვაწეების შესახებაც. ესენია: გ. მაზნიაშვილი, გ. კვინიტაძე, ქ. ჩოლოყაშვილი, გენ. ართმელაძე და სხვ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ავტორისეული ინფორმაცია ძირითადად ემთხვევა ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულ დასკვნებს. მოვლენათა აღწერილობის სიზუსტე და თანმიმდევრობა გვაფიქრებინებს, რომ მას ავტორი დიდი ხნის მანძილზე წერდა დღიურების სახით, რომლის დაწერა 1945 წელს დაუსრულებია პარიზში, ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში.

28	ელზა ფუტკარაძე	ტაო-კლარჯეთში ეროვნული მუხსიერების ზოგიერთი ასპექტი	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო“ (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია); 2016 წლის 15-16 სექტემბერი; აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო
----	-----------------------	-----------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ანოტაცია

მოხსენებაში საუბარია ტაო-კლარჯეთში ეროვნული ცნობიერების ზოგიერთ ასპექტზე. მართალია, დღეს დაკარგულია დიდი ისტორიული წარსულის მქონე კუთხე, მაგრამ იქ ქართული სული, ქართული გენი არ აღმოფხვრილა და იქ მცხოვრებთა ცნობიერებაში ქართული ჯიშის, ქართული ადათის, ტრადიციის გამოძახილი კვლავ ისმის, მათ მეხსიერებას კი არაერთი ისტორიული რეალიები შემოუნახავს. თურქეთის ქართველობაში ეროვნული იდენტობის ყველაზე მძლავრი ფაქტორი, მყარი ნიშანი ენაა. ქართული ენა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ ქართველთა ცნობიერებაში არის ეროვნული კუთვნილების გამომხატველი არსებითი ნიშანი, მათი იდენტობის განმსაზღვრელი. ამასთანავე, მათთვის ტრადიციულს, ისტორიულს დიდი დატვირთვა აქვს. მათ ისტორიულ მეხსიერებას ყველაზე მყარად თამარ მეფის სახელი შემორჩა. არაერთი ლამაზი თქმულება თუ ლეგენდაა დაცული და შემონახული მათი ზეპირსიტყვიერებით. უყვართ და უდიდესი კრძალვით იხსენიებენ თამარს. თამარი ერთადერთი მეფეა, რომლის ხსოვნა დაცულია მათ მეხსიერებაში. უფრო მეტიც, ზოგჯერ დარღვეულია ისტორიული რეალობა და ყველაფერს თამარს უკავშირებენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში დაცულია ქართული ტოპონიმია. უფრო მეტიც, შეიძლება ქართული დავიწყებული ჰქონდათ, მაგრამ მათ მეხსიერებას შემოუნახავს ადგილის ისტორიული ქართული სახელები. სწორედ

აღნიშნულ საკითხზე საუბარი მოხსენებაში.			
29	ელზა ფუტკარაძე	ერთი მუჰაჯირელის პოეტური სამყარო	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“; 2016 წლის 17 ოქტომბერი; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ანოტაცია			
<p>მოხსენებაში საუბარია მუჰაჯირელის პოეტურ სულისკვეთებაზე. მშობლიურ მიწა-წყალს მოშორება, უცხო ცის ქვეშ ყოფნა ურთულესი ტრაგიზმია ადამიანისათვის. მშობლიურ კარ-მიდამოზე, ახლობლებზე, ნათესავებზე მოშორება უდიდეს ტკივილს, წუხილს ჰბადებს მუჰაჯირებში. სულის მოსაოხებლად, სულის შინაგანი გრძნობა-ემოციის შესამსუბუქებლად ნაფიქრ-ნააზრევი მუჰაჯირებს ლექსის პწკარედებისათვის გაუნდვიათ. სწორედ ასეთი სულის მოსაოხებელი ტკივილიანი ამოძახილი ისმის მუჰაჯირელი კაცის ბინალ ქუფჩიოლლის ჩვენამდე მოღწეულ ლექსებში. მართალია, ის არ არის კალმოსანი, არ არის პოეტი, თუმცა შინაგანმა სულიერმა წვამ დააწერინა ლექსები. ლექსში არ გვხვდება მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხები, მაგრამ მაინც უდიდესი ხატოვანებით, ესთეტიკურობით, ემოციურობით გამოირჩევა. მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების როლს ემოციური ფონი ენაცვლება. ლექსი კი არა, დამწუხრებული კაცის ერთგვარი ტკივილიან-გრემლიანი ამონაკვნესია. დიდი ზემოქმედებითი ძალის არის ეს ე.წ. პოეტური აღსარება. მუჰაჯირელის რამოდენიმე ლექსმა მოაღწია ჩვენამდე. თემატურად ისევ და ისევ სამშობლოს, მშობლიური გარემოს, მშობლიური სამოსახლოს მონატრებით გამოწვეულ სატკივარზე გვესაუბრება მუჰაჯირი. მოხსენებაში სწორედ აღნიშნულ საკითხზე საუბარი.</p>			
30	ელზა ფუტკარაძე	ქართული ენა ტაო-კლარჯელთა ცნობიერებაში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“ – VIII; 2016 წლის 13-14 მაისი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ანოტაცია			
<p>მოხსენებაში საუბარია ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების ენისადმი დამოკიდებულების საკითხზე. თურქეთის ქართველობაში ეროვნული</p>			

იდენტობის ყველაზე მძლავრი ბერკეტი, მყარი ნიშანი ენა აღმოჩნდა. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ქართული ენა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ ქართველთა ცნობიერებაში არის ეროვნული კუთვნილების გამომხატველი არსებითი ნიშანი, მათი იდენტობის განმსაზღვრელი. ნაჩვენებია, რომ ჩვენებურთა შეფასებები ენის დამკარგველთა მიმართ საკმაოდ კრიტიკული და მძიმე, დამცინავ-გამანადგურებელია. მათთვის ქართველობა და ქართული ენა უმნიშვნელოვანესი ღირებულება, განსაკუთრებული ღირსება, დიდი ფასეულობა, პატივისცემა და გამორჩეულობაა. შემთხვევითი არაა, რომ ენადავიწყებულ ქართველს „გარცხილ“, „გადაბრუნებულ“, „გამოცლილ“ ან „გადათურქებულ“ ადამიანად მოიხსენებენ ხოლმე. გარდა აღნიშნულისა, ისინი სამწუხარო რეალობასაც კარგად აფასებენ- ენა თანდათან იკარგება, შთამომავლობაში ნაკლებად ან საერთოდ აღარ ისმის. მათი საუბრიდან ნათლად ჩანს, რომ არის ცდა, გამოსავლის ძიება ენის შესანარჩუნებლად. შეძლებისდაგვარად ერთგვარ ღონისძიებებსაც მიმართავენ ამ მიზნით. ერთი რომ, ცდილობენ შთამომავლობას ენა ასწავლონ, მეორეც, არ აირივნონ სხვა ეროვნების ხალხში, ქართველზე იქორწინონ, რათა შეძლონ ქართული ოჯახისა და ენის შენარჩუნება. მოხსენებაში სწორედ ჩვენებურთა მხრიდან ქართული ენისადმი დამოკიდებულების აღნიშნულ საკითხებზეა საუბარი.

31	ელზა ფუტყარაძე	ლექსიკური დიალექტიზმები „ვეფხისტყაოსანში“	შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლის-თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 20 ოქტომბერი; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
----	-----------------------	-------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ანოტაცია

მოხსენებაში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ლექსიკური დიალექტიზმი. თემატურ მრავალფეროვნებასთან ერთად გამორჩეულია პოემის მხატვრული სამოსი-ენა. ქართული სიტყვაწარმოების კლასიკურ ფორმებს ვხვდებით პოემაში. პოემა კიდევ ერთხელ დასტურია ქართული ენის გამომსახველობითი ძალისა. ქართული ენის აგლუტინაციური ბუნებიდან გამომდინარე, ორიგინალურადაა წარმოდგენილი აფიქსთა მოძრაობა-შეხამება. პოემა გამორჩეული და სახასიათოა იმ მხრივაც, რომ ავტორი სახელის ფუძისაგან ზმნათა წარმოების უამრავ ფორმას გვთავაზობს და სახელთა გაზმნავების უბადლო ოსტატია. შესაბამისად, სიტყვის ესთეტიზაცია და გამომსახველობითი ძალა უმაღლეს მწვერვალს აღწევს. რუსთველი ამოდის ქართული სიტყვათწარმოქმნის

ტრადიციებიდან, ენის მასალას იგი იყენებს სიტყვის მხატვრულ ემბაზში ამოსავლებად, სიტყვაში დებს საოცარი მიმზიდველობისა და ღრმა აზრის მუხტს. ამ შემთხვევაში ის ტრადიციის ერთგულიცაა და ორიგინალური სიტყვაშემოქმედიც. რუსთველის ენის გამომსახველობითი ძალა ჩანს ლექსიკური დიალექტიზმების ოსტატურ გამოყენებაშიც. პოემაში გვხვდება ისეთი ლექსიკური ფორმები, რომლებიც იმავე ან ოდნავ სახეცვლილი ფორმით დღესაც ცოცხალია აჭარულ დიალექტში. ნაშრომში გაანალიზებულია ფორმები: ნათხზენი, თანისთან, გაქარდა, დაბურვა, შეკაზმა, ფრეწა, წადილი, ჯალაბი, ხასი, სულე და სხვა. ლექსიკური დიალექტიზმები უდიდესი ხელოვანებითა მოხმობილი პოემაში და ამ ფორმათა გამოყენებით ავტორი ღრმად გვაგრძნობინებს სიტყვის შინაარსობრივ ძალას.

32	ნაილე მიქელაძე	სახარებისეული მოტივები „ვეფხისტყაოსანში“	შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლის-თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია; 2016 წლის 20 ოქტომბერი; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
----	-----------------------	------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ვეფხისტყაოსანის სახარებისეულ იგავების მხატვრული გააზრება. აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსანს“ განიხილავდნენ, როგორც იგავს სოფლის შექმნის შესახებ, ადამიანის ცოდვით დაცემისა და კვლავ აღდგომის შესახებ. ნამდვილად „სამყაროს შექმნა“ მოცემულია თავად ბიბლიაში, დაბადების წიგნში, რუსთაველი კი გვაძლევს მის მხატვრულ ინტერპრეტაციას. პოემაში უხვად გვხვდება მხატვრულად გააზრებული ბიბლიური ციტატები.

საღვთო წიგნი ბიბლია ამოსავალი საძირკველი, უმნიშვნელოვანესი წყარო არის „ვეფხისტყაოსნისთვის“. ნაშრომის საკვლევი თემა, სწორედ სახარებისეული იგავებისა და რუსთველისეული აფორიზმების შედარება - ანალიზია.

33	ნაილე მიქელაძე	მუჰაჯირობასთან დაკავშირებული ლექსები აჭარისა და თურქეთში მცხოვრებთა ფოლკლორში,	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“; 2016 წლის 17 ოქტომბერი; გორის სახელმწიფო სასწავლო
----	-----------------------	--------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

			უნივერსიტეტი
ანოტაცია			
<p>მუჰაჯირობა ერთი მძიმე და ტრაგიკული ფურცელია საქართველოს ისტორიისა. აჭარის ფოლკლორში შემონახულ ტრაგიკულ ეპიზოდებს თან ერთვის ხალხური პოეზიის ნიმუშებიც, სადაც მთელი სიცხადითაა წარმოდგენილი იმდროინდელი ყოფის მოვლენები. კერძოდ: მუჰაჯირთა განცდები, მათი სულიერი და მორალური მდგომარეობა. და ბოლოს, მოტყუებულთა სულის ტკივილი, რომელიც საუკუნეების მიუხედავად, არც ჩვენებურთა (თურქეთში მცხოვრებ ქართველების) და არც აქაურთა ცნობიერებაში არ წაშლილა, პირიქით ტკივილიან მოგონებად დარჩა.</p> <p>ფოლკლორულ ნიმუშებში კარგად ჩანს, რომ მშობლიურ მიწა-წყალს მოცილებულნი, უცხო მხარეში გადახვეწილნი, დრო-ჟამის მიუხედავად დღესაც ობლად გრძნობენ თავს. მათი ტკივილი და ჭრილობა შეუხორცებელ-მოუშუშებელია. და დღეს, მუჰაჯირ ქართველებს, ჩვენებურებს, არათუ დღემდე შეუნახავთ ძველი ქართული ადათ-წესები, ამავე დროს შეუქმნიათ ახალიც. ერთ-ერთი ასეთი ლექსია „ლალე“.</p> <p>ნაშრომში სწორედ ამ და სხვა საკითხებზეა გამახვილებული ყურადღება.</p>			
34	ნაილე მიქელაძე (თანაავტორობით)	ტაო-კლარჯეთში ეროვნული მემსიერების ზოგიერთი ასპექტი,	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ- დასავლეთი საქართველო“ (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია); 2016 წლის 15-16 სექტემბერი; აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო
ანოტაცია			
<p>ნაშრომში საუბარია ტაო-კლარჯეთში ეროვნული ცნობიერების ზოგიერთ ასპექტზე. მართალია, დღეს დაკარგულია დიდი ისტორიული წარსულის მქონე კუთხე, მაგრამ იქ ქართული სული, ქართული გენი არ აღმოფხვრილა და იქ მცხოვრებთა ცნობიერებაში ქართული ჯიშის, ქართული ადათის, ტრადიციის გამოძახილი კვლავ ისმის, მათ მემსიერებას კი არაერთი ისტორიული რეალიები შემოუნახავს. თურქეთის ქართველობაში ეროვნული იდენტობის ყველაზე მძლავრი ფაქტორი, მყარი ნიშანი ენაა. ქართული ენა ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მცხოვრებ ქართველთა ცნობიერებაში არის ეროვნული კუთვნილების გამომხატველი არსებითი ნიშანი, მათი იდენტობის განმსაზღვრელი. ამასთანავე, მათთვის ტრადიციულს, ისტორიულს დიდი დატვირთვა აქვს. მათ ისტორიულ მემსიერებას ყველაზე მყარად თამარ მეფის სახელი შემორჩა.</p>			

არაერთი ლამაზი თქმულება თუ ლეგენდაა დაცული და შემონახული მათი ზეპირსიტყვიერებით. უყვართ და უდიდესი კრძალვით იხსენიებენ თამარს. თამარი ერთადერთი მეფეა, რომლის ხსოვნა დაცულია მათ მეხსიერებაში. უფრო მეტიც, ზოგჯერ დარღვეულია ისტორიული რეალობა და ყველაფერს თამარს უკავშირებენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში დაცულია ქართული ტოპონიმია. უფრო მეტიც, შეიძლება ქართული დავიწყებული ჰქონდათ, მაგრამ მათ მეხსიერებას შემოუნახავს ადგილის ისტორიული ქართული სახელები. სწორედ აღნიშნულ საკითხზეა საუბარი ნაშრომში.

35	ნაილე მიქელაძე	ფოლკლორული რეალიები ხალხის მეხსიერებაში.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“-VII; 2016 წლის 2-3 სექტემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
----	-----------------------	------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ანოტაცია

აჭარელთა მუჰაჯირობის ტრაგიკულ ამბებს არაერთი მეცნიერი და მკვლევარი შეხებია. ისტორიულად მრავალი მასალაა შესწავლილი და გამოქვეყნებული, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მწერლების მიერ. ასევე მუჰაჯირთა ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალები ვრცლად შემოუნახავს აჭარის ხალხურსიტყვიერებასა და თურქეთში მცხოვრებ „ჩვენებურთა“ მეხსიერებას. მუჰაჯირობამ არა მარტო იმდროინდელი საქართველოს სოციალურ - ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ვითარებაზე იქონია გავლენა, არამედ მან ბევრი საფიქრალ - საზრუნავი დაუტოვა მომავალ თაობებს, ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასახლებულ მოძმეთა შთამომავლებში ეროვნული ცნობიერებისა და სამშობლო ქვეყნისადმი სიყვარულის შენარჩუნება - განმტკიცების თვალსაზრისით.

ნაშრომში წარმოდგენილია აჭარის ფოლკლორში შემონახულ ტრაგიკულ ეპიზოდების ისტორიები, რომლებიც ერთხელ კიდევ ცხადყოფს, თუ რაოდენ ტრაგიკული ყოფილა მუჰაჯირთა განშორება, ტკივილი და ცხოვრება.

36	ნაილე მიქელაძე	გვანცა-ლელას თქმულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხისათვის	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო“ (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია); 2016 წლის 15-16 სექტემბერი; აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო
----	-----------------------	----------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

			დაწესებულება – საარქივო სამმართველო
ანოტაცია			
<p>XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან ოსმალეთი თანდათანობით მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აჭარას იპყრობს. ამ თემაში წარმოდგენილი ისტორიული ტოპონიმი აჭარის მძიმე ისტორიული წარსულის თემატიკას ეხება.</p> <p>გადმოცემების ციკლი ქალწულმოწამეებ გვანცასა და ლელას ეძღვნება. „გვანცა-ლელა“ ეწოდება, ადგილს, რომელიც ქედის რაიონის სოფლების, დანდალოსა და ბალაძეების ტყეში მაღალ ქედზე მდებარეობს. არსებობს თქმულების სხვადასხვა ვერსია. ერთ-ერთი ვერსიით გვანცა და ლელა ბალაძეების მთის ფერდობზე დაღუპულან. დები თავიანთი რაზმით მომხდურებს თავს ესხმოდნენ. თანასოფლელებს რწმენასა და იმედს უწერგავდნენ, თავად აცხობდნენ მჭადს და ტრადიციულად ჯვარს ასვამდნენ. ადგილას, სადაც გადაიჩეხნენ თანასოფლელებმა სამშობლოს ერთგული დების სახელი შეარქვეს.</p> <p>ტოპონიმური გადმოცემები, როგორც გმირობას, ასევე წარმართული ხანის ისტორიებს უკავშირდება. ასევე ფაქტია ისიც, რომ აჭარაში რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული თქმულებები კონტამინირებული სახით გვხვდება.</p>			
37	ნანი გუგუნავა	ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ტაძარი XX საუკუნეში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“ – VIII; 2016 წლის 13-14 მაისი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
ანოტაცია			
<p>XIX საუკუნის 90-იანი წლები ჩვენს კუთხეში მართლმადიდებლობის ამაღლებაზე ზრუნვით აღინიშნა. ამ პერიოდისათვის ბათუმის ოლქის საეკლესიო ცხოვრებას გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი განაგებდა. „კავკასიური კალენდრის“ პერიოდული გამოცემა გვამცნობს, რომ 1890 წლიდან ბათუმის ოლქის მთავარი მღვდელი სიმონ ქიქოძეა, 1892 წლიდან კი მღვდელი ალექსანდრე რალცევიჩი, 1896 წელს წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მღვდლად აკურთხეს კონსტანტინე ცანდევოვი.</p> <p>ტაძრის რემონტისათვის თანხის შეგროვება 1895 წელს დაიწყო, დადებითად გადაწყდა მასზე სამრეკლოს მიშენების საკითხიც. 1894-1898 წლებში ეზო-მიდამო ეკლესიის საკუთრებაში გადავიდა, რის შემდეგაც ტაძრის ტერიტორიაზე ვაჟთა და ქალთა სკოლები გაიხსნა.</p>			

ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის შექმნის შემდგომ, 1920-1935 წლებში წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში წირვა-ლოცვას აღავლენდნენ მიტროპოლიტი გიორგი (ალადაშვილი), ეპისკოპოსი დავითი (კაჭახიძე), ეპისკოპოსი ნესტორი (უბანიეშვილი) და მიტროპოლიტი იოანე (მარგიშვილი). ეპისკოპოსი დავითის დროს, 30-იან წლებში აღნიშნული ეკლესია დაიხურა. 1931 წლიდან ეკლესიათა შენობები სახელმწიფო საკუთრება გახდა.

1963 წელს წმიდა ნიკოლოზის ტაძარში მსახურება დაიწყო მღვდელ-მონაზონმა ილიამ (შიოლაშვილმა). შემდგომში უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს-პატრიარქი ილია მეორე ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაში 1967 წლამდე მოღვაწეობდა. 1963-1967 წლებში იგი ამ ეპარქიის გამგებელი გახლდათ.

38	ნანი გუგუნავა	ეროვნული სკოლა აჭარაში და გლობალიზაცია	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“-VII; 2016 წლის 2-3 სექტემბერი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
----	----------------------	----------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ანოტაცია

